

1991/2

ISSN 0134 3459



ქართველი

II ს.

(5)

5-6

1991

5



ქოროსი

განმცემის

33-ე

5-6

წელი

ლიბერალურ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლიტიკური უზრუნველყოფის საპარტიო მფარველთა კავშირისა და ახარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
ა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
ღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

5

1991

სამკვირვებო
ოქტომბერი



გ ა თ ე ე ი

შინაარსი

ii A
- (5)

კოეზია, პროზა

ფრიდონ ხალვაში — ლექსები	3
ჯემალ ქათამაძე — ალუბალი (მოთხრობა)	6
ლალი თოთაძე — ლექსები	19
რამაზ სურმანიძე — ემრულა (კინომოთხრობა. გაგრძელება)	25
ნანა ხალვაში — ძმობის ქება (ლექსი)	39
ელისაბედ ლალაშვილი — მე უნდა მოვძებნო (მოთხრობა)	40

მედუზა

ვანტანგ ახვლედიანი — მკვლელობა ლაქლაქეთში (ირონიული დეტექტივი)

48

გზები და უთაბავადილებები

ისმაილ ჭარა (შავიშვილი) — სადაც ჭოროხი მთავრდება (გაგრძელება)

63

აპაკი წიგნების დაბადების
150 წლისთავისათვის

რაფიელ შამელაშვილი — აკაკი —
მხატვრული კითხვის ოსტატი

წერილები

მალხაზ ჩოხრაძე — კონსტანტინე
გამსახურდიას ერთი წერილის
გამო
მურმან გორგოშაძე — „...ღმერთმა
გიშველოს, სიკვდილო“...

ტოკონიგების კვალდაკვალ

იური სიხარულიძე — ოლთისი

გამოსათხროვარი

მამია ვარშანიძე — ამ მწვანეთში...
(ლექსი)

გასულ ორ თვეში

სარდაქციო კოლეგია:

69 აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩხილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
შოთა ზორიძე,
დავით თელორაძე,
78 ალექსანდრე სამსონია,
ჯემალ ქათამაძე,
81 ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაქელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ.
90 3-33-71.

93

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.
ტექნიკური ხელმძღვანელი—შ. დარ-
ჩია.

გადაეცა წარმოებას 18.9.91, ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 29.10.91, საგ-
მომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთ-
№ 1321, ქალაქის ზომა 60×90/16,
ტირაჟი 2800.
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი
სიტყვის დეპარტამენტის აჭარის პოლ-
გრაფიული საწარმოო გაერთიანებ-
სტამბა, ბათუმი, იბერიის, 91.
Полиграфическое производственное
объединение Аджарии. Батуми, ул.
Иберийская, 91.



ფრიდონ ხალვაში


* * *

არავითარი სხვა რამ არ მინდა, —
ვიყო ძეშვილი მე ამ აღვართა,
სადაც ყოველ ტოტს, მწიფე, უღევი,
ასხია ჩემი სიყვარულები.

ლოცვა

ჩემო სახლო,
ბოროტ თვალთა ასალაგმად —
იდექ მაგრად!
ვაზო ჩემო,
ავთა გულთა გულს რომ ტკენდე, —
დაიმტევენე!
ჩემო ყანავ, მტრის ჯინაზე,
ამიყვავდი,
დამიხვავდი.
რწმენავ ჩემო,
სიძულვილის მორიელებს
მოერიე.
გზო ჩემო, სივრცის სულო,
სიარულო უსასრულოვ,
ვიცი, — ცა ხარ, ზღვა და გემი.
თუ სიკეთეს მოისურვებს,
მტერსაც ფეხქვეშ გაეგები.

59561



* * *

ძვირფასო ცაო, ნიავეებით სავსე მდინარეც,
მე შენ მოგდიე, სივრცეები გადავიარე.
სიავბოროტულ წყენა-ლანძღვებს
ქარში გადავყრი
და შენს ზვირთებში სულს გავიბან,
მერე, ამაყი,
გავყვები ამ გზას, დარდნათმენი,
გულგალახული,
რომ ვნახო ისევ დანახულაც, არდანახულიც.

ჩვენებურ მოტივზე

იძღენი გვიბლაცუნია,
გადარეულა დუნია.
სოციალიზმმა ურია,
იქ, სად ცხოვრების გულია...
ახლაც ბევრი რამ კრულია,
მაგრამ, ვით ძველთა თქმულია, —
სიტყვა თუ ზოგჯერ ნულია,
სიჩუმე მთლად ალთუნია.

* * *

სვენებ-სვენებით ამოველ სვანეთს,
ძირს, ხევში მოჩანს ელვა-ქუხილი,
ზაფხულის თოვლით ვისველებ თვალებს
და სიმაღლეთა ღიმილს ვუღიმი.

* * *

წუხელ მე მთვარე, მოწყენილი და
გაცრეცილი,
მეგონა ბავშვი.
და ისე იყო ზეცა შეცვლილი, —

თითქოს მთოვარი, —
გამდნარი ვერცხლი,
წვეთად დიოდა ჩანგურის ლარში
და ჩურჩულებდა თავის წუხილს
ხევი ლექსივით.

1991.

რა თქმა უნდა

შეიძლებაო მუსლიმანი იყოს ქართველი? —
მეკითხებოდა თანაკუთხელი,
ვისაც სამშობლოს მუდამ ართმევდნენ,
ვისაც სამშობლოს ედგა უღელი.
მკითხავს მოსულაც

ბედშავ შავშეთით:

შეიძლებაო მუსლიმანი ვიყო ქართველი?
ხედავთ, სავსებით არ გადავშენდით!
მაშ ამ სიმაართლეს რას ემართლებით?

კითხვაში პასუხს

ვინც გრძნობს იმავდროს,
სურს მუსლიმ ძმათა

მადლმაც იმადლოს.

რა ვუყოთ, მიწა თუ შემოგვრჩა

ორ სალოცავად,

ღმერთი ერთი გვყავს, ქართველებო,
ერთად როცა ვართ.

6.6.91.



ა ლ უ ბ ა ლ ი

ჩვენს სოფელში ერთი სანდომიანი მოხუცი ცხოვრობდა, ყველა ბაბუა მიხოს ეძახდა. არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი და გვარი, წარსული, საიდან მოვიდა, როდის დასახლდა ამ ბარაქიან მიწაზე, როდის მოაშენა ეს დიდებული კარ-მიდამო... ალბათ უამირზე პირველი ბარი მან დაჰკრა, პირველმა გაკაფა ეკლ-ბარდი, ფაცხა მოღობა, ვინ იცის, როდის დაურგავს ხეჭექური, დემირა ვაშლი, ვაზი გაუხარებია, ციტრუსები მოუშენებია. ერთი სიტყვით, ჩვენი სოფლის ბიოგრაფიაც და ისტორიაც ბაბუა მიხოთი იწყებოდა, იგი პირველი გახლდათ, ვინც ამ უდაბურ ტყე-ღრეში კერა გაათბო, ბუხრიდან კვამლი აუშვა და ნადირს ძილი დაუფრთხო.

კარგად მახსოვს ბაბუა მიხო: თოვლივით წვერი ჰქონდა, ოდნავ წელში მოხრილი, დამპყნარი დაწვებით, უხეში ხელებით.. ნაღვლიანი თვალები და გამოხედვა გაფიქრებინებდა, რომ დიდი წამების გზა გაეგლო და ახლა სიცოცხლის მიწურულს ყველაფერმა ერთად შეუტია. თუმცა უქმად ყოფნა არც ახლა შეეძლო, ჯარასავით ტრიალებდა, კარ-მიდამოს უვლიდა, თხილის წკნელისაგან საუცხოო გოდორსა და კალათებს ქსოვდა. ადრე თურმე წიფლის მორებისაგან ყავარს ხდიდა, ფიცრებს ამზადებდა, სახლებს აშენებდა, აგურს სჭრიდა და გამოსწავდა ხოლმე, ბაბუა მიხოს მიერ მოხატული მშვენიერი აკვნები ყველგან ირწეოდა, მეც ბაბუა მიხოს გაკეთებულ აკვანში გავწვდილვარ და განა მართო მე? ჩემი დებიც, ძმებიც, მთელი სოფლის თაობა.

ბაბუა მიხო დიდებული მოლაპარაკე გახლდათ, მთელი დუნის ამბები სულ ზეპირად იცოდა, ხოლო ზღაპრებს ისე გემრიელად მოგვითხრობდა, ბავშვები კვალდაკვალ დავსდევდით, მოსვენებას არ ვაძლევდით, ისიც ხევწინისა და მუდარის გარეშე გაბერავდა ტყუილ-მართალით გატენილ გულს.

— საიდან იცი, ბაბუა ამდენი ამბავი? — ვკითხე ერთხელ.

— ვიცი, შვილო, ვიცი. ამ ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ რა არ გადამხდენია, გრძელი, ეკლიანი გზები გამომივლია, სამი ომის მომხსრე ვარ. მთელი ქვეყანა ჩემი თვალთ მინახავს, სად არ ვყოფილვარ! ჩემი ტოლების ძვლებიც აღარაა, მე კი...

ჩაფიქრდებოდა, თვალები ცრემლით დაუსველდებოდა, მერე გამიღიმებდა, თავზე ხელს გადამისვამდა და მეტყუდა: — შვილო, კაცის ცხოვრება ბრძოლაა; მდინარესაგან მქუხარე, შემტევი, ხიფათებით სავსე, აი, ჩემდენს რომ იცოცხლებ, მაშინ მიხვდები თვალებს რომ მოჭუტავ, ყველაფერი — მწარეც და ტკბილიც გამოგეცხადება.

თურმე ადრე ხალხში ჭორი დადიოდა, რომ მიხო მოსულიშვილი ხელმწიფეებრძოდა, ახალგაზრდობაში რუსი მოხელეები დაუხოცია, გუბერნატორი გაულახავად და ყაჩაღად გავარდნილაო. მერე ალბათ მოწყინდა ტყეში უქმად ყოილი და და ამ შუაგულ, უსიერ ტყეში ნადირებთან დაიღო ბინა. ვინ იცის! ხალხი ბაბუა მიხოზე ლეგენდებს თხზავდა, თვითონ წყნარი, მორიდებული, კაცთმოყვარე, მშრომელი, პატიოსანი და მართალი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა. მე სწორედ ასეთი მახსოვს ბაბუა მიხო.

როცა ლაპარაკის ხასიათზე იყო, მთელ ცხოვრებას გადაგიშლიდა, ამ წნის განმე...

ლომაში, რა არ შეხვედრია წუთისოფლის გზაზე, წუთისოფელი, ვამბოთ, თორემ. ისე ცხოვრების ბოლომდე კვალის მიტანას დიდი ძალა და ნიჭი სჭირდება, ბაბუა მიხოს დაღარულ შუბლზე ეწერა ყველაფერი, მაგრამ მაინც ვერ გაეტეხა წლებს და ღრმად მოხუცი ცხოვრებას მაინც ებრძოდა, ერთი დღე არ შეეძლო უქმად დგომა, ურომა მისთვის ყველაფერი იყო, — ჯანმრთელობაც, დასვენებაც, სიმდიდრეც და სავსე ბედელიც.

— პირველად რომ ჩამოვედი, — დაიწყებდა ბაბუა მიხო, — უსიერი ტყე და ეკალი იყო. ჩემი გამოჩენა არ მოეწონა ტყის ბინადრებს, პირდაპირ პატარა წყნელის ქოხთან დათარეშობდნენ მგლები, დათვები, ტურები, მელიები, მაჩვენებმა გაიხარეს, სიმინდის ნედლი ტარობები რომ ნახეს.

— ახლა არ თქვა, მაიმუნებიც დათარეშობდნენო. — სიცლით ვეტყოდით ბაბუა მიხოს.

— არა, მაიმუნები, მართალი რომ ვთქვა, არ შემხვედრია ამ ტყეში.

— ვეფხვი?

— არც ვეფხვი და არც ლომი, სხვა ნადირი ბევრი მინახავს. ერთხელ ზედ კარავის კარბთან დათვი მოვარდა, საშინელი ღრიალი მორთო, თათებით მიწის თხრა დაიწყო მერე ყალყზე შედგა და ნახტომისათვის მოემზადა. შევშინდი, დამბაჩა გამოვიტანე და ჰაერში გავისროლე, მაშინ კი იკადრა გაქცევა, დუილით გადაეშვა წყავნარში, გეგონებოდა, ვეებერთელა მორი დაგორდაო. ამის შემდეგ დათვები ჩემს გამოჩენას ტრიდებოდნენ, ასევე მგლებმაც მიატოვეს ჩემი სამეფო, რაც შეეხება ტურებს, ისინი ვერ მოვიშორე, სულ ჩემი კარავის ახლოს ტრიალებდნენ.

— ეს ყველაფერი ზღაპარს ჰგავს, ბაბუ.

— კი, შვილო, კი, ზღაპარიცაა და სინამდვილეც, შენ როგორც გინდა ისე გაიგე, — იტყოდა, თვალებს მოკუტავდა, ღრმად წარსულის ფიქრებში ჩაიძირებოდა და ჩუმად წავიდოდა სამუშაოდ. ჩვენ მასზე შეჩვეულები და შეყვარებულები უკან დავსდევდით, მოხვენებას არ ვაძლევდით, სამუშაოდ გამოსულს ოქროს წუთებს ვართმევდით, მაგრამ უხაროდა ბავშვებთან სიახლოვე. ბევრჯერ უთქვამს, თქვენთან თავი ბავშვად წარმომიდგენიაო, სულ ჩემი ბიჭების ბავშვობას მაგონებთო.

მიხოს ლამაზი ღიმილი ჰქონდა, თბილი გული, ყველას ერთნაირად გვეფერებოდა, არ უყვარდა ბავშვების გარჩევა, სიკეთეს გვასწავლიდა, მისი გმირები ყოველთვის ბოროტებას ამარცხებდნენ, სიკეთე იმარჯვებდა. ბაბუა მიხოს სიტყვა, მალამოდ გამოდგებოდა, მისგან ნაწყენი კაცისშვილი არავის უნახავს, მტყუანს გაამტყუნებდა, მართალს არვის დაჩაგვრინებდა, მთელი სოფლისათვის ჭკუაც იყო, ამასთან კარგი მოძღვარი და დამრიგებელი.

როცა ხეხილს ამყნიდა, მუხლებდაჩოქილი ნადვლიანი ხმით ერთ სიმღერას თავისთვის ღიღინებდა:

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება.
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტვით გავვიფრინდება.

ამ სიმღერას გულს ამოაყოლებდა. ტბილი, სევდიანი, მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. ამ სიმღერით იგი მცენარეებს ეფერებოდა, დამყნილ კვირტებს და ტოტებს სულს უბერავდა, თითქოს ჭრილობას უხვევდა, არჩენდა, მალამოს ადებდა... როგორ უხაროდა, როცა დამყნილი კვირტი გაიხარებდა! ვისაც შვილების გაზრდა და მცენარეების

გახარება შეუძლია, ის უკვდავია ამ სოფელში, — იტყოდა ხოლმე და შუბლზე გადმო-
სკდარ ოფლს ხალათის კალთით შეიმშრალებდა.

მეზობლობაში ბადალი არ ჰყავდა, თხილის გულს გაგიჟოფდა, სიძუნწეს ვერ
იტანდა, ხოლო გაიძვერასა და ოხერ-ტილის ახლოს არ გაიკარებდა. სანთელივით წმინდა
გული ჰქონდა, მაგრამ დაჩაივებული, შეშინებული, გულგატეხილი, უკმაყოფილო ბაბუა
მიხო არავის უნახავს, არც ზედმეტი წუწუნი იცოდა, ტრაბახს, გულზე მუშტების
ბრახა-ბრუხს სიცილით ხვდებოდა. საკუთარ ჭირ-ვარამს გულში იკლავდა, სოფელს არ
ნერწუნებდა, თუ რამე აკლდა, თავისთავს დააბრალებდა.

იოლო ღრის სიბერემ შეაწუხა. ყოველთვის მზიარული, ენაწყლიანი, კეთილი მოხუცი
ტიკვილებს უჩიოდა, ღონე დააკლდა, სიარული უჭირდა, თვალები ეცრემლებოდა, მის
ხელში პირველად დავინახე ჯიხი. ისე დადიოდა, გეგონებოდა მონადირე სუროზე შე-
ფრენილ შაშვს ებარებო. გული დამწყვდა.

იშვითად გამოდიოდა გარეთ, ვეღარ ვხედავდი ნაცნობ ძელსკამზე, აღარ ეხვეოდ-
ნენ ბავშვები, მკერდის არემი ჩხვლეტები დაეწყო, ბებერი ლომი გულმა შეაწუხა და
სავარძელს მიაჩაჭვა.

წოლას მიუჩვეველი ბერიკაცი ყოველ დღით ფანჯარას გააღებდა, თვალებს მო-
ჭუტავდა, თავისი ხელით მოშენებულ ბაღს სიამით გადახედავდა. ღია სარკმელში ნიავს
შემოჰქონდა ყვავილების სურნელება, მოხუცი ტკებოდა, უფრო ღრმად ისუნთქავდა
ჰაერს და ბუტბუტებდა: — უჰ, რა ბუნებაა, თფუი, დასწყევლოს ღმერთმა სიბერე, თო-
რემ ახლა მეც იქ ვიქნებოდი იფენებში, ასლა რა ღრის წოლაა. ერთ სიცოცხლედ მიღირს
მწვანე კორღზე წამოგორება. არ მეგონა ასე თუ დავგლახდებოდი. არა, კაცმა რომ
თქვას, კინაღამ საუკუნე გავაკარი ბექებზე და საყვედური არ მეთქმის, მაგრამ, სიბერე
მანც ძნელი ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, წლები მომერო, წახვდი, მარადიული თურმე
ღმერთი ყოფილა მარტო. მე კი მეგონა, სიკვდილსაც მოვერეოდი, მაგრამ არა უშავს,
ერთი პატარა ხნული გამიტანია, ერთი ძირი ხეჭეჭური დამირგავს, ესეც საქმეა.

ბაბუა მიხო თვალებს მიღლუვაფა, წარსულში ჩაიძირებოდა, ყველაფერი სიწმარო
ეგონა. დაჩაივებული ბერიკაცი სასთუმალზე უფრო მხნედ წამოკდებოდა, მისი ციტ-
რუსების ბაღიდან სიოს ლიმონის სურნელება შემოჰქონდა ოთახში, ჰაერს ღრმად
ჩაისუნთქავდა, სიამეს და შვებას გრძნობდა.

— იფ, იფ, იფ, რა სასიამოვნოა! — წაჩურჩულებდა თავისთვის.

მიხო ახლა მოგონებებით ცხოვრობდა. რა არ უნახავს, ვის არ შეხვედრია, ტანჯვაც
განუცდია და სიხარულიც.

დღემდე ახსოვს ერთი ქართველი გენერალი, რომელიც ზღვასთან ახლოს პატარა
კონცხზე ცხოვრობდა. თავის დიდებულ აგარაკზე ზაფხულობით ჩამოდიოდა და ცოლ-
შვალთ ისვენებდა, განათლებული, მდიდარი, კეთილი მოხუცი ჩანდა, განსაკუთრებით
გლენებს სცემდა პატივს.

სწორედ ამ გენერალმა მიიწვია მიხო სამუშაოდ, მწვანე ბაღში გაეშენებია გენე-
რალს მანდარინის ბაღი, მწკრივში დაერგო ლიმონის, ფორთოხლის ხეები. ასევე მუშ-
მულა, ბაღს ირგვლივ ამშვენებდა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი მცენარეები: პალ-
მა, ჩინარი, კვიპარისი, მიმოზა, მაგნოლია... ვინ დათვლის, კიდევ რა არა, რომლებმაც
საოცარ სილამაზეს ანიჭებდა მწვანე კონცხს, ბუნებას, ზღვის სანაპიროს.

მიხო ერთ ხანს მუშაობდა გენერალთან მეზაღედ, მერე გენერალი სადღაც წავიდა
და აღარ დაბრუნებულა, ხოლო მისი აგარაკი, სასახლე, ბაღები მთავრობამ მისი საკუთრ-
მანამდე კი გენერალმა მიხოს ათი ძირი ციტრუსის ნერგი აჩუქა.

— წაიდე, გაახარე, შვილო! — უთხრა. მიხო სიხარულით ცას ეწია, იმ დღესვე თა-



საქართველოს
საქმიანობა

ვის შამულში დარგო, როცა საქმეს მორჩა, მისხს გაეცინა: ნუთუ ეს პაწაწინა ნერგები
განა რამეს მიშველისო?

— გიშველის, — ჩაცხმა თითქოს გენერლის ხმა, — მოუარე, გაზარდე, შვილივიდ
გაუფრთხილდი და აი, ნახავ, რა ნაყოფი მოვა, სულს მოითქვამ, გამდიდრდები, მომაგრ-
დები, სხვებიც მოგბაძავენ და კაი კვალიც დაგჩეხება სოფელშიო.

მისო ასეც მოიქცა, ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც იმ მაღლიანმა კაცმა ასწავ-
ლა. დახელოვნებული აგრონომივით დასტრიალებდა თავს ახლადდარგულ ნერგებს,
ზრუნვასა და მონდომებას არ აკლებდა, დაშეებს ათენებდა, შრომობდა, ფიქრობდა და
წუხნა კიდეც, გაუჭირდა ტყეში ფირალივით მარტო ყოფნა, მაგრამ მალე სალხიც გამო-
ჩნდა, ტყის პირველი გამგებელი ყველას უხვად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ური-
გებდა ნაკვეთებს, არც რჩევა-დარიგებას აკლებდა, არც მეზობლობას, ყველას ხელს
უმართავდა.

ერთხელ ტყეში ნადირობის დროს წიფლის ხესთან, სადაც ანკარა წყარო ჩუხჩუ-
ხებდა, ზღვისფერთვალემა ქალიშვილი შენიშნა, უცხო ფერიას წყაროზე კოკა შეედეგა,
თვითონ მაყვალს კრეფდა და ჩუმად დიღინებდა:

გახსენ რკინის კარები,
გულს რად უნდა გალია,
შენ რომ ასე კარგი ხარ,
განა ჩემი ბრალია?

მისო სიმღერას ისმენდა, ქალიშვილი ისე ტკბილად გალობდა, ისე ტკბილი და ხვე-
რდოვანი იყო მისი ხმა, დამუხჯდა, ბუჩქს ამოეფარა. რომ არ დაეფრთხო, დიდხანს იდგა
გარინდებულნი, ბოლოს გონს მოეგო. ბუჩქიდან თავი გამოჰყო, ერთხელ კიდეც ექვით
შეათვალიერა ქალიშვილი, როცა დარწმუნდა, მის წინ მოჩვენება კი არა, მშვენიერი
ქმნილება იდგა, შუბლზე მომსკლარი ოფლი ხალათის კალთით ჩამოიწმინდა და ბუჩქს
მომორდა. ქალიშვილს სულაც არ შეშინებია და არც გაკვირვებია უცხო კაცთან შეხ-
ედრა, პირიქით, ელოდა ალბათ ამ შეხვედრას.

— ხანუმ. — თქვა გაბზარული ხმით მისომ, მაგრამ ქალიშვილმა მკაცრად შეხედა.

— ხანუმი არა ვარ, ფერიდე მქვია მე. — და მაყვალის კრეფა განაგრძო, კოკიდან
უხვად იღვრებოდა მთის ანკარა უხეფები.

— რატომ მიჯავრდებით, ქალიშვილო, მაინც საიდან მოფრინდით ამ ულრან ტყეში
ასეთი ანგელოზი?

ქალიშვილმა ყავარით გადახურული სახლისაკენ გაიშვირა თეთრი ხელი, ვაჟს
ნაკვერცხალივით ცხელი თვალეები მიანათა, სახეზე ღიმილის ფერმა გადაჰკრა.

— ახლანის ქალიშვილი ხართ?

— ჰო. — მოკლედ მოჭრა ფერიდემ.

— მერე არ გეშინია ამ უსიერ ტყეში მარტო ხეტიალი?

— ვისი უნდა მეშინოდეს. აქ ზშირად დავდივარ, წყაროა ცივი, და მაყვალს ბლო-
მდაა.

— ნადირის არ გეშინიათ?

— არც ნადირის და არც ადამიანის არ მეშინია. — ისარივით წარბები აზიდა ფე-
რიდემ, მისხს ერთხელ კიდეც მიანათა გავარვარებული თვალეები.

— თქვენ მართლაც უშიშარი ყოფილხართ, ქალიშვილიც ასეთი უნდა.

მისხს გახუმრება უნდოდა, მაგრამ ქალიშვილი ვიწრო ბილიკით გაუჩინარდა, მი-
სხს თბილი ღიმილი და ტკბილი ნაღველი დაუტოვა.

მისო ნამდვილად არ მოელოდა ამ ტყეში ასეთ მშვენიერ ქალიშვილთან შეხვედრას მუხის ძირში შავწვერა კაცი დალანდა... ტანზე იარაღი აესხა. ახალგაზრდა კაცი ჩაწვიდა არწივივით აბრიალებდა თვლებს, ალბათ ფერიდეს დასდევდა, ვინმემ არ მომტაცოს...

* * *

ამ შეხვედრიდან თვეც არ გასულა, რომ ის შავწვერა კაცი მისოს კარავს მოადგა.

— მისო, ა, მისო. — გააბა ძახილი.

მისო კარავში გოდორს ქსოვდა, ძახილი რომ მოესმა, წინელი კუთხეში გახწია და კარი გამოხალ. მასპინძელმა იცნო მოსული და ქონში მიიპატოჟა.

— არა, აქ გამოდი, საქმე მაქვს შენთან.

— ჩემთან? — გაუკვირდა მასპინძელს. ჩაიცვა და ეზოში გავიდა. სტუმარი ცხენიდან ჩამოსტა, ლაფშა ხეზე მიაბა და იარაღი გაისწორა ტანზე.

— გისმენთ, ჩემო ბატონო, — ზრდილობიანად თქვა მისომ და ბამბუკის სკამზე მიუთითა. — დაბრძანდითო.

ჩიქურ ფეხზე იდგა და მისოს ამღვრეულ თვლებს არ აცილებდა, მერე პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ფერიდეს იცნობ?

— კი, ერთხელ შევხვდი წყაროსთან ტყეში, რამე მოხდა?

— არაფერი ისეთი. — მოსულმა ჩაახველა და ხმას ოდნავ აუწია, — ფერიდე მიყვარს.

— მერე?

— შენ მიშლი ხელს.

— მე? — გაუკვირდა მისოს. — მე რატომ?

— ფერიდეს შენ უყვარხარ. იგი ჩემია და ცოცხალი თავით არ დავთმობ. ეს უნდა იცოდე.

— კი, მარა მე რა შუაში ვარ?

— ხომ გითხარი, შენზედ შეეყვარებულა და მე უარი შემომითვალა.

— მერე მე რა ვქნა, რით დაგეხმაროთ?

— წადი და უთხარი, რომ სხვა გიყვარს. მორჩა და გათავდა.

— ამ ტყეში სხვა ქალი თვალით არ მინახავს, დამიჭერებს? ტყუილი ვთქვა?

— აგი არ ვიცი მე, ახლავე წახვალ!

— კეთილი.

— რა კეთილი?

— ქალს ვინც უყვარს, იმას გაჰყვება ცოლად, ასეა წესი.

— რა წესი?

— სიყვარულის წესი.

— ხედავ, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული ..

— სად?

— ამ ქონში.

— მერე მოთხარე და წაიდე.

— ზაიტ, შენ მამაძაღლო, რას მიბედავ, აქვე გაგათავებს!

სტუმარმა იარაღზე გაიკრა ხელი, მაგრამ ვინ აცალა. მისომ ერთხელ კიდევ გაიხსენა ფირალობა, სტაცა ხელი თავგასულ მეზობელს და ცემა-ტყეპით გააგდო ეზოდან.

— მე შენ გაჩვენებ სიერს! — იმუქრებოდა იარაღყრილი სტუმარი მეველად ჩაფიქვნილი, მაგრამ აბა რას გახდებოდა მისოსთან. მისო თავის ქონში დაბრუნდა, ეზოდან ისე

— და გინდა კიდევ? — ჰკითხა მიხომ.

— იარაღი დამიბრუნე და წავალ.

— კაცმა რომ თქვას, იარაღის ღირსი არა ხარ შენ.

— ხალხი გამცინებს. მომეცი იარაღი!

— კარგი, მოგცემ. — თქვა მიხომ და ფეხებთან დაუყარა.

მეველუდ ჩაფიქვ ცხენზე შეჭდა და ტყეში გაუჩინარდა. ამის შემდეგ იგი აღარ გამოჩენილა.

* * *

მერე ყველაფერი კარგად აეწყო. ფერიდემ მოუხშირა წყაროსთან სიარულს, მიხომც შეპირებულაფით დახვდებოდა მუხანსთან, ღოქი რომ აივსებოდა წყლით, ქალიშვილი არ ჩქარობდა, შორიდან უთვალთვალდებდა. მიხომც უფრო გაუშინაურდა.

— მეველუდ ჩაფიქვ მემუქრება. — უთხრა მიხომ.

— ვიცი. — თქვა ფერიდემ და გაუღიმა.

— თვითონ გითხრათ?

— ზო, ჯერ მიხოს მოვკლავ, მერე შენც მიგაყოლებო— დამემუქრა.

— თქვენ რა უთხარი?

— მე? არაფერი, გამეცინა. განა მეველუდი ის კაცია მკვლელობა რომ ჩაიფიქოს? დამბაჩით იმუქრება, ჯერ ჩიტიც არ მოუკლავს, ვიცი მაგის ხასიათი, მშინაარა.

— თუ უყვარხართ, მაშინ?

— მაინც ვერ გაბედავს.

— მაინც დაფიქრდით.

— რაზე? რაზე დაფიქრდე?

— მეველუდი შურს იძიებს.

— გეშინია?

— მე არა, თქვენ არ შეგემთხვას რამე. სიყვარული აბრმავებს კაცს.

ფერიდემ გადაიკისკისა, მერე მიხოს ღმილით შეხედა, ვაუთან ახლოს მივიდა, თვალები მიანათა და უთხრა:

— მეველუდს პირდაპირ ვუთხარი, მიხომ მიყვარს-მეთქი.

— მართლა? რა გაბედული ყოფილხართ.

— რომ შემხვდი, მერე მოსვენება აღარ მქონია და ვერ ვხვდებოდი, რა უფმურთ შემიჩნდა სულსა და გულში... მეველუდი გადაირია, მაგრამ აქ არაფერი რომ არ გამოუვიდა, სახკარი მიატოვა. ამბობენ, ქალაქში გადასახლდაო.

— კარგი უქნია. — გაუხარდა მიხოს.

— მეც ასე ვფიქრობ.

ქალს გაეღიმა.

— ორს როცა ერთმანეთი უყვარს, მესამე ზედმეტია.

— თქვენ უკვე გადაგიწყვეტიათ ყველაფერი.

— კი. გულმა ასე მიკარნახა, ასე ჯობს.

— მერე მშობლები? მაშას არ ჰკითხეთ? არ გაჯავრდება?

— მაშაჩემი კეთილი კაცია, შენც პატივს გცემს, მშრომელი და მართალი ბიჭიაო, ზევრჯერ უთქვამს.



— მუშ შემოსვალთ ჩემს ღარიბულ ქონში?

— ჯერ არა. ვინმე დამინახავს, ხომ იცი, ქორმა ქვეყანა წალეკა. ჩემთვის უცნო ბი არაა შენი ქონი, ქონებაც და ვაჟაცობაც.

— საიდან? როგორ? — გაუკვირდა ვაჟს.

— ეხ, მიხო, მიხო, ქალი ეშმაკზე აღრეა დაბადებული. — ფერიდეს გაელიმა, მიხო უფრო გადარია ამ ქალიშვილის სითამამემ, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ფერიდე აღარ იყო.

ქალიშვილი ერთი თვე აღარ გამოჩენილა. ამან მთლად გადარია, მოსვენება დაჰკარგა. ხანას მიქელაძის სახლს ხშირად ჩაუვლიდა. ფერიდე არსად ჩანდა, ნუთუ გაათხოვეს, ნუთუ ყველაფერი წამიერი მოჩვენება იყო, იქნებ მამამ უარი თქვა, მშობლებს ვერ გაუწია წინააღმდეგობა და შავწვერა მევლულ ჩაფიქს მიათხოვეს?

მაგრამ სჭეროდა, ქალიშვილს რომ უყვარდა, თვითონ გადაუშალა გულის ნადები, სიყვარული გაუმხილა, მისი ნაზი ღიმილი და ანთებული თვალები არ ტყუოდნენ.

ერთხელ შრომით დაღლილი მიხო შინ ბრუნდებოდა, წყაროსთან შეჩერდა, მიხომ იცნო ფერიდეს კოკა, სმენა დაძაბა, გაელიმა, მუხას ამოფარებული ქალიშვილის გაბადრული სახე დაინახა. — ფერიდე შენ? — პირველად მიმართ შენობით.

— მე ვარ, მე, მიხო.

ქალიშვილი მუხის დიდ ტანს მოშორდა და ვაჟს მიუახლოვდა.

— სადა ხარ, გოგო, ამდენ ხანს?! დავიწვი კაცი, განა ასე შეიძლება? რა შავი აზრი არ მომივიდა თავში.

— მამაჩემს კაცები გაუგზავნენ!

— ყაბულსაა?

— დედას გავუმხილე, დედამ მამაჩემს ჩაუყაჭა ყველაფერი, მამაჩემი არ გაბრაზებულა, მოკლედ უთქვამს: — მომწონს მაგ ბიჭი, არ იქნება ურიგო ავი საქმეო.

— ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! — სიხარულით შესძახა მიხომ.

— მეც. — თქვა ფერიდემ და ვაჟის წინ მორჩილად თავი დახარა.

* * *

მალე ქორწილი გადაიხადეს, ყველა ულოცავდა ფერიდეს და მიხოს ამ ბედნიერ დღეს, მართლაც ღირსეული წყვილი იყო, ყველას ახარებდა მათი დაწვევლება, მიხოს სიხარულით ფრთებს შლიდა.

ერთი წელი გავიდა იმ დღიდან, შუა ტყეში მაჭახელა გავარდა, მიხოს პატარა ფაქხაში ვაჟი დაიბადა, მალე მიხომ ძველი კარავი დაანგრია და წაბლის ოდა წამოკიმა, კიდევ ორი ვაჟი შეეძინა, ამაზე მეტი სიხარული რა იქნებოდა. ფერიდე ქალიშვილს ნატრულობდა, მაგრამ ამ წაბლის ოდას ვაჟიანობა დაუბედა ღმერთმა.

მიხო დღე და ღამეს ასწორებდა, ფერიდე შესანიშნავი მეუღლე და მშრომელი ქალი გამოდგა, არაფერს თაკილობდა, მიხოს გვერდით ვაჟაკურად ეწეოდა ცხოვრების მძიმე უღელს, შინ და გარეთ ჯარასავით ტრიალებდა, შვილებს სითბოთი და სიყვარულით ზრდიდა, შრომას, სწავლას, სამშობლოს აყვარებდა, უჭირდა, მაგრამ არ იმჩინებდა შრომობდა და იმედით შეჰყურებდა მომავალს.

სოფელი კი მხრებს შლიდა. მთის რაიონებიდან დაიძრა ხალხი, ვინ სად დასახლდა და ვინ სად. გაიჩხა დაბურული ტყეები, გამოჩნდა ქვითკირის სახლები, გაიყვანეს გზები, ახმაურდა მიდამო, მიხომაც წამოკიმა აგურის ორსართულიანი სასახლე, ამით ახალბედა მეზობლებს აგრძნობინა, რითა ვარ თქვენზე ნაკლებიო. გავიდა ცოტა დრო და სოფელში ფეხი მოკიდა კოლექტივიზმა. ვინც უარს იტყოდა კოლექტივიზმში შესვლაში სასტიკად დევნიდნენ, ვისაც ორი ან სამი ძროხა და სახეღარი ჰყავდა, კულაკად აცხადებდნენ.



ბდენს, საკუთრებას მიჩვეული გლეხობა ოფლით მორწყულ მიწის ნაკვეთს ვერ იმეტებდა. დაიწყეს დაპატიმრებები, მავანს და მავანს შავ სიაში წერდნენ, სოციალიზმის მტრებად აცხადებდნენ, ციმბირში გადასახლებით ემუქრებოდნენ. ძველი ნაყარალარი მიხოს საშიშროების მოახლოებას გრძნობდა, ამიტომ ჩუმად იყო, მორჩილებით აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ, მაგრამ დასმენის ეშინოდა, მეველად ჩაფიქ მუქარას უთვლიდა ქალაქიდან, სამარის კარამდე არ გაგანარებო.

სახელმწიფო უშიშროების აგენტები ყურებდაცქვივითი დადიოდნენ ხალხში და საჭირო „მასალებს“ კრებდნენ. მოკლე დროში ბევრი მიწის მუშა გადასახლეს პატარა სოფლიდან, მოაშორეს ოჯახს, ცოლ-შვილს, მიწას და ციმბირის გზას გაუყენეს. დანაშაულს არავინ იძიებდა, ბავშვებსაც რომ დაესმინა, დაგიჭერდნენ, მიხო თითქმის აღარ ათვდა ღამეს სახლში. მეველად ჩაფიქ ახისინებდა გველივით ენას. ჩემი დრო დადგაო, შურისძიებას აყოლილი კაცი ჰაერს წამლავდა, რამდენი წელი გავიდა და გულიდან ბოლმა ვერ ამოირეცხა. იმასაც ამბობდნენ, ჩეკაში ჩაეწერაო.

* * *

მიხოს ეზოში სამი ტყავის ქურთუკიანი უცნობი მამაკაცი შევიდა. ყველაფერს ავირდებოდნენ — ეზო-კარს, სახლს, ბავშვებს, მერე ოჯახის დედა იხმეს, ფერიდე ოთახში ხელსაქმობდა.

— სად არის მიხო?!

— არ ვიცი. მგონი გურიიში წავიდა. — თქვა დაბნეულმა ქალმა და სამეულს ცივად შეხედა.

— ვისთან?

— ავადმყოფი ნათესავი მინდა მოვინახულოო, თქვა.

— სოფელი არ უთქვამს?

— არა.

— იტყოდა, მაგრამ...

— არ უთქვამს, ბატონო, და რა ვქნა.

— კარგი, რომ ჩამოვიდეს, სოფლის საბჭოში გამოცხადდეს, სამსახური უნდა შევთავაზოთ.

— კი, ბატონო.

რა თქმა უნდა, ფერიდე მიხვდა, ვინც იყვნენ ისინი და რა სამსახურსაც სთავაზობდნენ. ციხეში უნდა გამოეკეტათ.

შინ დაბრუნებულ მიხოს თუთის ხესთან შეხვდა შემოფოთებული ფერიდე.

— თავს უშველე, გეძებენ.

— ვინ მეძებს?

— ისინი იყვნენ.

— მინც გამყიდა მეველდამ, — თქვა მიხომ და ფერიდეს შეხედა. — არაკაცი ყოფილა, ხედვ, როგორ გადამიხადა სამაგიერო, ფუი მაგის კაცობას.

— წადი, დაიმალე! ასე აჯობებს.

— სად დაემალეები ამ ონერს, აბა, სად?

— სადღაც უნდა წახვიდე.

— მერე შენ, ბავშვები? ყველას ჩაგურიან ციხეში. რა ვქნა ახლა მე? — ნადვლიანად თქვა მიხომ და ეზო-კარს გადახედა, ბავშვები თამაშობდნენ, ფერიდეს მკვდრის ფერიდო ხანჯე.

- მეტი გზა არაა, წადი, მიხო, ერთხელ კიდევ გაიხსენე ძველი საქმე.
- შენ დაგაბატობრებენ.
- შე რა შუაში ვარ. ისინი შენ გეძებენ.
- ცოლი ხარ ჩემი, შენ კი მავნებელი ქმრის მეუღლე.

მიხოს ერთი აზრი მოუვიდა თავში, მისი ნამდვილი გვარი მშვიდობაჲ იყო. მიხოს შგაბრებნი ასე იცნობდნენ, ხოლო მოსულიშვილი მერე შეარქვეს. ეს უშველიდა ახლა. გაღწევიტა, ჭიათურაში წასულიყო მეგობრებთან და საღმე სამსახური ეშოვნა.

იმ საღამოს გაიპარა სოფლიდან... მალაროში დაიწყო მუშაობა, კარგი სახელით სარგებლობდა, სამი წელი იმუშავა, იშვიათად გამოჩნდებოდა სოფელში, ფულიც იშოვდა, ჭილდოც დაიმსახურა, ვინც მიხოს დაბატობრებას ცდილობდა, თვითონ ისინი დაბატობრებს, ბევრი სხვაც მიაყოლეს, იმ აურზაურში არავის ვახსენებია მიხო. ამასობაში კოლექტივი მოძქდავრდა. მთელი მოსახლეობა ძალით თუ ნებით არტელში შერეკეს, მიხოს ისევ ოჯახში დაბრუნდა.

ამასობაში მიხოს ვაჟები წამოიზარდნენ. კარგად სწავლობდნენ, საშუალო რომ დაამთავრეს, რიგ-რიგობით უმაღლესში მოეწევენ. ირაკლიმ უნივერსიტეტში ჩააბარა გამოცდა, შუათანა ვაჟი ინჟინრის პროფესიამ გაიტაცა, ხოლო უმცროსი არჩილი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ფერიდე და მიხო ამაყობდნენ შვილებით, გახარებული მშობლები დღე და ღამე ჭეშაობდნენ, ადვილი არ იყო სამი სტუდენტის შენახვა დედაქალაქში. მიხო ყოველი შვიის ბოლოს სავსე ხურჯინით ჩადიოდა ბიჭებთან, მონახულებდა, ფულს დაუტოვებდა, ჭკუას დაარიგებდა, ბიჭები გრძნობდნენ მშობლების ამაგს და ბეჭითი სწავლით პასუხობდნენ, მაგრამ ეს მყუდრო ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელდებულა. ომი დაიწყო და სამივე ბიჭი ფრონტზე წავიდა. ერთ დღეს დაიმსხვრა ამდენი ხნის თავნაკლავი, სხანარული მწუხარებამ შეცვალა, დიმილი — ტკივილმა, მიხოს ოჯახში ჩამოწვა დუმილი, სევდა... ფერიდეს თვალები აღარ გაშრობია, სულ ტიროდა, წუხდა, შფოთავდა, გაქადარავდა, ძილი და მოსვენება დაკარგა, შვილები აბოლებდა, ბურანში ირაკლი, ვაჟა და არჩილი ხან სისხლით შეღებილი ეჩვენებოდა, ხან სადღაც უცხო ტყის პირას დაცემული და ჩამარხული, ძილში წამოიყვირებდა და მიხო დაამშვიდებდა.

— ცული სიზმარი ვნახე, — იტყოდა ფერიდე.

— მერე სიზმრის გჯერა? — ბიჭები ფრონტზე არიან და იმიტომ მოგეძალა სიზმრებიც, კარგი, გეყოფა, დაიძინე, ღმერთი არ გაგვწირავს, ან რატომ უნდა გაგვწიროს, სიკეთის მეტი არაფერი გვიკეთებია ამ სოფლად.

ასე გრძელდებოდა ყოველ ღამეს. ფერიდეს კოშმარული სიზმრები მოსვენებას არ აძლევდნენ.

მიხოც მოტეხა ომმა, ძალა დააკლდა, ტკივილი დაჩემდა, შრომაც ისე აღარ ახალისებდა, ღმერთს თხოვდა, ნუ დამტოვებ მარტო, არ მომიძულო გამჩენელოო; ასე მოქვამდა, მაგრამ მშობლების მწარე გოდებას ღმერთი არ ისმენდა.

შეწყდა წერილები, ამან მთლად ააფორიაქა ფერიდეს გული, აგერ სამი თვეა ფრონტიდან არაფერი ისმოდა. მალე მოვიდა შავი ქალღიმი. ირაკლი ქერჩთან დაეხმარა ხოლო ვაჟა სტალინგრადის მიწას მიაბარეს. არჩილი როსტოვთან დაიჭრა და სარატოვს ჰოსპიტალში იმუშებდა იარებს. ეს ამბავი დედას დაუმაღლეს.

სოფელში ყოველდღე მოდიოდა შავი ქალღიმი, შექმნდა ყველა ოჯახში კივილი ცრემლი, გოდება და ტკივილი. მოსუცი გარეგნულად თითქოს არაფერს იმჩნევდა. პირქით, ფერიდეს ამხნევებდა, თავგამოდებით შრომობდა, უქმად ყოფნა არ შეეძლო.

ფერიდე სწირად კითხულობდა:



- მისო, რატომ შეწყდა წერილები?
- ომია, ფრონტიდან წერილები იგვიანებს ხოლმე.
- ბიჭები ტყვედ არ ჩავარდნენ, თორემ ამ სიბერეში ერთხელ კიდევ აგვიკლებენ.
- არა, არა, ამის გაგონებაც არ მინდა.
- ხეფერთელაძის ბიჭი თავის ნებით გადასულა მტრის მხარეზე. — თქვა ფერიდემ.
- რომელი? ისმაილი?
- არ ვიცი. სამი ძმაა ფრონტზე, რომელი წავიდა იქით არ ვიცი.
- მამამისს დახვრეტენ ალბათ.
- მამა რა შუაშია?
- არაფერ შუაშია, მაგრამ ასეთი წესია.

ოჯახის დედას ავადმყოფობა დასჩემდა, გულმა შეაწუხა, ამდენმა უძილობამ, ღამის თითოდა თენებამ და ფიქრებმა ქალი წელში გატეხა, გრძნობდა რაღაცას უშალავდნენ.

- მისო, — უთხრა ერთხელ ფერიდემ. — გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა?
- აბა, არა? მახსოვს თითქოს გუშინ იყო.
- იმ შეხვედრას და სიყვარულს გაფიცებ, მითხარი რამე თუ იცი ჩვენი შვილების ამბავი?

- რა უნდა ვიცოდე? — მხრები აიწურა მისომ.
- დაგველუბა ხომ საბივე?
- ვინ გითხრა მაგი შენ?
- არავინ, გუმანით ვხვდები.
- არაა მაი მართალი.
- აბა, სახეს რატომ მარიდებ? შენ რაღაცა იცი და მე მიმალავ.
- წერილები რომ შეწყდა, ეს მაწუხებს.
- ქაღალდი ხომ მიიღე?
- რა ქაღალდი.
- შავი ქაღალდი.

— კი, მისო, კი, სიმართლეს ვერ გაეჭკვევი. და მაგ ამბავს დარდად ნუ გამბატან საფლავში.

მისოს ცრემლი მოადგა თვალებზე, მაინც გაუძლო ცოლის შემოტევას და მის გამბატანულებას შეეცადა.

- ადექი, წავიდეთ იმ წყაროზე!
- სად? — გაუკვირდა ფერიდეს.
- სადაც შევხვდით ერთმანეთს პირველად.
- გაგიჟდი? იქ რა გვინდა?
- ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის დრო.. არა, მართლა ნუ წავალთ, თვალები დაგნუჭოთ და გავიხსენოთ.

— მერე მევლუდა? მევლუდა, რომ აღარაა ცოცხალი? — კინლამ გაეცინა ფერიდეს.

ფერიდემ მართლაც დახუჭა თვალები, მაგრამ ომში წასული შვილები გამოეცხადნენ და ისევ აემღვრა გონება.

მაღე ეჭიმი მოვიდა, გახინჯა, წამლები გამოუწერა, მისოს ცივად შეხედა. სანუგეშოდ არაფერი უთქვამს. გახუნებული შლაპა დაიხურა და უსიტყვოდ წავიდა. ჭიშკართან ოღნავ შეჩერდა, უკან მოიხედა, ხელი ჩაიქნია და გაუჩინარდა.

ფერიდემ იმ საღამოს უფრო შეწუხდა. ხოლო განთიადის მოახლოებისას გარდაიცვალა, სასიუმეალოთან მისოს თავი ჩაერგო ხელებში და გოღებდა.



ფერიდებ რომ მიაბარეს მიწას, მისხმ ჯიბიდან ორი შავი ქალაღლი უჯრაში შეინახა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტოვთან დაქრილი არჩილი სარატოვის ჰოსპიტალში განიკურნა და ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე სახლში დაბრუნდა. ისევ განაგრძო სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში, წარჩინებით დაამთავრა, თბილისელი თანაკურსელი ქალიშვილი შეირთო ცოლად და ორივე ექიმების დიპლომებით სოფელში დაბრუნდნენ. ქეთო მალე შეერჩვა სოფელს, ჯერ სოფელში მუშაობდა ექიმად, მერე რაიონში გადავიდა, არჩილიც იქ მუშაობდა და ცოლ-ქმარს ხალხში კარგი სახელი გაუვარდა.

ასე მიდიოდა დრო, წლები... მისხმ სანამ შეეძლო, ხელიდან თოხი და ბარი არ გაუვდია, ბაღში ტრიალებდა, ბარდს და ეკალს არ ახარებდა, მაგრამ წლებმა თავისი გაიტანა, მისოც ლოგინად ჩავარდა, დიდხანს წვალობდა, მაგრამ საწვალბეული თურმე მაინც წინ ჰქონდა.

ბერიკაცი მოსავლელი და საპატრონო რომ გახდა, ქეთომ უცებ შეიცვალა ხასიათი, არჩილიც აჰყვა ცოლის კაპრიზებს. ამას გრძნობდა მისო, ჩუმად იწვა. ბნელი ოთახის კუთხეში და ხმას არ იღებდა, რძალი ყველაფერს აყვედრიდა. მისო სახეს არიდებდა, ცდილობდა სიკეთით გადაეხადა, მაგრამ არ შეეძლო, ფეხები დაუსივდა, სიარული უჭირდა, გული აწუხებდა, ხშირად ცივდებოდა, ახველებდა, მაგრამ რა ექნა, სიკვდილი აგვიანებდა.

რამდენჯერმე შევედრებია ღმერთს: თუ ჩემთვის სიკეთე გინდა, გამათავე, რისი მკენის ვარ, ყველას შეეძულდი, გავტანჯე დიდიც და პატარაც, საკუთარ შვილსაც აღარ ვუნდივარ, ამართვი ეს გატანჯული სული, მომასვენე მასთან, ვინც ასე მწამდა და მიყვარდა, ჩემი სიკვდილით ჭირს მოვაშორებ ოჯახსო, მაგრამ ღმერთი არ ისმენდა მიწის ვედრებას.

— კარგი, გეყოფა. რაა და შავი ჭირი.

მოყვებოდა ქეთო-ექიმი, ოჯახის რძალი, წუწუნს: დავიტანჯე, ვის შევწირე ყმაწვილქალობა, რა მინდოდა ამ ტალახში, მშობლები ნიავს არ მაკარებდნენ, ახლა ამ ბერიკაცის შემხედვარე მთლად ჩამოვდნი, რა წამლები არ ვუშოვნე, არაფერი ეშველა, სიბერე განა განიკურნება?

— არ მინდა შვილო წამალი. — ჩუმად იტყოდა მისო.

— აბა, რა გინდა, შე უბედურო.

— ტყბილი სიტყვა. იგი უფრო მომარჩნის.

მოსუცი ყურადღებას არ აქცევდა რძლის გაუთავებელ საყვედურებს, სახეს მოარიდებდა, კედლისკენ გადაბრუნდებოდა, ხანდახან სასთუმალზე წამოჭდებოდა, შირჯვარს გადაიწერდა, ცისკენ ხელებს აღმართავდა, გამჩენელს ევედრებოდა: — კი დიდი უფალო, კი, დავბერდი, რაღა დროს სიცოცხლეზეა ლაპარაკი, მომკალი, მომასვენე მეც და სხვებიც. ვერ წარმოიდგენ რა შვებით ამოისუნთქავენ, გაიხარებენ, ერთს ხალხის მოსაჩვენებლად წაიტირებენ და ამით მოთავდება ყველაფერი, აბა შენ იცი ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება, მაღირსე სამარე და მოსვენებო...

რძალი კი ისევ საყვედურებით იკლებდა ბერიკაცს.

— მეტი აღარ შემიძლია ასე ცხოვრება, შვილების გავრდა, ოჯახის პატრონობა, შენ მოვლა.

— ჩემს თავს თვითონ მოვუვლი. ეუ გეშინია, მალე წავალ. აღამიანი მარადიული როდია, შვილებს დედა სჭირდება, კერძას ნუ გააცივებ, განათლებული ქალი ხარ, ციერას ნიშნავს ოჯახი, ქმარი, შვილი. შენ ეს არ გეკადრება. მეტი არ თქვა. მე წავალ, მალე წავალ. მაპატიე თუ რაზე ცუდი გაკადრე, მოგხსუციდი, გამოგჩერჩიტდი, იქნებ სათქმელი



ვერ მოვზომე, ბოდის გიხდი. ოჯახი არ დაანგრიოთ. შვილები გაზარდეთ, აი, ჩემი ანდერძი.

მიხოს ბავშვით ჩვილი გული ჰქონდა, ბოდის შენახვა არ იცოდა, გაბრაზება არ შეეძლო, ყველაფერს ითმენდა, არჩილი და შვილიშვილები უყვარდა, მის ამდენი ხნის თავნაკალავს, ჭიშს და გვარს არ ეწერა გადაშენება.

საერთოდ, ბაბუა მიხოს ჩუმში, ამტანი კაცი იყო, ცხოვრებაში იმდენი რამე ენახა და განეცადა, ვერაფრით გააკვირვებდი, ჭირში და ღხინში გაუტყენელ მოხუცს წუთისოფელში არაფერი დაჰკლებია — ცუდიც და კარგიც. მხოლოდ სიბერეს ვერ მოერიდა, ამაყი მიხოს დაგლახებას ვერ იტანდა, მაგრამ რა ექნა, რა შეეძლო?

* * *

ერთი ზაფხულის მზიან დღეს ბაბუა მიხომ ფანჯარა გააღო, ოთახში ცხელოდა, გრილმა ნიავმა შეება აგრძნობინა, მერე თვალები მოჭუტა, კარ-მიდამოს მოავლო თვალი, გაუხარდა.

ბაღში, პატარა წყაროსთან, ალუბალი შრიალებდა, მიხომ უფრო მოჭუტა თვალები, წარსულის მოგონებებში გადაეშვა. ბლის ხე რომ დაამყნო, მოწიფული კაცი იყო, ბნელ ფაცხაში ცხოვრობდა, ჩიტვით ლაღი და თავისუფალი დაჰქროდა უსიერ ტყეებში, ხან ნადირობდა, ხან რგავდა, ხან ამყნიდა.

ალუბალმა პირველად რომ ნაყოფი მოიხსა, ფერიდგ ფეხშიმედ იყო და ბლით დახუნდლული ტოტი მიუტანა.

— შეხედე, რამდენი მოუსხამს?

— რატომ მოტყხე, ცოდვა არაა?

— კი, კი ცოდვაა, მაგრამ შენთვის მინდოდა მომეტანა ასე ცოცხლად.

ახლა ამ ალუბალს ჩიტები ეხვევიან, ისმის ჭიკჭიკი, სტვენა, გალობა... მიხომ საწოლიდან წამოიწია, ფანჯარაში თავი გაყო, ალუბლის ტოტებზე ფრინველების უვიღხივილი არ წუღებოდა, თითქოს მთელი სოფლის ჩიტები აქ ირეოდნენ, გემრიელ ნაყოფს შეექცეოდნენ, მაინც დალოცვილს იმდენი გამოესხა, ტოტები ატყდებოდა. მიხოს გული სიამით აევსო. სადღაც გაუგონია, თუ ერთი შვილი და ერთი ხე გამოზარდე, უკვდავებაც ეს არისო, ბაბუა მიხოს მთლად ჩაიძირა წარსულში, რაღაცას მისთვის ჩურჩულებდა, სწორედ ამ დროს შემოვიდა ქეთო. მოხუცი უცებ გონს მოვიდა.

— ქეთო, მოდი ერთი წუთით თუ შეიძლება?

— რა გინდა?! — ცივად ჰკითხა რძალმა.

— იმ ალუბალს ხედავ?

— ვხედავ. მერე რა?

— ბევრი გამოუსხამს?

— წელს საერთოდ უხვადაა ხეხილი.

— ჩიტებს ხედავ ალუბალზე?

— ვხედავ.

— რას შვრებიან?

— ალუბალს მიირთმევენ. ჩიტებს უყვართ ბალის ნაყოფი.

— მართო ჩიტებს?

— მეც მიყვარს.

— ახლა ყური დაიმიდგე შვილო. მეც რომ იმ ხესავით ნაყოფი მესხა, ყველა მეხვეოდა, შენც, არჩილიც, სხვებიც, მივლიდით, მიფრთხილდებოდით. რატომ? კიდობან?



საჯეს გქონდათ, ჩაცმულ-დახურვა, ფული, პური, ხვავი, ბარაქა, სტუმარი, მოყვარული გვაკლდა. დამეს ურომაში ვათენებდი, რომ არაფერი დაგვკლებოდა... დღეს ალუბლის ხე ტები ეხვევიან, ხვალ როცა ნაყოფი გამოიღვეს, ერთიც აღარ მოფრინდება, ახლოს არ გაეკარებიან, აღარც კი გაინხენებენ, სხვაგან გაფრინდებიან, ხოლო როცა მთლად ფულდრო გაუჩნდება, დაბერდება, დაჩაჩანაყდება, ნაჯახს დაჰკრავენ, მოჭრიან და იქაურობას გაასუფთავენ, რომ სხვა მცენარეებს არ მოუჩრდილოს.. მეც, ალბათ, ასეთი დღე მომელის.

მოსუცმა ეს თქვა და მკერდში სიცარიელე იგრძნო, უცებ ალუბლის ხე შექანდა, ფრინველები სადღაც გაფრინდნენ, აღარ ისმოდა ჩიტების შვილ-ხივილი, მხიარული ჭიჭიკი და გალობა, ღია ფანჯარაში ბანჯგვლიანი, გასისხლიანებული თვალებით უჩრხული შემოდიოდა, მიხოს გაბრძოლება აღარ შეეძლო, შავი უჩრხული ძლივს შემოეტია ფანჯარაში, ბერიკაცს სული ენუთებოდა, თვალები ველარ გაახილა, რაღაცას ბუტბუტებდა, ბოლოს უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და ჰკითხა: — ვინა ხარ შენ?

- მე სიკვდილი ვარ. — უპასუხა უჩრხულმა.
- ღმერთს მადლობა, რამდენ ხანს ველოდი ამ სანეტარო წამს!

ქეთო გაქვავებული და გაფითრებული იდგა ბაბუა მიხოს სასთუმალთან. მერე ავადმყოფის მაჯას ეცა, გული შეუქანდა, თვალეზზე ხელები აიფარა და აქვითინდა.

- მაპატიე მამა, ყველაფერი მაპატიე, ნუთუ?!.
- კი შვილო, კი. ძლივს მეშველა. ღმერთს მადლობა, მგონი ვკვდები, მივდივარ, მეც მოვისვენებ ჯა თქვენც... — იცი რა უთხარი არჩილს? — ალუბლის ხე დაშირგას საფლავზე. მეტი არაფერი, ალუბალი-მეთქი, გასსოვდეთ.

მიხომ კიდევ ერთხელ შემართა დამკვნარი ხელი და მერე ყველაფერი გათავდა. სახეზე მაინც ღიმილი შეჩვენოდა...





აღსდგა სიცივე,
 ბედი ეღირსა,
 დაჭედა მიწა ყინულის ნალით,
 ტახტდაკარგული მზე დეკემბრისა
 გადივლის ცაზე მცირე ამალით.
 აღებს იმედი დაბზარულ კარებს,
 არყოფნისაგან ველებს რომ

იკავს,

გაძარცვილ ვარდის ბუჩქს
 თავს ვერ ვაფარებ,
 დაშკდარ ყელიდან
 სული მომიჩანს.
 მაწამებს ნისლი,
 არყოფნის ფერი
 და ცრემლი,
 ქარში რომ იწყებს
 ლივლივს,

შკვე სახელიც მშორდება ჩემი,
 წითელ ჩიტვით შორიდან
 მივლის.

გუყურებ მიწდორს —

ქარში მძინარეს,
 სიზმარს —

დაჩეხილს მღვრიე დიდებად
 და ჩემი ტანი,
 როგორც მდინარე,
 წლების მინდორზე მიეღინება.

* * *

არ მზიბლავს შუქი
 მზისა და მთვარის,
 მეღარ მამშვიდებს

ლოდინით დაღლილს
 და უყვავილო მინდორში მდგარი,
 სიტყვებს ვით უწინ
 სხვის სულში არ ვღვრი.
 აღარც ბგერები მწვავენ იმედით,
 ერთი მათგანიც არ იწყებს
 კრიალს,
 ტანჯვის და წარღვნის
 მომლოდინენი

ცახცახებენ და
 ყელზე მეკვრიან.
 არაფერს ვუცდი,
 ჩემი ღროის მზეც
 დაღდასმულია მომავლის
 ჩრდილით

და დიდ გვალვაში
 არ ჩანს ერთი დღეც,
 ვარდის ყვავილის გულივით
 გრილი.

შენ კი რა გიშავს,
 ძველებორ გზნებით
 კვლავ ელოდები არშობილ მზის
 ცალს,

ცას ეკვრის ჩიტი,
 შორეულ ფრთებით,
 თითქოს გათბობს და
 წვიმისგან გიცავს.
 გახარებს ჰავა,
 მშრალი და გრილი,
 გართობს ლოდინი
 და შორი დილა,
 და როცა მოვა შენთან სიკვდილი
 ველის არწივის ფრთით
 მოგიჩრდილავს.

შუქის სათიბებს ბინდი რომ
 თიბავს

და შორს ქარვისფერს
 როცა ჰბანს სერებს,
 მღვთვებიდან გამოდის ვილაც,
 დაბალზამებულ მზეს
 მოასვენებს.

და მოჩანს უამი,
 მოჰყვება გზაწვრილს.
 გვიახლოვდება ნაცნობ ფერივით,
 ოდესღაც წუთით
 მისანთა თვალწინ
 ხარის სისხლიდან ამოფრენილი.
 შედის წარსული მომავლის
 ნისლში

დაღვრილი სისხლით.

მბუტბავი ალით,
 როგორც ტაძარში მზის

კოცონისთვის
 შვილშემწირველი წარმართი
 ქალი.

და წინაპრები არყევენ ველებს,
 იხდიან მიწის უანგიან თორებს,
 სამარხებიდან გვიქნევენ ხელებს
 და ძვლების ხორციტ შემოსვას
 გვთხოვენ.

მე რა შევიძლო,
 გაყუჩებ სულში
 სევდის ქარვისფერს,
 ბობოქარ ზვავებს
 და ფერშეცვლილი მთოვარის
 შუქზე
 ქვითინით ვრეკავ კენკემას
 ზარებს.

ხეობა, ბინდში მფლობელი
 მნათის

ბოლო სხივის
 და ადგილის მცირის,
 ჩვენს წინ დაფრინდა
 როგორც რომ შაშვი,
 ყვითელნისკარტა,
 კულმოკვეცილი.
 კლდესთან ჩქამია,
 სიბნელე ბარდნის,
 გვიმალავს ლოდებს
 მზისგან დაცლილებს,
 მოუძღვის ბინდი, როგორც
 ასმათი

შუქს და შორეულ გზაზე
 აცილებს.

მეზვრე მაინც ჰყავთ ზეცის
 ვენახებს,

ვილაც კვლავ უსმენს
 ზეცის საყვირებს,
 ზერაც სველ ცაზე ნამი შეარხვეს
 უარსკვლავებს,
 დიდრონთ და ნამდაყრილებს.
 ციმციმებს ზეცა და ბედნიერი
 შუქით, ვით ღვინით,
 ავლავ ვილაც თვრება,
 ითვარე კი — ძველი იბერიელი
 მტკვარში ვარდება
 და ინათლება.

და დედამიწა მარადი თმენით,
 პირქუში ღამე კვლავ დარდს
 რომ აშლის.

გახლართულია ღამაში ფრთებში
 ხშირ ვარსკვლავებში,
 ვით მავლოვანში.

დადგა ზაფხული,
გამობრძანდა დროის კარვიდან,
დამსკდარ მიწიდან
ხეს მსოუჩანს მწყურვალე ფესვი,
დარდობს გუგული,
გადმომხტარი თავისთავიდან,
გუგუს, ვით გულის ცხელ
ნაფლეთებს,

ნისკარტით მესვრის.
ოდნავ შემტკნარა ძოწის ვარდი,
თუმც ისევ ბორგავს.
დედოფლობს მაინც
კმაყოფილი თავის იღბლითა,
ის ვარდიც მიყვარს,
შეკავებულ ცრემლებს რომ
მოჰგავს

და არასოდეს გამომხედავს
მწვანე სიღრმიდან.

მას ვერ შეაქრთობს წვიმისა
და ქაროს თარეში,
მას არ ექნება მოლოდინი
თოვლის და ყინვის
და ჩემი სისხლიც,
ჩამწყვდეული ჩემს ცხელ
ძარღვებში,

როგორც მამალი.
თავწაჭრილი,
ბორგავს და ყივის,
სასწაულები მაფხიზლებენ
უკვდავ ხმებითა,

გადაუფრენენ გაყუჩებულ
ნაცნობ მაყვლიანს
და მოხატული,
მშვენიერი ზარდახშებიდან
ძველ გრძნობებს,
როგორც თვალ-მარგალიტს,
თავზე მაყრიან.

სასწაულები
რომ ხარობდნენ აქამდე ჩემში,
მიაქვთ ქარებს
და ყვავილების წვეწვი ავლებენ,
მკვდარ სიტყვებს ვხედავ,
დაძდარ ყელზე უკუნ ღამეში
ზინათებივით რომ წკრიალებენ.

იქ ვილაც ბნელში,
პირველი მზის ფერფლი რომ
ცვივა,

ჩერდება ცრემლთან
— იმედების პირველ ნიშანთან,
ერთიმეორეს ცავი ძვლები როცა
კოცნიან,
ძველი სურვილი მკერდს
მიბუგავს

და ყელს მიშანთავს.
ბევრია ბნელში
მოთმინება — ბუდე მერცხლების
რომ დაუნგრის
ტანჯვითა და სიმწრით ნაგები,
ვით გაზაფხულზე
მკვდარი ჩიტის ტანში კვერცხები,
გაყინულ ყელში ჩარჩენიათ
თბილი ჰანგები.

მე კი არ ვჩქარობ,
როცა ზეცა ფიანდახს გაშლის,
როცა შელეწავს მზის ელვარე
კარებს სურვილი,
ჩემი მცხუნვარე ქვეყნებიდან
შემომამქვს ცხადში
ლამაზი ლექსი,
ხატაური აბრეშუმივით.

თავმომწონე მტკვრის გრილი
 ასკალის ვარდის ნაზ ლეჩაქში
 გაცინებული.

გადიფრენს ქორი,
 სიცხით შემკრთალ მთა-ბარს
 მოივლის,

დაჯდება ტოტზე,
 ერთადერთზე,
 გამხმარ ხეს რომ აქვს.
 მთებს ღამით მტკვარი,
 როგორც უცხო,
 გრილი ქსოვილი,
 ჯავახეთის გზით, ვით აქლემებს,
 ქართლში შემოაქვთ.
 ამ ძველ ქარავნებს,
 რომ არ უჩანთ თავი და ბოლო
 შემოაქვთ მტკვარი,
 ვისი ბედიც მუდამ გზაშია.
 კეკლუც მინდორ-ველს რომ
 აჩვენონ

და მოაწონონ.
 განთიადისას გამოჰფენენ,
 გზებზე გაშლიან,
 სადაც ადგილის მკაცრი დედა
 უთქმელი სევდით.
 ჩამქრალ თვალების კრიალოსანს
 ჰკოცნის და მარცვლავს,
 მზე ქარგავს უხვად
 ცხელ სხივებით, ვით
 ოქრომკედით,
 რომ ქართლს მხურვალე ტანზე
 ჩააცვას.

მიჰქრიან წლები.
 გულის გზებით შემკრთალი
 გარბის

ბედი,
 ქართული მთვარითა
 და ზეციით ვნებული.
 სამშობლო ჩემი —

როცა საუბრობ

იღუმალებით გაყდნთილი
 ძველი ფერები,
 ნიბლიებივით წაუღიათ სიზმრის
 ალალებს,
 როცა საუბრობ,
 ფოთლებსა ჰგავს შენი ბგერები,
 რომ ცახცახებენ
 და ნაფერებ ვარდს რომ მალავენ.
 შენი ქართული,
 გამოვლილი სულ პირველ მზეში,
 პირველ თვალებს
 და პირველ ბგერებს
 უთუოდ ხედავს.
 სიტყვათა შორის თავისუფალ
 გრძელ პაუზებში
 იღუმალ სახით
 ცურტაველის გმირები სხედან.
 კვლავ ცოცხლდებიან ბობოქარი.
 ჩავლილი წლები,
 გაისმის ხმები
 სულ პირველი წვიმის, თოვლისა,
 მე შენს საუბარს წარსულისკენ
 ისე მიყვები,
 როგორც მდინარეს ორაგული
 ქვირითობისას.
 ასწლელულთა წინ აღმომხდარი
 კენესა და ოხვრა,
 სიზმარი, ცრემლში დამალული,
 ძველი და შორი,
 შენი ქართულის იღუმალი,
 ნელი მიმოხვრა,

გარდის კაშკაში წამიერად
ზგერათა შორის.

ჩანს მტკვართან

იბერიელო, დამდგარო მზეში,
მტრის ჯავრს რომ პირქუშ ბედს
არ აჭმევდი,

შენ არ იყავი, ღვანოს ქვევრებში
და დევის ტანში სისხლს
ამაჭრებდი?!

მზეს ახსოვს შენი ლამაზი გზები,
სული,

სად ზეცა დღესაც ლერწამს
ტევს,

ქართლის ქალები,
თამამი ხმლებით

ბოლო წუთში რომ სიკვდილს
კენწლავდნენ.

რეჟრაჟზე ხელში მალავდი ცივ
ხომლს.

მზე გიღებოდა ცრემლს და
სულს წითლად,

საქართველოში ის სიტყვა იყო,
პირველად

შენს ყელს რომ დაუძწიფდა.

ახლაც შენს მკლავზე ისევ
ქართლი წევს,

გავედრებს თავას მინდვრებს
თუ ფერებს,

შენ ფარნავაზის სისხლის ბოლო
წვეთს,

როგორც ნაღვერდალს,

სული უბერე,

ბრწყინავს ბალახზე დაღვრილი
ცვარი,

ჩანს მტკვართან შუქი
ოქროს კვერთხივით
და უფლისციხე, გასაოცარი,
შენს დიდრონ ძვლებში.
გამოკვეთილი.

* * *

ეს ნაკადული,
რომ აღხენს არეს,
პატარაა და წყლის სარკე არის,
ვით სიყმაწვილის ცრემლები
თვალებს,

ამუქებს კენჭებს და აკრიალებს.
ზოგჯერ ზედაპირს შვებით
შეამსხვრევს

ელვარე მზის სხივს
— ოქროსფერ ხანჯალს,

ჯერ ყველა სურვილს,
წვეთს და ყველა შხეფს
თავის ჭკუაზე აფრქვევს
და ხარჯავს.

შუადღის ხვატში,
როს ზეცა ძველი
იმედებს ეძებს

და ძერწავს ფრთებად,
ლოგორც წითელი ფური ირემი,
მზე მოდის ხოლმე და ეწაფება.

ჩიბლავს ნაკადულს ყვავილთ
ცრემლები,

ზეცა,

რომელიც ილტვის არსაით
და ფრიალებენ მისი შხეფები,
მთიელი ქალის ჩიქილასავით.

წარსულის ციდან
 მზე დასცქერს მშვიდად
 მიწას, ცის მნატვრელს
 და დალილს შუროთ.
 განათებული მთის მწვერვალიდან
 ბილიკი ხტება, ვით ლალი შუნი.
 მოსჩანს მონღოლი.
 მისი ყიყიბა
 ძველ სასახლეებს არყევს
 და ჭერს ზღის.
 ცხენს მიაგელვებს
 ზეცისკენ მზიოალს
 და ვარსკვლავების ნალით
 დაჭედის,
 მონღოლი უცნობ თავგამოდებით
 ბედს რომ გვჩუქნიდა
 ავს და რისხვიანს.
 ბაგრატოვანთა ძველი დროშები
 გაჩორკნილ ძვლებზე
 ვინც დაიმსხვრია.
 ვინც გადასცურა ყაბი
 მკლავურით,

დიდხანს გვიხმობდა შორს
 წყეული ხმით
 და ოქროსფერი, დიდი მამული
 ვახლიჩა მწიფე ბროწეულივით.
 ძველ იბერიელს მგლის ადევს
 ფერი,
 ხელათროლებულს ცრემლი
 სძულს თვალზე
 და არშობილი სიმშვიდე ჩემი
 ვამობმული აქვს ცხენის ძუაზე.
 გაოგნებული თვალებით უცქერს
 მოწყენილ ლოდებს,
 მოსია თუ ჭრელ მოლს,
 და ვით ნიამორს,
 მკლავებზე უწვენს
 ზეცა ნაზ ღრუბელს,
 ფაფუკს. უცრემლოს.
 მაინც იმედი უხმობს ბღავილით,
 ახლოა ზეცაც
 — მკაცრი სარანგი
 და შამქორმოცილილ ჰაბის
 ხმალივით
 შემორტყმული აქვს წელზე
 არავი.



ემრულა

შავშეთის მმართველის კავშირი მემამბოხეთა რაზმთან ბოლო დღეებში კიდევ უფრო ნათელი გახდა, ამიტომ ხელისუფლებამ ბრძოლის ახალ ხერხს მიმართა. პირველ რიგში საჭირო იყო ნური-ბეგის ალაგმვა, რათა ემრულას შავშეთ-ემერხევში აქტიური მოქმედების საფუძველი გამოსცლოდა. ეს არც ისე ადვილი იყო. კულტურულ, ტრადიციულად გონიერთა ოჯახში აღზრდილი ქართველი თავადი ძალზე ადვილად გრძნობდა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ დაგებულ მახეს და თავადაც ისე ცვლიდა ტაქტიკას, რომ ვერაფერს უხერხებდნენ. სამსახურიდან დათხოვნილი ნური-ბეგი შინაურებთანაც იშვიათად გამოხატავდა თავის წყენას და დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლებასთან, თუმცა თქმის საბაბი ჰქონდა.

შათუმის გენერალ-გუბერნატორმა კომაროვმა სედრაქ არუთინოლი ისე გადააყენა, მისგან განმარტებაც არ მოუთხოვია; ანდა რაღა საჭირო იყო. ქართულმა გაზეთმა ნილაბი ჩამოხადა რუსეთის ახლადგამოცხვარ მოხელეს. მაინც რა დროს გამოქვეყნდა ეს წერილი. ახმედ-აღა ნადირაძემ დრო იხელთა. არუთინოლი გაზეთში გამოაჭენა, თავად მუჰაჯირად გადაიკარგა. ემრულას წამალივით სჭირდებოდა ასეთი სამხილი და მოლაპარაკების დროს გამოიყენა კიდევ. ვერც ოსმალეთის, ვერც რუსეთის მთავრობამ ვერაფერი უყო. პარლამენტორები კუდამოძუებული გამობრუნდნენ. ყველაფერი სედრაქ არუთინოლის კისერზეა. მისმა სიხარბემ კარგად დაწყებული საქმე ჩაშალა. როგორი გაუმაძლარი აღმოჩნდა ეს გამუსლიმანებული სომეხი. ნაქურდალი სახლში წაიღო და ძარცვაში არათუ მალაყმადის ხალხს, საერთოდ, ველარავის დასდო ბრალი. მის ადგილას ათამალიბეკოვის დანიშვნაც ამის მომასწავებელი იყო. ფოცხოველი ათაბაგების შთამომავალი, რომელმაც გვარს მამის სახელი ჩაამატა და მას რუსული ყდერადობაც მისცა, არუთინოლისაგან განსხვავდებოდა ეშმაკობით, ვერაგობით, საჭიროების შემთხვევაში, პირმოთნეობითა და ორპირობით. ათამალიბეკოვმა კარგად იცოდა, რომ ვერც ძალით და ვერც გონებამახვილობით ხიმშიაშვილ-მალაყმადის კავშირს ვერ დაარღვევდა. აქ სულ სხვა ხრიკები იყო საჭირო.

გავრძელება. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“ № 1-4

ოლთისელი გენერალ-ფაშის ქვრივის, აიშე-ხანუმის გაძარცვება
ემრულა მალაყმაძის დადანაშაულებების ერთი საკმაოდ სერიოზული
სია სეიფულამ კარგად იცოდა, მაგრამ მაშინ სიტყვა არ დაძრა. ახლა რა
ენადვლებოდა, არუთინოლლის გათავისუფლებას რახანია ელოდა, იცოდა,
ბოქაულად მის გარდა სხვას არავის დანიშნავდნენ. მართალია, ემრულაზე
დანაშაულის დამტკიცება ცოტა ხნით გადაიდებოდა, მაგრამ ამ მოუხელ-
თებელი აბრაგის საქმეს ათამალიბეკოვი თუ დაუსვამდა წერტილს... მას
მთავრობის ჯილდო და სამსახურებრივი დაწინაურება ნამდვილად არ
ასცდებოდა. ვერსია იმითაც იყო ძლიერი, რომ ემრულასთან ერთად
ნური-ბეგის დადანაშაულებაც შეიძლებოდა. ეს საიდუმლო შესაძლოა
სხვამაც იცოდა, მაგრამ ამჯერად იგი სეიფულა ათამალიბეკოვს სჭირდებ-
ოდა. პირველი შემთხვევისთანავე იგი ამას დაუპირისპირებდა არუთი-
ნოლლისაც, რომელიც სამუშაოდან დათხოვნის გამო ცხვირგაშვერილი
დადიოდა; ხემწალი ვარ და ამიტომ გამათავისუფლესო, აცხადებდა იგი.
ერთი სიტყვით, ახალ ბოქაულს, მისი ჩანაფიქრით, შავშეთ-იმერხევეში
მდგომარეობა სულ უნდა შეეცვალა, ორი კი არა, რამდენიმე კურდღელი
უნდა დაეჭირა, მოვლენების ჩარხი სხვაგვარად უნდა დაეტრიალებინა.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისას, როცა ნური-ბეგ ხიმშიაშვი-
ლი, ვითომც „სამხედრო ტყვე“, რუსეთის არმიამ წაიყვანა, შავშეთის
ერთი ნაწილი რამდენიმე დღით ქართულმა ლეგიონმა დაიკავა. წასვლი-
სას პოლკოვნიკმა გრიგოლ გურიელმა, რომელმაც კარგად უწყოდა ნური-
ბეგის „დატყვევების“ ამბავი, სოფლის მუხტარი თავისთან მოიხმო
და სამი ცალი საყვირი დაუტოვა. ეს ნური-ბეგს ვაჩუქეთ და როცა დაბ-
რუნდება, გადაეციო.

მალე საომარი მოქმედება მიწყნარდა, ხიმშიაშვილი დაბრუნდა, მაგ-
რამ მუხტარი საყვირს დახარბდა, ერთი დაიტოვა, ბეგს ორი ცალი მიარ-
თვა, თავის მხრივ ნური-ბეგმა ერთი საყვირი ემრულა მალაყმაძეს აჩუქა.

აიშე-ხანუმის გაძარცვისას თავდამსხმელებმა სოფლის მეორე მხა-
რეს მთელი ძალით საყვირი აამოქმედეს, რითაც მოსახლეობის ყურად-
ღება მიიქციეს და გააადვილეს მიზნის მიღწევა. ეს მომენტი საქმის გა-
მოძიებისას რატომღაც გამოჩნათ. მუხტარი, რომელსაც მადლიერმა გუ-
რიელმა საჩუქარი დაუტოვა, სედრაქ არუთინოლლი იყო. სეიფულასთან
საუბარში ერთ დროს მას რაღაცნაირად წამოსცდა, რომ ერთი საყვირი
მასაც ჰქონდა. ათამალიბეკოვის ფიქრით, ეს ამბავი მხოლოდ ამ ორმა
იცოდა.

ამგვარად, თუ გამოძიება კვლავ დაუბრუნდებოდა აიშე-ხანუმის გა-
ძარცვის საქმეს, ამ ვერსიის თანახმად, მძარცველები უნდა ეძიათ იმათში,
ვინც საყვირს ფლობდა: ნური-ბეგი გაილანძლებოდა, მაგრამ ძარცვაში

მისი მონაწილეობა გამორიცხული იყო, რჩებოდა მხოლოდ ემრულა მალაყმაძე. ასეთი ზრახვებით სულდგმულობდა ბოლო დღეებში სერფულ ათამალიბეკოვი, მაგრამ სხვა საფიქრალიც ჰქონდა: როგორი ხერხებით შეეპყრო მოუხელთებელი აბრაგი.

ბოქაულმა მოიპატიჟა თავისი წინამორბედი არუთინოლი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა ხანუმის გაძარცვის განმაუტრებელი საქმისაგან სირცხვილი ჩამოერეცხა.

* * *

ჩორთათ მიმავალი მოლა ინუსა შუა საუკუნეების ერთ-ერთ დიდ ქართულ მონასტერს, იშხანად წოდებულს, გასცდა და ქვითკირით აშენებული ხვარამზეს ხიდი გადაირბინა. ცხენოსანი სოფელ ქვყარილის მისავალზე ერთსართულიან სახლთან შეჩერდა. ამ დროს ვიწრო სარკმლის რუსხა ფარდა გადაიწია და იქედან სედრაქ არუთინოლის ფესიანი თავი გამოჩნდა. მან მხედარი ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ სარკმელს მოშორდა, გარეთ გამოვიდა, სტუმარს მიესალმა და რატომღაც ვინაობა გამოკითხა.

— ვერ მიცანი? — გაიკვირვა მოსულმა, — ოლთისელი მოლა ინუსა ვარ. თქვენს დაბარებაზე ჩამოვედი, სედრაქ-ბეგ.

— ოჰო-ჰოო, ახლა გიცანი, როგორ არა, ინუს ეფენდი, ბოლო დროს თვალის ჩინი მძალატობს, სათვალე არ მიკეთია და სხვა მეგონე. ჩამობრძანდა.

არუთინოლიმ პატარა ჭიშკარი გააღო და ჩამოქვეითებულ სტუმარს შეუძღვა. იმან ცხენი ეზოში შეიყვანა, აღვირი მესერზე ჩამოკიდა და სახლში შევიდა.

ნახევრადბნელ ოთახში ტახტზე ჩამოსხდნენ სტუმარ-მასპინძელი. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ყოფილი ბოქაული პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— აიშე-ხანუმისა და ემრულა ქიბაროლის მიწერ-მოწერის ამბავი გემახსოვრება, ინუს ეფენდი.

— რავარ არა, ბეგო. — თქვა მოლამ და უღვაშებში ჩაიცინა. — მაგრამ გადავკიდეთ ისინი. ახლოს რომ ყოფილიყვნენ, ერთმანეთს დაჭამდნენ.

— ახლა ხანუმისაგან ნამდვილი წერილი რომ მიიღოს, ნეტაი რას იზამს ემრულაი?

— საგინებელი? — იკითხა ინუსამ.

— არა. პირიქით, მართლა რომ დაპატიყოს.

მოლა ინუსამ იცის ასეთი საუბრის შემდეგ სარგებელი ელის, ამი/
ტომ პასუხი ოდნავ შეაგვიანა.

— დაბატყებას გააჩნია, ბეგო. წერილი ჭკვიანად უნდა დაიწეროს.

— როგორ ფიქრობ, რომ დაჭირდეს, აიშე-ხანუმი მართლა მიიწვევს?

— დაინტერესდა არუთინოლლი.

— თუ იმ ჭკუაზეა, რაზეც მაშინ იყო, აბა, არა?

— რაო, რა მინდაო, რა თქვა მაშინ.

— სიკვდილს დავიჯერებდი, მარა იმას ვერ ვიფიქრებდი, თუ ხანუმი შეხვედრავს დათანხმდებოდა.

— რამ შეშალა ეს ქალი? — გაიკვირვა სედრაქმაც.

— ქალი ქალია, ბეგო, იფიქრა ემრულაი ცოლად წამიყვანსო.

— აბა რაში იყო საქმე, იმ ავაზაკს ხასად უნდოდა?

— არა, სედრაქ-ბეგ, ემრულას აიშე-ხანუმის მოახლე გოგო უნდოდა და გაიტაცა კიდევ. მაშინ ეს ხანუმმა არ იცოდა და თავის თავს თავა-ზობდა.

— ეს მართლაც დაუჯერებელია, — თქვა მასპინძელმა, — ემრულაი კი გათავებდა მარა ეს ქალი რამ გადარია, ტყის ყაჩაღს რომ მიყვებო-და.

— კაცი უნდა, სედრაქ-ბეგ, — მოკლედ მოუჭრა მოლა ინუსმა, — ხანუმს ლაპარაკზე ეტყობა, ქიბაროლლი თვალში რომ უზის.

— კაი დრო გავიდა მას შემდეგ. ნეტაი ახლა რა ჭკუაზე იქნებიან? — შეაპარა მთავარი სათქმელი არუთინოლლი.

— ხანუმი ამას წინათ ვნახე, მე ოჯახის ახლობლად მთვლის და არ მერიდება. ისე იყო გაყინული, ახალგასათხოვარს გავდა.

ყოფილ ბოქაულს სახეზე კმაყოფილების აღმურმა აუარ-დაუარა.

— ინუს ეფენდი, როგორ ფიქრობ, ხანუმს შერჩა ემრულას სიყვარული, თუ იმ წერილებმა ყველაფერი შეაქულა და გული გაუტოვა?

მოლა ინუსამ იგრძნო, მთავარ სათქმელს რომ მიუახლოვდნენ და კვლავ იყუჩა.

— იმის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბეგო, ხანუმი იმაშიც დარწმუნდა, მისი ქონება მალაყმადეს რომ არ წაურთმევია.

მასპინძელი შეტოკდა.

— ვის აბრალებს ნეტაი? — ანგარიშმიუცემლად იკითხა.

— რა ვიცი. — გული აღარ გახსნა სტუმარმა. — ის კი ვიცი, ემრულას რომ არ აბრალებს. ამას მთელი შავშეთი ასე ამბობს. — თქვა და მასპინძლის დაყინებულ მზერას სახე აარიდა, ახმედ გოგონოლლი-ნადო რაძის აღიარება გახეთში მასაც ჰქონდა წაკითხული.

— ხანუმმა რომ დაბატყოს, ემრულაი თუ მოვა? — მისთვის არაააა

სიამოვნო საუბარს თავი აარიდა და კვლავ მთავარ საქმეზე გადავიდა მასპინძელი.

— ვერ გეტყვი. — მოლა ინუსა მთავარ პასუხს კვლავ აჭიანურებდა. არუთინოღლი წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. მალე დაბრუნდა. ფულის დასტა შემოიტანა და ტახტზე დადო.

მოლა ინუსამ ცალი თვალი ხარბად გააპარა.

— აჰა, ინუს-ეფენდი, ეს აიღე, ერთ ამდენს კიდო მოგცემ, ოღონდ ხანუმის სახელით ქიბაროღლის იმფერი წერილი მიუტანე, აუცილებლად რომ მოვიდეს.

მოლამ ფული უბეში ჩაიდო.

— მივწერ, ბეგო, ჰელბეთ მივწერ, მარა ადგილს შერჩევა უნდა, ემრულაი ყველგან არ მივა.

მასპინძელი ჩაფიქრდა.

— ეს მართლაც ძნელი ასარჩევია. — თქვა მან და მხერა კვლავ სტუმარს მიაპყრო.

— მე მოვიფიქრე. — თქვა მან. — ქვრივი ხანუმის სახლი კოლაში ახლაც ცარიელია, მაშინ იქ პატივებდა ქიბაროღლის, როცა ოჯახიც იქ იყო. ახლა მარტო იქნებიან და ემრულაიც ადვილად დათანხმდება.

არუთინოღლი გაიბადრა, მოლა ინუსას მიგნება ისე მოეწონა, რომ თავი ვერ შეიმაგრა და გადაეხვია.

სტუმარი წამოდგა.

— აბა, ჩემო ინუს-ეფენდი, ეს საქმე არ უნდა ჩაგვეშალოს.

— ინშალლაჰ, ინშალლაჰ, — თქვა მოლამ და კარებისაკენ გასწია.

ათი დღის შემდეგ სედრაქ არუთინოღლიმ ისეთი წერილი მიიღო, კიხლამ ჰკუიდან შექანდა.

მოლა ინუსა სწერდა: შენი დიდი პატივისცემა ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება, სედრაქ-ბეგ, მარა ამჯერად შენი თხოვნა ვერ აგისრულე. სად არ ვიყავი, ვის არ შევხვდი, ერთი ცხენი ამ სიარულში გავცვიოთ და ბოლოს იმფერი ამბავი გავიგე, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. მე მაშინაც გითხარი და შენ შეიძლება გულში ფიქრობდი, ეს მოლა რას ებადუნებაო. ხანუმი მართლაც ისე ყოფილა აზინზრიქებული, რომ ემრულაი ჩვენს გარეშე უნახავს, შერიგებულან და ღმერთმა იცის, რას აპირებენ. ახლა ისინი ჩემი ძველი წერილების ამბავსაც გაარკვევენ და მერე ჩემ ძვლებსაც ველარ ნახავ, ემრულაი მიწიდან ამოიღებს და ძაღლებს დაახრევიებს. ჰოდა, ძვირფასო სედრაქ-ბეგ, არ გეწყინოს, სული მწარეა, მივდივარ ოსმალეთში და ნულარ მომძებნი. ის, კიდო მოგცემო, რომ მითხარი, საჭირო აღარ არის, ღმერთმა შეგარგოს.

არუთინოღლი ხანშიშესული კაცი იყო, მაგრამ აქამდე საკმაოდ

მხნედ გამოიყურებოდა. ახლა იგი მიხრწნილ მოხუცს დაემსგავსა. ხუმრობა არ იყო. ერთადერთი იმედი აიშე-ხანუმის გაქურდვაში მისი თანამონაწილეობისა, ემრულას დაჭერა და დადანაშაულება იყო, ეს საქმე კი ჩაიშალა.

„შენც დიდი გაუმაძლარი და მუცელდამპალი ყოფილხარ, მოლა-ინუსავ, პატიოსანი კაცი ცოცხალ-მკვდარი მაინც მოვიდოდა, ბოდიშს მოიხდიდა, ფულსაც დააბრუნებდა და ისე გაიბარებოდა. თუ სადმე წაგასწარი, შენ ძვლებს კი არა, ხორცს ცოფიან ძაღლებს დაეაგლეჯინებ“ — გაიფიქრა სედრაქამ.

მოლა ინუსას შავშეთის ახლო-მახლო მართლაც არ გაეჩერებოდა, მაგრამ ხარბ გულს ვერაფერი უყო. ფიქრობდა, ხანუმის და ემრულას შერიგების ამბავი მართლაც კარგად მოვიგონე. ჯერჯერობით ისინი მტრები არიან, მერე, ვინ იცის, იქნებ მართლა შემობრუნდნენო. ჰოდა, ახლა ემრულასთან შეხვედრა მოინდომა გაიძვერა ინუსამ. იფიქრა, მაინც გავრბივარ და სანამ გვიანი არ არის, აბრაგასაც ვეტყვი, რასაც უპირებენ. ემრულაი ხელგაშლილი კაცია და არც ის დამტოვებს უსაჩუქროდო.

არ შემცდარა მოლა. მართალია, პირადად მალაყმაძე მან ვერ იხახულა, — შინ არ იყო, მაგრამ აბრაგათა სადგომის მახლობლად, სულო მეხეშხძეს გადაეყარა და არუთინოლლის ზრახვები გააცნო. თანაც თავი ისე წარუდგინა, თითქოს დღენიადაც ემრულას უშიშროებაზე ფიქრობდა, სულოს არ მოეწონა თვალბომოჭუტული, წვერებცანცარა მოლა ინუსა, მაგრამ მისი მონაყოლი სერიოზულ ამბად მიიჩნია, ორი თუმნიანი აჩუქა და თავის გზაზე გაუშვა.

მეხეშიძის მონაყოლი ემრულას ენიშნა. მართალია, აქამდე სამსახურიდან გაგდებული არუთინოლიზე შურისძიება არც კი უფიქრია, მაგრამ რაკი ბოქაულყოფილი თავად არ ცხრებოდა, მისი გაუვენებლობა აუცილებელი იყო.

— შეიძლება, სედრაქაი ცოცხალი დაგვჭირდეს, ბიჭებო. — აფრთხილებდა იგი რაზმელებს. — არავინ გაბედოთ მისი მოკვლა. შეპყრობა კი აუცილებელია.

* * *

სედრაქ არუთინოლლის სიბრიყვეში კიდევ ერთჯერ დარწმუნდა ხელისუფლება. მისმა უნიათობამ, რაც მოლა ინუსასთან ურთიერთობაშიც გამოვლინდა, პირველ რიგში სეიფულა ათამალიბეკოვი აღაშფოთა. ბოქაული სულ ცეცხლს აფრქვევდა პირიდან, ხალხიც გაგზავნა სედრაქას მოსაყვანად, მაგრამ სახლში არ დახვდათ: ერთი კვირაა სადღაც გადაიკარგა



და ჩვენც არ ვიცით სად არისო, უთხრეს თავად აღელვებულმა ოჯახის წევრებმა.

ალბათ მე მემალებაო, იფიქრა ბოჭაშულმა და აღარც უცდია მისი ძებნა.

შავშეთში ახალი ამბავი მოვიდა: უგზოუკვლოდ გადაკარგული ქართველი ოფიცრები გამოჩნდნენ და პირდაპირ გენერალ-გუბერნატორს ეახლნენო. გაუჩინარების მიზეზი მათ ასე აუხსნიათ: ერთ-ერთ სოფელში სტუმრად ყოფნის დროს იასონ აბაშიძეს კიბის საფეხური ჩაუტყდა, ქვემოთ ჩავარდა და მაგრად დაიყუჟა. მისი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა, სახლში მკურნალობდა იქაური ექიმბაში. მიხეილ ეროსთავი და რეზიტ-ალაც იძულებული გახდნენ მასთან დარჩენილიყვნენ. ამასობაში ამინდებიც გაუარესდა, გზები გაფუჭდა და შეუძლებელი გახდა მაცნეს გამოგზავნა.

მართალია, ემრულა მალაყმაძის ხალხიც შორიახლოდან გვითვალთვლებდა, მაგრამ ჩვენზე რაიმე ძალადობა არ გამოუყენებიათო.

ქართველი ოფიცრების გამოჩენამ გაახარა გენერალ-გუბერნატორი, მაგრამ ამას საბაჟოს მოხელეების მიძველად აყვანა მოჰყვა. ადმინისტრაცია შეშფოთებული იყო, მაგრამ ძალის გამოყენებას ვერა და ვერ ბედავდა. არადა, ვინ იცის, გათავხედებული მალაყმაძე ხვალ ვის დაატყვევებდა. ერთი რამ აკვირებდა კომაროვს: სისხლისღვრას და ტერორს თავად აბრაგთა მეთაურიც ერიდებოდა. „ეტყობა, არც ისეთი მხეცია ეს კაცი. — ფიქრობდა გუბერნატორი. — მის მოქმედებაში რაღაც კეთილშობილება მუდამ გამოკრთოდა. ჰოდა, ჩვენც ისევ შერიგება უნდა ვცადოთ მასთან“.

ამის გაკეთება მხოლოდ სეიფულა ათამალიბეკოვს შეეძლო. მხოლოდ ის იცნობდა მთელი ჭოროხის ხეობის ხალხს, მათ ადათ-წესებს, ისტორიულ ტრადიციებს. კომაროვი არ ცდებოდა, სეიფულა ათამალიბეკოვს შეეძლო გაეგო აბრაგთა მეთაურის სუსტი მხარეები, შინაგანი წინააღმდეგობანი.

ორ დიდ ქვეყანასთან მებრძოლ ერთ მუჭა რაზმს, მოსახლეობის დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ბოლო ხანებში მართლაც დაეტყო დაღლა. საქმისათვის თავდადებული ბიჭები ემრულას ხელიდან ეცლებოდნენ. მართალია, იმათ ადგილს ახლები იკავებდნენ, მაგრამ ამ ხშირ ცვლაში ძნელი იყო ყველა მათგანის სულის მოძრაობის გაგება. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ლალატი. იყო სხვა სიძნელებიც. ყოველივე ამის ფიქრი არ ასვენებდა მალაყმაძეს. ეს კარგად იცოდა ახლადმოვლენილმა ბოჭაშულმა.

გაქნილმა მოხელემ ემრულასთან მოსალაპარაკებლად ის ხალხი გა-

მოიყენა, ვისაც მალაყმაძემ დიდი დახმარება გაუწია, სიცოცხლე შეუნ-
რჩუნა და ოჯახი აულორძინა. ემრულას ასავალ-დასავალი კარგად უწყობდა
მტრადქცეულმა სელმან ცვარიძემაც. ათამალიბეკოვმა არც ეს შესაძლებ-
ლობა დატოვა უყურადღებოდ. „სახალხო შურისმაძიებელ“ ჯგუფთან,
და პირადად ცვარიძესთან კავშირის დამყარება არ გასჭირვებია. ათამა-
ლიბეკოვის ძირითადი პირობა ის იყო, რომ მალაყმაძის რაზმი და ოფი-
ციალური ხელისუფლება ერთობლივად იბრძოდნენ მთელს სამუსლიმანო
საქართველოში წესრიგის და სიმშვიდის დასამყარებლად; ეს მართლაც
მიგნებული სატყუარა იყო, რამეთუ მალაყმაძის მთავარ მიზანსაც ემთხ-
ვეოდა. ოფიციალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა აბრაგთა მეთა-
ურმა ბოლო ომის დროს გამოსცადა და იგი მართლაც კარგი შედეგით
დამთავრდა, ამიტომ ბოქაულის ასეთი წინადადებაც საკმაოდ საქმიანი
ჩანდა.

დიდი მერყეობის და აწონ-დაწონის შემდეგ შეთანხმდნენ: სეიფულა
ათამალიბეკოვთან მოლაპარაკება პირადად ემრულას გაემართა. ამის
მომხრე იყო რაზმის ოცდაათივე წევრი. შეხვედრისათვის ორივე მხარე
საგულდაგულოდ ემზადებოდა. ბოქაულის მხრიდან განსაკუთრებით აქ-
ტიურობდა სელმან ცვარიძე, თუმცა მისი გამცემლური მოქმედება საი-
დუმლოებით იყო მოცული. რა იცოდა მაშინ საკუთარი სისხლის და
ხორცის გამყიდველმა, რომ საუკუნის შემდეგ მისივე ჯაში და ჯილაგი,
პატროსანი და მართალი შვილიშვილი დურსუნ ცვარიძე ფარდას ახდიდა
უღირსი პაპის ავკაცობას:

„ნაჩელიკი იყო სეიფულაი. ემრულას დედემ უშიქიათა (დაასმინა).
ნაჩელიკმა შეუთვალა ემრულ-ალას:

— მე ბათომშინა ჩევდე, შენ თავი შეინახე, შენთვის კარგ ხებერ
(ამბავს) გეცტანო. გერჩექ (მართლა) კი არ უთხრა ასე. ბათუმიდამ ხებე-
რი გამოუგზავნა, ბარევანია ართვინის თავზე, ბარევანში ემრულამ შამე
მეგებოსო. ოზდაათი ყირათლი (თეთრი) ცხენით გევდა თავასი კაცებით.
წამოვდენ ბარევანიდამ, მოვდნენ სათლელში. ხალხი მოყრილა დავლ
ზურნით. ისამეს, იჰენგემეს (იხუმრეს). დალამდა. ნაჩელიკმა უთხრა, ხალ-
ხსა, რომ ემრულ-ალას კაცები სოფლებშინა წეიყვანოთ, სოფლებშინა
მუჟაროთ ცხენოსნებს. ჩვენო აქ ვიქეიფოთნაო. გათენდა. დილაში
ემრულ-ალა თამ შეტყეპილი (შეიარაღებული) მივა ნაჩელიკთან. სალდა-
თმა უთხრა:

— ჩვენ თავრობაში იასალია (აკრძალულია) სილაღით (იარაღით)
შესლა, ვერ შიგიშვებო. თოფი ჩამართვეს, რიველი დოუტეის.



ემრულ-ალა რომ შევდა დაირეში, თავრობაში (მთავრობის სახლში) გენერალ ამას:

— ვინ გაქუცა კოლაში გენერლის ხანუმიო. თავრობა ეზებს ქი, ვინ გაქუცა.

ნაჩელიკმა უთხრა:

— ამ მემლექეთში ერთი ბორი (საყვირი) შენ გაქ, ერთი ნური-ბეგ ხიშშიაშვილს აქ. ამათ ქენთ ორ კაციდამ ერთმაო. ქვებოვენ მოვზებნოთ ლა ვნახოთო. ემრულაი არ ამქლავნებს.

— ერთი, ემრულ-ალა, ეს აქოშკა გააღვეი და ზირ გადახედე, რა აბავია. — უთხრა სეიფულა ნაჩელიკმა.

ადგება გედიხედავს ქი, სალთათი შემოხვევია თოფებით. ჰამან მოტრიალდება და რიველსა წაახტება. შიგან დაირები ნაჩელიკს ორი სალთათი ყავს ფეჭლევანი. ისინი ჰამან მეილლიავებენ. დუჟკავენ კლავები. ვერ ამეილო, მახანშიც მეეშველენ გარედაჰ. გაბორკვეს, წეიყვანეს ბათოში...

ჩვენი ზველი გვარია ცვარიძე. დიდ დედეს თანთოი ერქვა და ახლა თანთოლლებ გვეტყვიან... დედეს სელმანაი ერქვა...“*

ხელისუფლებისაგან ათასჯერ მოტყუებული, გამოცდილ-გამომბრძმედილი აბრაგი მოსალაპარაკებლად ნუთუ მართლაც მარტოდ-მარტო მივლდა?

ანდა, „თამ შეტყევილმა“ მალაყმაძემ ნუთუ იარაღი მართლაც უსიტყვოდ, წინააღმდეგობის გარეშე აიყარა?

შენობის ახლომახლო ემრულა და კუხმა შეიღმა რაზმელმა მოაცილა. როცა ისინი დარწმუნდნენ, რომ შენობასთან ორიოდუ მცველის გარდა არავინ იყო, ბუჩქებთან დაბანაკდნენ და მოხერხებული პოზიცია დაიკავეს.

საღდათის მოთხოვნაზე, შენობაში შესვლისას იარაღი აეყარათ, აბრაგებმა აინუნშიც არ ჩააგდეს, თითქოს არ გაუგონიათო, ისე შევიდნენ ათამალიბეგოვთან.

შეცდომა მაინც მოუვიდათ. წინდახედულ სეიფულას სამი ათეული შენობის პირველ სართულზე შეუყრია. როგორც კი მალაყმაძემ და ალიშინმა კიბეები აირბინეს, ოთახში შევიდნენ და კარი მიხურეს, მცველნი შიგანვე ჯარისკაცები გარეთ გამოცვივდნენ და შენობას ალყა შემოარტყეს.

*„ღურსუნ ცვარიძე — თანთოლი, ოთხმოცდა სამი წლის, სოჯა, ვადასახლებულია ბურსაში იმერხევის სოფელ ბაქვარეთიდან. მასალა ჩაიწერა შუშანა ფუტყარაძემ 1989 წლის 10 აპრილს.

ოთახში აბრაგების გამოჩენისთანავე ბოქაული სკამიდან წამოიჭრა
— არ ვითხრეს, აქ იარაღით შემოსვლა რომ აკრძალული იყო
იყვირა იმან.

— ჩვენ აქ ოჯახში კი არა, მთავრობის შენობაში ვართ, მოსალაპარაკებლად მოვედით და ერთნაირი უფლებით ვსარგებლობთ. — მშვიდად უთხრა ემრულამ. — თუ მე იარაღს ავიყრი, მაშინ თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ.

ემრულა ზურგს უკან გრძნობდა, ოთახში ოთხი-ხუთი კაცი რომ შემოვიდა. ორი მათგანი კუზმას ამოუღვა.

— ჩვენი მოლაპარაკება სხვანაირია, ემრულავ. — ჩაიქირქილა ათამალიბეკოვმა. როცა დარწმუნდა, რომ აბრაგს ორი ზორბა კანააკი დარაჯობდა.

— მე აქ მოვედი არა რუსეთის მოხელესთან, არამედ ათაბაგთა ღირსეული გვარის შვილთან. — ემრულა შეეცადა მოებრუნებინა ვერაგი ბოქაული.

— აქ მე ხელმწიფის მსახური ვარ! — ურცხვად მიახალა სეიფულამ, — და ენარულებ მის დავალებას.

— სწორი ბრძანდები, მუდგრო, შენ წინაპრების წვეთი სისხლი აღარ შეგრჩენია, არც კი იცი, რომელი ხალხის შვილი ხარ, ამიტომ არ მიკვირს, გადამთიელთა ბრძანებას რომ ასრულებდე და მათი ყურმოჭრილი ყმა იყო.

— ჩვენ სხვა საქმეზე გვექნება საუბარი, ემრულავ. — ათამალიბეკოვმა თავი სრულ სამშვიდობოზე იგრძნო და სავარძელში ჩაჯდა. — გადაახედე ფანჯარაში, იქ ჩვენი მეგობრები გვიცილიან.

მალაყმაძე ფანჯარას მიუახლოვდა და ძირს გადახედა, შენობა ქართული მილიციელებით იყო გარშემორტყმული. თითქოს ამას ელოდნენო, რაზმელებმა ისეთი ზალბი დასცეს, ცა ჩამოინგრაო, გვეგონებოდა. ემრულა ფანჯარას მოშორდა, ჯარისკაცები შენობასთან ჩაწვნენ.

ცხადი იყო ათაბაგთა ნაშვიერი მოძმეთა სისიხლის დაღვრას არ უფრთხობდა.

მალაყმაძემ ბოქაულს შეუტია.

— ძმა ძმას უნდა შეაკლა? თავდაც დაიხოცებთან, მაგრამ ორჯერ მეტ ჯარისკაცს ვაანადგურებენ და მათი ცოდვა შენს კისერზე იქნება. — მიახალა უკვე ხელბორკილიანმა ემრულამ.

აქამდე გამარჯვებულის ცინიზმით სახეამღვრეულმა ბოქაულმა, ახლა იკადრა, იგი ადგილიდან წამოიჭრა, ფანჯარას მიუახლოვდა და ცალი თვალით გაიხედა. სროლა არ წყდებოდა, ტყეიებმა ფანჯარაშიც შემოაღწია. მოპირდაპირე კედელზე სამი ნატყვიარი გამწკრივდა. — მე თავი ვანწირული მაქვს, სეიფულავ, შენ კი იცოდე, ქართველი ხალხის რისხვას ვერ ასცდები.

ბოქაული შეცბუნდა.

— უბრძანე, შეწყვიტონ სროლა და გაგვეცალონ. — დაპატიმრებულ
აბრავს მიმართა ბოქაულმა.

ემრულა ფანჯარასთან მივიდა და მთელი ტანით აიწია, რათა თანამებრძოლებს იგი კარგად დაენახათ.

სროლა იმწამსვე შეწყდა.

— შემისხნან ხელები! — შესძახა ემრულამ.

— ეგ არ იქნება! — ბრძანა ბოქაულმა.

— აბა, ისე აქედან ხმას ვერ მივაწვდენ, ხელით უნდა ვანიშნო.

სეიფულა შეყოყმანდა, მაგრამ უბრძანა ხელბორკილი შეეხსნათ და ახლოს მდგარიყვნენ, მერე ხელებშეკრული კუზმა კუთხეში მიაყენა, თავდაც იარაღი იშოშვლა და აბრავს ზურგსუკან დაუდგა.

ემრულამ ორივე ხელით რაღაც მოძრაობა გააკეთა.

ტყისპირიდან ხუთი კაცი წამოიშალა. აბრავმა ახლა სხვა რაღაც ანიშნა, როგორც ჩანს, უკან გაბრუნდითო.

მაგრამ რა ხდება? ხუთივე თანამებრძოლი იარაღმომართული შენობისაკენ წამოვიდა.

მალაყმაძემ კვლავ გაიმეორა მეორე ნიშანი, მაგრამ იმათი შეჩერება აღარ მოხერხდა. ამჯერად წინ მომავალმა ხიშტზე თეთრი ცხვირსახოცი ჩამოაცვა და მტკიცე ნაბიჯით დანარჩენებს წამოუძღვა.

ემრულას კვლავ დაადეს ბორკილები.

მეთაურის დატყვევების შემდეგ ხელისუფლებას ჩაბარდნენ სულო ძეხვიძე, ნიაზ ვანლიში, ენვერ მახაჯაძე, თანთო ლერწამიძე და ვეზირ საღრიძე. შვიდთაგან ორი, მიქაილ სუბუქიძე და მემედ დემირი ცხენებს მოახტნენ და სათლელისაკენ გაფრინდნენ. ათამალიბეკოვმა არ დააყოვნა: პატიმრები იმავე წუთს, პლასტუნთა ბადრაგის თანხლებით, ართვინში ჩააყვანა და პოლიციას გადასცა.

* * *

ემრულა აქ საპატიმროში ინახულეს ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა კონსტანტინე კომაროვმა და მისმა ამაღამ, რომლებიც ართვინის ოლქის უფროსის მიხეილ მეფისაშვილის ქორწილში იყვნენ მიპატიყებულნი. ამაღის წევრი, ოდესელი სამხედრო კორესპონდენტი პეტრე იურჩენკო ჟურნალისტური კეთილსინდისიერებით მოგვითხრობს ნახულსა და გაგონილს:

„ემრულას დაპატიმრება შავშეთ-იმერხევის მცხოვრებთათვის იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ ართვინის ოლქის უფროსი იძულებული გახდა ემრულა და მისი ხუთი თანამებრძოლი ციხეში ჩაესვა. მეთაურს ხელფეხზე ბორკილები დაადვეს. გუბერნატორთან ერთად აბრავთა



მეთაური ციხეში ვნახე. ჩვენ შეგვიყვანეს ფართო, სუსტად განათავსებული
შენობაში, რომელიც ხის ტიხრებით ორად იყო გაყოფილი. ტიხრებს ში-
რის გასასვლელი იყო დატოვებული. მარცხნივ ემრულა მოათავსეს, მარ-
ჯვნივ მისი ხუთი თანამებრძოლი.

ამ საკანში ვნახეთ ემრულა იმერხვეელი, მეტად ლამაზი და მიმზიდ-
ველი კაცი, ასე ოცდათხუთმეტი წლისა, თავზე ქობულეთური მოყვითა-
ლო-წითელი ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული. მოხდენილი მიხრა-მოხრით
და მოკრძალებული გამოხედვით უფრო რომანტიულ გმირს გაგონებდა,
ვიღრე ტრაგიკულს და მნახველის გულსა და სულს იპყრობდა, ყალიონი,
ყურთბალიში, დოქით წყალი, ნაჭერი პური. — აი ის, რაც ჩვენ მასთან
იატაკზე ვნახეთ. მან გუბერნატორის პატივისცემის ნიშნად გულზე ხელე-
ბი მიიყრდნო. იგი უარყოფდა უმწეო ქალის გაძარცვაში მონაწილეო-
ბას. ვადაწყვეტილი იყო, ემრულა მის ამხანაგებთან ერთად, ზათუმში
გადაეგზავნათ პლასტუნთა გაძლიერებული ბაღრაგის ქვეშ (ასეთ უკი-
დურესად მძიმე შემთხვევაში ქართველ მილიციელებს არ ენდობიან).

გაგზავნამდე ემრულამ ისარგებლა მიხეილ მეფისაშვილის ძმისშვი-
ლის ყურადღებით და გუბერნატორს თხოვნა ლექსად მიართვა: „ერთი
კოვზი წყალი რომ ამოიღო, ზღვას არაფერი დააკლდება. უთვალავ ხალხ-
ში მეც ენა ვარ. თქვენ კი, ბატონო მიხეილ მეფისაშვილო, სულაც არ
შემიბრალეთ. თქვენ, ვინც სახელმწიფოში სარგებლობთ სახელითა და
დიდებით, ვისი ერთი სიტყვაც საკმარისია ჩემს გასათავისუფლებლად.
ეს არ გაიმეტეთ. მე ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის, ტყუილ-
უბრალოდ მადანაშაულებენ. მე თქვენთან მოვედი, ჩემივე სურვილით,
თქვენ კი ძალა გამოიყენეთ, ხელ-ფეხი შემიკართ და მცველები შემომი-
იციეთ. ზემოდან მტვერს მაყრიან, ჯარისკაცები დამცინიან, როგორც შეშ-
ლილს. მე ამისთანებს არა ვარ მიჩვეული. მე მგელივით ვფრთხილობდი,
ბუნების შვილი ვარ და ბუნებაშივე ვეძებდი მშვენიერ ადგილებს. ცივ
წყაროსთან ჩამოვჯდებოდი და ბატკნის ხორცს შევექცეოდი. რომელ
სამოსაფეროშიც არ შევსულიყავი, ყველგან ძვირფას ხალიჩებს მიგებდ-
ნენ. ჩემს ბედზე სწუხან ჩემი მშობლები და ცოლ-შვილი, ტირიან
დები და ჩემი მეგობრები, ჩემგან დაობლდნენ ისინი...
თქვენი სიტყვები ყალბი ყოფილა. ასე რატომ ირცხვენთ თავს. სასამარ-
თლოში მე დამცველი არ მეყოლება, მე მებრძვის გავლენიანი ხალხი. პა-
ტიოსან ადამიანებს მე არას ვერჩოდი, არაფერს ვიტაცებდი. ის,
რაც ჩაიდინეს საყვირის ხმაზე, ამის მონაწილე მე არა ვარ. ბატონო
მიხეილ, მე თქვენ გლოცავთ, ცხრა თვის შემდეგ ღმერთმა მოგცეთ ანგე-
ლოზი — ვაჟი... დანარჩენი თქვენს სინდისზე იყოს... რას ვიზამ, ჩემთვის

სატუსაღოს შესასვლელი სულ უფრო ფართოვდებოდა, გამოსასვლელი დაეწროვდა“.

ეს არის სახალხო გმირის პირით ნათქვამი უიშვიათესი სიტყვა, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა. ეს არის აბრავის თავის მართლება, თხოვნაც, ხელისუფლებას უკანონობის მხილებაც და პროტესტიც.

* * *

კომაროვმა ართვინიდან ნავით ისურვა წამობრძანება. ჭოროხზე ნავით მომავალ მგზავრს თანმიმდევრობით თვალწინ გადაეშლება ვრცელი მიდამო: აგერ, მარჯვნივ, სოფელი დედობანი, შემდეგ ჭალის ხეობა, უფრო ზემოთ — სოფელი ბელღევანი, მარცხნივ — სოფელი კატაფხე. ეს ის სოფელია, საიდანაც არც ერთი მოსახლე არ წასულა მუჰაჯირად. პირობა დადევს სოფლებს, რაც არ უნდა მომხდარიყო, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. აქ სიმინდის გარდა, კანაფსაც აშენებენ. ბაწრის დამზადება კატაფხეში კარგ ხელობად ითვლება. გზები სულ ქვის ყორეებით და მესერ-ლობეებითაა შემოზღუდული. სოფლისათვის თავდადებულ მცხოვრებლებს სახლებიც კოხტად აქვთ მოწყობილი, ყველა სახლი კრამიტითაა დახურული.

კატაფხეს მოპირდაპირე მხარეს სოფელი ხება ძევს. აქედან იწყება ხების ხეობა. ჭოროხის პირას ყავახანაა მოწყობილი — ეს მენავების საყვარელი ადგილია. აქ ყავასაც მიირთმევენ და გაფუჭებულ ნავებსაც შეაკეთებენ. აქაურობა კიდევ ერთი სიმდიდრით იქცევს ყურადღებას. მთელი ხეობა, ლელე-ლურდანი უზარმაზარი ნიგვზის ხეებითაა დაფარული.

გენერალ-გუბერნატორი და მისი ამაღლა ქვემო მარადიდში, პირდაპირ უზნის უფროსის კანცელარიასთან გადმოვიდნენ ნავიდან. აქ, მდინარის ნაპირას, მათ დახვდა რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები და გვარდიელის საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი ბოქაული. იგი გუბერნატორის წინ გაიჭიმა და წესისამებრ მოახსენა გონიოს უბანში სოფლების, კომლებისა და მცხოვრებთა რაოდენობა.

კომაროვმა აგრძობინა, რომ აქ საუბრის ადგილი არ იყო და გაემართა მუჰაჯირად წასული ადგილობრივი იმამის სახლში, სადაც ახლა კანცელარია იყო მოთავსებული.

- ყაჩაღები თუ არიან თქვენს უბანში? — იკითხა გუბერნატორმა.
- არიან, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავარი ავაზაკი ემრულა დაიჭირეს, ალბათ ძნელი აღარ იქნება მათთან ბრძოლა.
- ჰო, მართლა, თუ ჩაიყვანეს რაზბოინიკები ბათუმში? — გენერალი თავის ადიუტანტებს მიუბრუნდა.

— ახლა ჩასული იქნებიან. — თქვა ორაზროვნად ადიუტანტმა.

— არა, თქვენო აღმატებულებავ. — იმათ ჯერ მარადიდშიც მოუვლიათ, — ჩაერთო ბოქაული.

— რაო, რას ამბობთ? — გაიკვირვა კომაროვმა.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. ფურგონებით მომავალ ბადრაგს სოფელ კატაფხეში თავს დაესხა ემრულას რაზმელები, რომელთაც მხარი აუბეს სოფლის მცხოვრებლებმა და მენავეებმა. საშინელი სროლა ატყდა და ალბათ ბევრი სისხლიც დაიღვრებოდა, მაგრამ თავად აბრაგთა მეთაურმა ჩააცხრო შეტაკება. იგი ფურგონიდან წამოიშრათა და თავდამსხმელებს მოუწოდა: ძალები უთანაბრო, ტყუილუბრალოდ შეაკლავთ თავს და უკან გაბრუნდითო. სროლა შეწყდა, მაგრამ იძულებული გავხდით ბადრაგი წუხელ შეგვეჩერებინა, დღეს იგი ოცი ვლადიკავაზელი ოსით გავაძლიერეთ.

— მსხვერპლი? — იკითხა გუბერნატორმა.

— ჩვენთან ორი პლასტუნია მოკლული. იმათგან დაიჭრა ყველაზე უფრო აქტიური თავდამსხმელი თურქი ბიჭი, მემედ დემირი.

— თურქი? — გაიკვირვა გენერალმა.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ემრულას რაზმში თურქებიც არიან და დიდის გულმოდგინებით ემსახურებიან თავიანთ მეთაურს. ამ საუბრის დროს გარეთ რაღაც ჩოჩქოლის ხმა გაისმა.

— მოჰყავთ, მოჰყავთ! — ყვიროდა ვილაც.

კომაროვმა და მთელმა ამაღამ კარ-ფანჯრებს მიაშურეს. ჭოროხის ვაღმა მხარეს ცხენოსნებისა და ფურგონების დიდი ჯგუფი მოდიოდა. მათურებელთა თვალწინ კარგა ხანს ჩანდა პლასტუნებისა და ვლადიკავაზელთა ბადრაგი, რომელიც ემრულას და მის ხუთ თანამებრძოლს ბათუმისაკენ მიაცილებდა.

(დასასრული იქნება)



ქმოზის ქება

მეწამულად მოიქუფრა
 მაღალი ცის კაბადონი,
 ზანზარებენ, მქუხარებენ
 მარუხსათავს დიდნი გორნი.
 კოლხურ ველზე შეიყარნენ,
 ფიცი დასდეს მტკიცე ქმოზის,
 თან გამოჰყვათ ლოცვა-კურთხვა
 ჰეფესტოს და ჰელიოსის.
 ოთხივ კუთხით შემოერთყა
 საქართველს ქაჯთა ჯოგი,
 იწყეს რბევა ბარბაროსთა
 დააყენეს სისხლის ტბორი.
 ლიხის ქედთან მეხად იდგა
 ამირანი — ლომთა სწორი,
 უკუჰყარა სპანი მტერთა,
 გარდამოვლო ქართლის გორნი,
 გამარჯვება იზეიმეს,
 დაასრულეს დიდი ომი,
 ბებერ კოლხეთს შეუერთეს
 ძველთაძველი ტრაპიზონი
 და დღეს, ხე რომ ნაყოფს ისხამს
 მათი ძველი მეგობრობის,
 ღმერთმა ნუ ჰქნას, იგი დაჰკნეს,
 არ წყალობდეს ღვთის მირონი,
 ავდგეთ, იმ ხეს თაყვანი ვსცეთ,
 ფრთა შევასხათ ჩვენი ქმოზის.

მე უნდა მოვძებნო

სამსახურიდან დაბრუნებულს შინ ჩემი ახლობელი მეგობრის წერილი დამხვდა. — „ღალი ძალიან ავად არის, მე და მკა გამოვვლით, ბათუმის მატარებელი 9 საათზე გადის და მზად დაგვხვდი, ბილეთები აღებულია“—ო...

გაოგნებული დავრჩი, ნეტა რა დემართა ლალის, ამ სიცოცხლით სავსე გოგოს, როგორ მოვასწრო?... არა, ფიქრის დრო აღარ არის, გოგოები მიდიან, მე რაღა გამაჩქარებს, მითუმეტეს, ორი დღე დასვენებაა.

საჩქაროდ მოვემზადე, დედას ტელეფონით ავუხსენი მდგომარეობა, და ვთხოვე ყოველ შემთხვევაში, თუ ორშაბათს დამავიანდებოდა ჩამოსვლა, ჩემთან, სამსახურში დაერეკა ამის თაობაზე.

ვაგონში სამნი ვართ და საუბარს თავს ვერ ვაბამთ, ყველას ფიქრი ლალის გარშემო ტრიალებს, — ნეტა როგორ დაგვხვდება, რა დემართა ასეთი, რა შეიძლება მომხდარიყო...

სიჩუმეს მკაცრ ხმა არღვევს...

— არა, ლალი ეხლა არ არის ავად, ლალიმ ბევრი გადაიტანა და შეიძლება დეპრესიაა სულიერი, მე სხვა არაფერი მომდის თავში...

— კარგი ერთი, მკა, რა სათქმელია, ხალხი მართლა ისეთ ტრაგედიას უძლებს, გაგიკვირდება, ლალის რა სჭირს სამისო, ანგელოზით გოგოა. დიდი ამბავი, ახლავინ იკლავს თავს სიყვარულისათვის, სისულელეა და მეტი არაფერი თუ ეს ასეა, — დაასკვნა ნანამ...

მე დიდი ხანია არ შევხვედრივარ ლალის, მაგრამ მისი მონაყოლითა და ჩვენი ხშირი შეხვედრებითაც ვიცოდი მისი და არჩილის სიყვარულის ამბავი. ვიცოდი, რომ არჩილი დიდ პატივს სცემდა ლალის. თუ სადმე ერთად მოვხვდებოდით წვეულებაზე, დღეობაზე, მის გარდა არავინ ახსოვდა, თავს დასტრიალებდა, ორივენი კარგად უკარავდნენ, მშვენივრად მღეროდნენ. ლალი პოეტიც იყო და არაჩვეულებრივად კითხულობდა თავისივე ლექსებს და მარტო არჩილი კი არა, ვინც კი ერთხელ გაეცნობოდა ან შეხვდებოდა ლალის, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მისით... თავისთავად, არჩილი შესაშური თავისებების ბიჭი იყო, არაჩვეულებრივი ვაჟკაცური გარეგნობით და უაღრესად დახვეწილი მანერებით, ჩემი გავებით, ზუსტად ღირსი იყო ლალის სიყვარულისა...

საოცარი ერთი რამ იყო, ყველას, რომ გვეგონა, არჩილი დღეს თუ ხვალ ცოლად ითხოვდა ლალის, ის ხან თვეობით ისე გადაიკარგებოდა, რომ ტელეფონითაც არ შეეხმიანებოდა, თითქოს აღარც ახსოვდა, რომ აღრე თან დაჰყვებოდა, თავს ევლებოდა, მის გვერდით როგორ შეიძლებოდა ვინმე დამჯდარიყო და, საერთოდ, ყველას თვალში მომავალ საქმროს შთაბეჭდილებას სტოვებდა...

ასე მიდიოდა თვეები, გავიდა ერთი წელი, ორი, მაგრამ მათ ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ისევ ისე გრძელდებოდა ჩვენი თავშეყრისას და ისევ ისე იკარგებოდა არჩილი...

მასხოვს, ერთ დღეს თინიკო გახარებული მოვიდა სამსახურში. მისი უფროსი მძაშორეულ ციმბირში ხელშეკრულებით სამუშაოდ იყო გაგზავნილი, როგორც ინჟინერ...



გეოლოგი და ხვალ შვებულებით ჩამოდიოდა მატარებლით. ჩვენ ყველას გვთხოვა წავ-
 ულოდით სადგურში დასახვედრად და შემდეგ კი მის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ
 საზეიმო სადილსაც დავსწრებოდით... უარს როგორ ვეტყვოდით ასეთ თხოვნაზე და
 სამივე მეგობარი — მე, ლალი და მაკა ერთად წავედით სადგურში... მე და მაკა ვიცნო-
 ბდით თინიკოს ძმას, მაგრამ ლალი შედარებით ახალი თანამშრომელი იყო და მის ძმას,
 ოსიკოს, არ იცნობდა.

სადილზე არჩილიც მოვიდა (როგორც გამოირკვა, ოსიკოს უახლოესი მეგობარი,
 თანაკურსელი ყოფილა) და რაღა თქმა უნდა, ისევ ლალის მიუჭდა გვერდით, ისევ ისე-
 თი ალღრსით და სიყვარულით შესციციენებდა და ისევ ისე გვეგონა, რომ ახლა კი
 შეიძლება გაბედოს და ან მოეშვას ამ გოგოს, ან ითხოვოს და დაამთავროს ეს უსასრუ-
 ლო თამაშიო...

თინიკოს ძმის, ოსიკოს, შვებულებით ჩამოსვლის უმთავრესი მიზეზი კი ის ყო-
 ფილა, რომ უნდოდა ცოლად ეთხოვა ქართველი ქალი და რადგან ხელშეკრულება კი-
 დევს სამი წლით გაუგრძელეს, თან უნდოდა ცოლის წაყვანაც.

იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, ყველა მოხიბლა ლალისა და არჩილის დუეტმა,
 ლალის ლექსებმა, ცეკვამ. მეორე დღეს სამსახურში მოსულმა თინიკომ მოულოდნელად
 ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ჩემ ძმას ძალიან მოეწონა ლალი და განაცხადა, მის გარდა
 არავის ვითხოვო...

— მერე არჩილი? ანდა ლალის აღარ ეკითხება ის შენი ძმა-მეთქი?..

— როგორ არა, მე მკითხა, თუ რამეა საერთო მაგათ შორისო. ვუთხარი, — შენ არ
 იცი არჩილის ამბავი, შეიკლა ეგ გოგო ხელში, ასე ჰყავს აკიდებული, არც თხოულობს,
 არც რაიმეს ეუბნება, ლალი გოგოა, ეგ ხომ არ ეტყვის, მიყვარხარო, და არიან ასე
 გაურკვეველ მჯგომარეობაში-მეთქი...

ვიცი, ვიცი არჩილის თავმოუხუნელობის ამბავი, მაგას მე დედადგენ და.. ერთი სიტ-
 ვეით, ლალის მეტი არავინ მიხსენოთო...

— დედა, რაღა ვქნათ გოგო, ეგ შენ ლალის მაინც არ უთხრა, ხომ იცი, არ უყვარს
 ზედმეტი არაფერი...

— არ ვუთხრა კი არა, ჩემმა ძმამ ლალის ისიც უთხრა, რომ ჩვენ ყველამ ერთად
 გადავწყვიტეთ ჩვენო ლალი, შენზე უკეთესი ვერავინ შემოვა ჩვენს ოჯახშიო...

— მერე, ლალიმ, რაო?

— ლალის ერთი გადაუცისკისია და უთქვამს, — აქ მაინც ვერ მამჩნევენ და ციშიბი-
 რში კარგად მომაგნებენო! — (ეს არჩილის მისამართით თქვა რა თქმა უნდა).

ერთ დღეს ოსიკოს თინიკოსათვის უთხოვია, ლალისთან მიმიყვანე სახლში და მე
 თვითონ ავუხსნი ყველაფერსო...

ლალის ჩვეულებრივად მიუღია, როგორც სტუმარი და მეგობრის ძმა. იმ საღამოს
 ოსიკოს უთქვამს: — მე მივდივარ მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ, შენს სახელზე
 გამოვაგზავნი წერილებს, მაგრამ მანამდე მინდა იცოდე, ძალიან მომწონხარ და ცოლად
 თუ არ გამომყვები, ძალით წაგიყვანო...

მე ეს ნასვამი კაცის ლაპარაკად ჩავთვალე და ამისათვის აღარ მიმიქცევია ყურად-
 ლებო, — ამიხსნა ლალიმ.

დასახვერებლად წასვლამდე ერთხელ კიდევ ნასვამი მარტო მისულა ღამით ოსიკო
 ლალისთან (იმ ხანებში ლალი მარტო ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში). ვერაფრით ვერ
 მოვიშორე თავიდან და ვეღარც ქუჩაში გავუშვი ნასვამი კაციო, მე იძულებული ვიყავი
 დისახლისთან გავსულიყავი, ის კი ჩემს ოთახში დამეტოვებინა. მთელი ღამე თვალთ
 ვერ მოვხუჭე, არ მინდოდა, ვინმეს ენახა უცხო მამაკაცი, ისიც ნასვამი, ჩემს ოთახში,
 მაგრამ რას ვიზამდიო...

ოსიკო ისე წავიდა დასასვენებლად, აღარ მინახავს, წერილები მე მისგან არ მიმიღია რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე მეტად გულს ის მიკლავდა, რომ არჩილი იმ ღამის შემდეგ მთლად გადაიკარგა და თინიკოც რაღაცნაირად თვალს მარიდებდა და გამირბოდა, რა ხდებოდა, ვერაფერი გამეგო...

გავიდა ერთი კვირა, ორი და, როგორც გავიგე, ამ ხანებში ოსიკოს ხან ერთი ქალიშვილის თხოვა დაუპირებია, ხან მეორესი. ჭერი როცა მესამეზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ ის გავლენიანი ჩეკისტის შვილი იყო, რომელმაც იარაღის მუქარით აიძულა ეთხოვა. დაინიშნა ქორწილის დღე, სადაც რაღა თქმა უნდა, ჩვენც ვიყავით მიწვეულები...

რაც შეეხება ლალის, არ უნდოდა სიძე-ბატონი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და უარი თქვა წამოსვლაზე. მაშინ აღარც ჩვენც გვინდოდა წასვლა, მაგრამ ლალი შეგვეხვეწა:

— არ შეიძლება, გოგოებო, მართლა ეგონებათ, რომ მე ძალიან დამწყდა გული მისი დაკარგვის გამო და ყველა განუდევით. აი, ჩემი წამოსვლა კი მას ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში, თორემ მე სულაც არ მეღარდებაო...

რალას ვიზამდით, წავედით...

დიდ სადარბაზო ოთახში გაშლილი იყო საქორწილო სუფრა. სუფრის თავში ფერ-უმარილით აკეკლუცებული პატარძალი იჭდა ნეფის გვერდით ჩასუქებულ სიდერ-სიმაშრთან და ნათესავებთან ერთად...

ჩვენ რაღაც უხერხულად მივუჭექით სუფრას. ძალიან მოსაწყენად და ერთფეროდ ნად მიდიოდა ქორწილი, ქართულ სუფრას რომ არ სჩვევია ისე, ძალიან გვაკლდა ლალი და ვნანობდით აქ მოსვლას... არ გასულა ორი საათი, რომ ვიღაცამ დაიძახა, არჩილს გაუმარჯოს, ლალის გაუმარჯოსო... ჩვენ კინაღამ გადავირიეთ სიხარულით, მაგრამ აი, ჩვენი „რაინდი“ სიძე კი ისე დაიბნა, სად დამალულიყო, არ იცოდა...

შემოვიდნენ და რაღაც გაურკვეველი სიტუაცია დამყარდა, ყველაფერი ჩაკვდა თითქოს. ბოლოს სიძემ ვერ მოითმინა, — „დღეს ჩემი ქორწილია, თუ პანაშვილი, რატომ სდუმან ჩემი დის ამხანაგებიო!“...

— ბიჭოს, შენი ქორწილია და შენი პატარძლის მაყრიონმა მოგიღიხინოს, რა უშუაშია შენი დის ამხანაგები, — უპასუხა არჩილმა.


— მე ვთხოვ ლალის იმღეროს ჩემი საყვარელი სიმღერა, — ბრძანა სიძემ...

ლალის გიტარა მოუტანეს — რა უნდა ექნა, იმღერა, მაგრამ მე ასეთი გრძნობით ნამღერი მისგან არასოდეს მსმენია. „ჩავაქრე სანთელი“, და როდესაც სიმღერა თავისი სიტყვებით ასე დაასრულა:

ჩავაქრე სანთელი, ოთახში ბნელოდა,
არ მოხველ და გული შენ მაინც გელოდა,
გარეთ კი ისევე წვიმდა და ბნელოდა,
და გული დაგული გელოდა, გელოდა...

რატომღაც შინაურებს ცრემლი მოადგათ. საოცარი დუმილი ჩამოვარდა. ლალი იგრძნო რაღაც უხერხულობა, ადგა, წასასვლელად მოემზადა, არჩილი ფეხდაფეხ გაჰყვა. ლალი ეხვეწებოდა, დაბრუნდი, უხერხულია, მე მარტო წავალო, არ გაუშვა, სიძემ ვეღარ მოითმინა, ფანჯრიდან კინაღამ გადახტა, ყვირილი ატეხა, ლალის რას გაუბედავდა, მაგრამ არჩილს, „დეურტირ მაიორს“ ეძახდა, (იმ ხანებში სამხედრო კომისარიატში მუშაობდა), დაბრუნდი, ვთხოვ, დაბრუნდიო!..

არჩილმა უხმოდ მიაცილა ლალი სახლში. განვლო დრომ, ისინი აღარ შეხვედ-



რიან ერთმანეთს. მალე გაირკვა — ტროლიბუსში შემთხვევით გაცნობილი ქალიშვილი ხამ დღეში ცოლაღ! მოეყვანა...

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ლალი დედასთან გადავიდა ბათუმში საცხოვრებლად...

— ახლა რა სჭირს ლალის, ნეტავ? — ამ ფიქრებით დამძიმებული ვუახლოვდები ბათუმს...

* * *

ლალის ბინა... სულმოუთქმელად ავირბინეთ კიბე. ლალის დედა კარებში დაგხვდა დანადვლიანებული...

— როგორაა ლალი, დეიდა ნატო? — თითქმის ერთხმად ვკითხეთ სამივემ.

— ახლა რაღა გვიჭირს, შვილო, გადავრჩით...

საწოლი ოთახიდან ლალის ხმა მოგვესმა, — დედა, ვინ მოვიდა ჩემთან, ნუთუ ჩემი გოგოებიო?!

ჩვენ ერთად შევვარდით თითქმის... საწოლზე წამოძვარი დაგვხვდა ლალი ცოტა გაფერმკრთალებული, მაგრამ ისევ ისეთი მიმზიდველი და სათნო...

ძალიან გაიხარა ჩვენი ნახვით. სიტყვები აღარ ჰყოფინდა მადლობის სათქმელად. — ასე ერთად თუ მოიყრიდით თავს მაინც არ მეგონაო, ჩემო კარგო გოგოებო, მე ახლა აღარ მოგვკვებო... და ასე შემდეგ... გვიანობამდე აღარ გვეშვებოდა, ისე გამზიარულდა, ავადმყოფობაც გადაავიწყდა თითქოს, მაგრამ ჩვენ მივხვდით, რომ ხკამოდ დავალეთ, ცოტა ხნით ქალაქში გასვლა მოვიმიზეზეთ და ქუჩაში გამოვედით...

შემდეგ დეიდა ნატომ დაწვრილებით მოგვიყვა, რაც მოხდა:

იმ საბედისწერო დღეს ლალის არჩილისაგან ჯერ ვრცელი წერილი მიუღია, სადაც საყვედურებთან ერთად სთხოვდა საბოლოო შეხვედრას. ლალის ჩემთვის თავის დროზე რომ ვთქვა ეს ამბავი, შეიძლება ეს არ მომხდარიყო, მაგრამ მას ჩემთვის არაფერი უტყვამს... მთელი დღე რაღაცნაირად გაღიზიანებული იყო, რამოდენიმეჯერ ტელეფონზეც დარეკა, ლალიმ საჩქაროდ ჩაიცვა და ასე გავიდა ქუჩაში, ნახევარი საათიც არ იყო გასული, მანქანა დასჯახებია და გონდაკარგული მიუყვანიოთ საავადმყოფოში...

დიდხანს იავადმყოფა, ძლიერი შერყევა და მოტეხილობა ჰქონდა, მადლობა ღმერთს, გადავრჩით... ცოტა რომ მოიკეთა, მითხრა:

— დედა, ნეტავ ერთი, ჩემი გოგოები მანახა და მერე თუგინდა მომკლაო ..

შევბირდი, ჩამოგიყვან სამივეს შვილო-მეთქი და ამიტომ შეგაწუხეთ!

— რა გადაგიტანიათ, დეიდა ნატო, ნეტა ადრეც შეგეტყობინებინათ. მოგესმარებოდით, რიგრიგობით მაინც...

— გაიხარეთ შვილებო, ჩემ ლალის ბედი თქვენს სიყვარულში მაინც ჰქონია.

ლალისთან ორი დღე დავრჩით, ბევრი გავიხსენეთ, ბევრი ვაციინეთ, ფეხზე წამოვავენეთ, ცოტა ხნით ოთახში გავატარეთ, თუმცა ცოტა უჭირდა სიარული, მაგრამ საბოლოოდ ფეხი მორჩინილი ჰქონდა, ეგ იყო, მარცხენა ხელს ჯერ კარგად ვერ ხმარობდა და საიდუმლოდ მთხოვა, არავისთვის არაფერი მეთქვა, ჩუმად! გადმომცა მისი დაწერილი დღიური, მარტო შენ წაიკითხე და შთაბეჭდილება მითხარიო, ისიც მთხოვა არხად დამეწერა, მაგრამ, შემდეგ წაკითხულმა ისე ამაღლევა, რომ დღიურის ავტორსაც და მის შეყვარებულსაც მხოლოდ სახელები შევუცვალე და ასე გამოაქვს მკითხველის ხმსკავროზე...

აი ისიც:

...ვერაფრით მოვაბი თავი დღეურების წერას, მაგრამ მასთან ჩემი გაურკვეველი დამოკიდებულება იმდენად ამოუხსნელია, რომ ვერცერთ მეგობარს ვერ გავხატავს პირადად ვერაფერი ვუთხარი და ისევ ქაღალდს ვანდობ საფიქრალს.

როგორ ხდება, რომ ორი ადამიანი ერთმანეთის გვერდით ბედნიერად გრძნობს თავს, ორივე ერთნაირი ხასიათისა და გაგების არიან, თითქმის უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ და მაინც რაღაცა დგას მათ შუა, მაინც რაღაცა უშლის ხელს, რაღაცა ძალა...

როცა ჩემს გვერდით არის, ჩემზე ბედნიერი არა მგონია ადამიანი, ის ისეთი ძლიერია, ამაღლებული, ვაჟკაცური, რომ მე ვიცი, მის გვერდით არაფერი შემაკრთობს და ყოველთვის დამიცავს. მე მის გვერდით პატარა ბავშვი ვარ და ღრმად მწამს ჩვენ ორივე ძალიან ბედნიერნი ვიქნებით ერთად... ჩვენ გვეყოლება ბევრი შვილი და ჩვენ ვიქნებით მომავალი ძლიერი საქართველოს ერთი ბედნიერი ოჯახი.

1980, 20/V. ბათუმი.

გუშინ კიდევ მქონდა ბედნიერება მასთან შეხვედრისა, ეს ისევ თინიკოს დღეობაზე. როგორი გაბრწყინებული შემოსვლა იცის, როგორ უხდება სამხედრო მუნდირი, როგორ ცეკვავს თვითონ და ლამაზად დამაქროლებს მეც, განსაკუთრებით „ვალის“ ცეკვისას. ან ამდენ თბილ და ტკბილ სიტყვებს საიდან ჩამჩურჩულებს, რატომ მათრობს მისი სიახლოვე, ნუთუ თვითონ ვერ გრძნობს, რომ მე თვალდახუტული, ასე მიმნდობი უსიტყვოლ ვაჟკაცები მას ცხოვრებაში უველგან, რომ მე უიმისოდ ძალიან მიჭირს და მის გარეშე არ შემძლია, ნუთუ ვერ გრძნობს?... და თუ გრძნობს, რატომ შეგარება მერე თვალიდან, რატომ არასოდეს მომაკითხავს, რა ჰქვია ამას, ვინ მეტყვის ვინ?..

1980. 12/VI. თბილისი.

მენატრება, უზომოდ მენატრება, მაგრამ რაღაცა ძალა მაჩერებს, ვერც მე ვგზნობნები, ტელეფონითაც არ შემძლია დავურეკო, რაღაც შიში მაქვს ჩამდგარი, არ მინდა თავს მოვახვიო ჩემი გრძნობები, ეგებ ვცდები და მერჩენება ის ღრობითი ყურადღება, იქნებ ასე სჩვევიათ მამაკაცებს? თორემ, თუ კი შეხვედრისას ჩემს მეტს ვერავის ხედავს, რა ემართება შემდეგ, რატომ აღარ ვახსოვარ?..

1980. 10/VII. თბილისი.

ნეტა ისეთ ადგილზე მაინც არ ცხოვრობდეს, რომ მე შემეძლოს მათ სახლს ავუარო გვერდი და ისე მივიდე სამსახურში... არა, ეს რაღაა, რომ მისი დედა ისე მხვდება, როგორც შვილს? მერე რა ტკბილი დედა ჰქვას, ისიც კი მითხრა ერთხელ, „ნეტა ვი იმას, შვილო, ვის ოჯახშიც შეხვალ“. თითქო მე მელოდება, სამსახურში წასვლისას კარებში დამხვდება დედა ანო აქაოდა, ეს ღვეზელი შენთვის გამოვაცხვე, ცხელია გენაცვალოს დედა ანო, სამსახურში მოგვივდება, მიირთვითო...

რაღა ვიფიქრო მეტი, რა უღვას წინ, რა ეღობება ჩვენს ურთიერთობას, არ ვიცი არ მესმის...

1980. 15/VII. თბილისი.

უკვე ერთი წელია, არ მინახავს. ამასობაში შევბუღება მომიწია და მივიღივარ ბათუმში დედასთან. ამ დღეს შემთხვევით შემხვდა და ისევ დაიწყო ქათინაურები: „აი, ეხლა შენ წახვალ ზღვაზე, ვინ იცის, როგორი ბიჭი შეგხვდება და ვილას ვეხსოვები მე“.

გული ძალიან მომივიდა და ვეღარ მოვითმინე, — განა შენთვის სულერთი არ არის ვინ შემხვდება, ისე გავა წელიწადი, არც კი გახსოვარ და შემთხვევით შეხვევრისას აქეთ მდებ ბრალს-მეთქი... ეს კი ვუთხარი და რომ ცრემლები არ დაენახა, სულ-მოუთქმელად გავიქეცი...

ცოტახანს კი მომხდია: დამიცადე, შენ ვერ გამიგე, რა გითხარიო, მაგრამ მე აღარ შემეძლო ამის ატანა და გავრბოდი, რაც შემეძლო, აღარ მინდოდა მესმინა, ეს გაუთავებელი უაზრო საყვედურები, როგორც იცოდა ყოველთვის, მე რაღაცაში მადანაშაულებდა და ამით იცავდა თავს, რაც ყველაზე უფრო მძულდა მასში.

გავიდა საკმაო დრო, ამასობაში თინიკოს ძმა ჩამოვიდა შორეული ციმბირიდან და სულ ბოლოს მათ ოჯახში შევხვდი ოსიკოს ჩამოსვლასთან დაკავშირებულ სადღიშე.

ისევ ჩემს გვერდით უფნა, ყურადღება, ალერსი, იმდენად, რომ ოსიკოს კი დაქვავდა თურმე და თინიკოს ჰკითხა, როგორი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთშიო?..

თინიკოს აუხსნია ყველაფერი და ოსიკოს უთქვამს, მე ლალის მეტს არავის ვითხოვო, არჩილს კი მე თვითონ მოველაპარაკებო... როცა ეს ამბავი გავიგე, კინაღამ გადავირიე, როგორ, მე აღარაფერს მკითხავს ის შენი „გაციმბირებული“ ძმა-მეთქი?

თინიკომ მითხრა: „შენ ჩემ ძმას არ იცხობ, თუ რამე ამოიჭრა გულში, წინ ვერაფერი დაუდგებო“.

— ოჰო, ძალიან გათამამებული ყოფილა შენი ოსიკო!

1981. 20/III. თბილისი.

თინიკომ და გოგოებმა იციან, დღეს ჩემი დაბადების დღეა, საღამოს ყველა ერთად ივლიდა. ცოტა ხანში კი არჩილი და ოსიკოს შემოგვიერთდნენ, მე მარტო ვარ სახლში და დავრბივარ სამზარეულოსა და ოთახში. სუფრა ძალიან ლამაზად გავაწყვე და ყველა ერთად შემოვუსხედით მაგიდას. ოსიკო რაღაც აგრესიულად იქცევა, ჭერ შამანური ვერ გახსნა და შემდეგ სულ გადაასხა ქათქათა სუფრას... საერთოდ ამაზრუნენია ჩემთვის მისი ყალბი და გაუთავებელი „ბაგინნია მაია“ და „ედინსტვენნია მაია“ — ძახილი, ბუზობა გაზეპირებული აქვს რუსის გოგოებისთვის...

ეს საღამო ნიხი წყალობით ვერ გამოვიდა ჩვეულებრივად თბილი...

1981. 22/III. თბილისი.

რა მოხდა იმ ღამეს?

ოსიკოს დასასვენებლად წასვლამდე უნახავს არჩილი, გამოუკითხავს, თუ რა და-დებულება აქვს მას ჩემთან. არჩილს, — როგორც მისი ბოლო წერილიდან შევიტყვე, სულ გაუქარწყლებია მისთვის იჭვები და უთქვამს, რომ მართალია, დიდ პატივს მცემ ლალის, მაგრამ ეს არ არის ისეთი გოგო, ცუდად რომ შებედოს ვინმემო (ეს ლაბათ მის გასაგონად იყო ნათქვამი, რადგანაც მასზე უკეთ არავინ იცოდა იმ „დონ-ჟუანის“ ამბავი).

ოსიკოს დაუქადნია, აი, ეხლა, ამაღამ, ლალი ჩემი გახდებაო. თურმე ბევრი ემუდარა თუ უსაყვედურა არჩილმა, მაგრამ მან ეს არ შეიხსინა და ის იყო, როგორც



წინაც ვწერდი, ნახვამი ამოვიდა ჩემთან და ვერაფრით გამოვაგდე სახლიდან, მე დია-
სახლისთან გავათენე ის ღამე...

არჩილმა კი, როგორც მისი ბოლო წერილიდან შევითქვე, მთელი ღამე გაათია ქუ-
ჩაში მის მოლოდინში... „მაგრამ, როდესაც ოსიკოს გამოხვლას არ დაადგა საშველი,
მივხვდი იმ ღამეს დაგვარგე ჩემო ლალიო“, — მწერდა იმ დაწვევლილ წერილში, — „ეს
იყო მიზეზი ჩემი გადაკარგვის და ასე ნაჩქარევად ცოლის შერთვისა, ვითომდა ამით
გადავიხადე სამაგიერო“.

აი, მისი წერილიც:

„ჩემო ლალი, ჩემო კარგო ლალი! მინდა დავემხო შენს მუხლებთან, დაგიკოცნო
ხელები და პატიება გთხოვო, რათა ბოლომდე სულგრძელად შომისმინო და გამიგო...
სიყვარულს აღარ გთხოვ, მე არა ვარ ამის ღირსი, მე თვითონ დავამსხვრეე ის ღამაში
და განუშეორებელი, მაგრამ თუ არ გითხარი ბოლომდე, ის რამაც ასე გაანადგურა
ჩემი და შენი მომავალი, ვერ მოვიხვეწებ ალბათ ვერასოდეს...“

ეს იყო ის საბედისწერო ღამე, როდესაც საკმაოდ ნახვამმა ოსიკომ გამოიძარა
და მოთხრა — წამოდი, ლალისთან ავიდეთო, მე რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა მისი
სითამამე, როგორ? მე ამდენი ხანია ვიცნობ ლალის და მასთან ასეთ დროს არასოდეს
ავსულვარ, რა დროს სტუმრობაა ამ ღამეს, წამოდი სახლში, მოისვენე და ხვალ ვნა-
ხოთ-მეთქი... არა და არ მომეშვა, მაშინ მე მივატოვე და წავედი საწინააღმდეგო მიმარ-
თულებით, ვფიქრობდი, გამომყვებოდა ისიც... ოსიკო ამოვიდა შენთან და აღარ დაბრუ-
ნებულა უკან. მე კი დამათენდა ქუჩაში... მივხვდი, იმ ღამეს დაგვარგე, ეს ჩემთვის
იმდენად გაუსაძლისი შეიქმნა, რომ გადავწყვიტე, ჰერ მას გავსწორებოდი ფიზიკურად.
შემდეგ კი შენზე მეყარა ჭავრი... ასე აღრინილი დავხეტებოდი დიდხანს ქუჩაში, მაგ-
რამ ვერსად ვიპოვე, თურმე დასასვენებლად წასულიყო.

მეც არ ვიცი, როგორ მივიღე უეცარი გადაწყვეტილება, საჩქაროდ გავნთავისუფ-
ლდი სამსახურიდან და მეც უკრაინაში გადავწყვიტე სამუშაოდ წასვლა და ცოლიც სა-
მღეში ვითხოვე.

შემდეგ, მხოლოდ შემდეგ გაირკვა, ჩემო ლალი, რომ შენ ტყუილად დაგდე ბრა-
ლი, რომ ჩემი სულმოკლეობით შენც მოგაყენე ჩრდილი და ჩემი ცხოვრებაც ავრიო...


ჩემი აჩქარებული ქორწინება კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, არ გამოდგა ბე-
დნიერი... სხვა ჯიშის, სხვა მოღმის, სხვა სულის ქალს ვერ შევეთვისე და გავცილდი.
შვილი არ გვეოლია...

ლალი, თუ ოდნავ მაინც დარჩა ჩემდამი პატივისცემა შენში, ამ, წერილის მიღებ-
ის დაგირეკავ და შეგატყობინებ მატარებლის ნომერსა და ვაგონს, გთხოვ, გემუდარებ-
ბი, გამოიდი სადგურში. მინდა, ერთხელ კიდევ შეგავლო თვალი, რათა დავრწმუნდე
მაპატიე თუ არა ეს უდიდესი დანაშაული...

თუ არ გამოხვალ, მივხვდები, რომ სამუდამოდ დაგვარგე და მეც საღმე გად-
ვიკარგები...

შენი არჩილი...

არჩილის წერილმა სულით ხორცამდე შემძრა. მძიმედ გადის დრო, თავს ვებრძო-
რა ვქნა, არ ვიცი... მაგრამ, ის მოატყუებს, მეც ასეთ ღღეში ჩამაგდებს, რატომ არ უნდა
ვნასო, მე ზომ ის მიყვარს!.. არა, გადაწყდა, მაგრამ დამირეკავს თუ არა? — ახლა ეს
მიტრიალებს თავში...




დილის 10 საათია, რაღაც აფორიაქებული დავდივარ წინ და უკან, ადგილს ვერ ვპოულობ... ტელეფონის გაბმული ზარი... არჩილ, ჩემო არჩილ, და ცრემლები მაღრ ჩობს, მეც არ ვიცი, რას ვპასუხობ, ის კი მახსოვს, რომ უნდა შევხვდე. უნდა გავიქცე, მივრბივარ, ვერაფერს ვამჩნევ.. უცებ მანქანის ხრქიალი... და გონი დავკარგე, აღარა-ფერი მახსოვს... ასე მოვხვდი სავადმყოფოში...

არჩილისაგან აღარაფერი ვიცი, მან რა თქმა უნდა, ჩათვალა, რომ მე გადავიფიქრე მასთან შეხვედრა და როგორც მწერდა, სადღაც გადაიკარგა, მაგრამ სად?!

ლალის დღიურის წაკითხვამ სულითხორცამდე შემძრა... როგორ შეიძლება ასე უაზროდ დასრულდეს ამ ორი ადამიანის სიყვარული? გადაწყდა! მე უნდა მოვძებნო არჩილი, მან უნდა ბოლომდე იცოდეს ყველაფერი. ეს ჩვენი, ახლო მეგობრების ვალია, მაგრამ სად, სად მოვძებნო არჩილი? ეგებ ლალის ბოლო წერილზე დარჩა მისი მისა-მართი? ვინ იცის...





გველეშობა ლაქლაქეთში

ირონეზული დებამჭივი

ეს ამბავი ერთ შორეულ პროვინციულ დაბა-ქალაქ ლაქლაქეთში მოხდა. ზოგს, შეიძლება, დაუჯერებლადაც მოეჩვენოს იგი და, ეს რა გამოუგონიოა, ტუჩებაბზუებით თქვას ჩემზე. სხვებს გააცინებს, ახარხარებს, მერე ჩააფიქრებს...

დაბა-ქალაქი იმიტომ ვუწოდებ ლაქლაქეთს, რომ ქალაქისათვის პატარა იყო, დაბისათვის კი მოზრდილად მოგეჩვენებოდათ. აქაურები ქალაქს უწოდებდნენ, მერედა, რა სიამაყითა და პატივმოყვარეობით! ამიტომ ჩვენც ასე მოვიხსენიოთ, თორემ ლაქლაქეთელების ხასიათი რომ ვიცი, არ გვაპატიებენ. ყველაფერს გვაპატიებენ, ყველაფერს! ლაქლაქეთს დაბა ვუწოდოთ, არ გვაპატიებენ.

ისევე, როგორც ყველა დასახლებულ ადგილს, ლაქლაქეთსაც თავისი ისტორია აქვს, გამოჩენილი ისტორიკოსის, სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადოების წევრის ბარნაბა ლაქლაქეთელის სენსაციური გამოკვლევით, წარსულში ლაქლაქეთის ტბა ისეთა სუფთა და კამკამა ყოფილა, მალღობიდან რომ გადმოხედავდი, მისი კრიალა ზედაპირის ლაპლაპი თვალებს მოგჭრიდათ თურმე, ამიტომაც უწოდებიათ ამ ადგილისათვის ლაპლაპეთი. პირველი დასახლების გაჩენისთანავე ლაქებიც გაჩენილა ტბაზე. იზრდებოდა მოსახლეობა და იზრდებოდა ლაქებიც. ახლა რომ გადმოხედავდი მადლიდან, ლაქები და ლაქები დაცურავდა ტბაზე. ამიტომაც ბრძენმა ხალხმა ლაპლაპეთი ლაქლაქეთად შეცვალა.

მართალია, ამ სიტყვამ დღეს სხვა მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ, გარწმუნებთ, დიწჯ და სიტყვაძვირ ლაქლაქეთელებთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუმცა ამაში თავადაც მალე დარწმუნდები, მკითხველო. სხვა მხრივ ჩვეულებრივი ქალაქი იყო. აქაც, როგორც მსოფლიოს ყველა დიდ და პატარა ქალაქში, იყო მალაზიები, კაფეები, რესტორანი, კინოთეატრები, პარკები... და რაც მთავარია, ქუჩები. ამ დაწესებულებებში, როგორც სხვაგან, ჩვეულებრივი ლაქლაქეთელები მუშაობდნენ და, ცხადია, ყველაფერი ადამიანური არც მათთვის იყო უცხო. ქუჩებსაც არცთუ იშვიათ



თად ამკობდა ლაქლაქეთური ძარღვიანი ქუჩური, ხოლო პარკებს... თუმცა, უმჯობესია, მწუხრი რომ ჩამოეშვება, მაშინ ვეწვიოთ ქალაქის პარკებს. ახლა ვაცალოთ — მშვენიერი დილა უთენდება ლაქლაქეთს.

რაკი, იურიდიული ტერმინით რომ ვთქვათ, სამართალდამრღვევნიც ჰყავდა ლაქლაქეთს, სამართალდაცველნიც ეყოლებოდა, ცხადია. ქალაქის ცენტრში იდგა ორსართულიანი ქვიტკირის შენობა, რომლის ფაზადს ამშვენებდა წარწერა:

„ქ. ლაქლაქეთის მილიციის სამმართველო“.

სახურავსა და აბრას შორის, მთელი ფასადის გასწვრივ, ზეთის საღებავით გულმოდგინედ გამოეყვანათ ბრძნული ფრაზა:

„ფორმით — ორსართულიანი, შინაარსით — მრავალსართულიანი“.

იგი საგანგებო შეკვეთით შეესრულებინათ და ქალაქის ამ მეტად ავტორიტეტული დაწესებულების, ასე ვთქვათ, სავიზიტო ბარათი გახლდათ.

სამმართველოს ჰყავდა უფროსი, ანუ, როგორც უცხოეთში უწოდებენ — კომისარი, ანუ, როგორც იქაცა და აქაც მიღებულია — შეფი. ანუ, როგორც იქაცა და აქაც (პირუკან) სიყვარულით ეტყვიან ხოლმე — ბოსი. დაწესებულებაში, მოგეხსენებათ, ყველაფერი მისაღებიდან იწყება და ჩვენც აქედან დავიწყეთ.

ნარგიზას ათასშიც არ შეეცვლებოდა თავისი უფროსის ფეხის ხმა. ახლაც, მოესმა თუ არა, ხელოვნური წამწამების თვალღებებს თავი მიანება, კოფთის გულისპირს თლილი თითები ჩააყოლა, დეკოლტეს მაქმანები მისწია-მოსწია, რათა ღრმა ღარი გამოეჩინა. თვალის დახამხამებაში ყველაფერს საქმიანი იერი მისცა და ოთახში შემოვლავუნებულ შევტუხა სხმას. პოდპოლკოვნიკ პიერ პირველს უმანკო ღიმილი დაუხვედრა.

არ იფიქროთ, სამმართველოს უფროსობა ამ ქალაქში დინასტიის პრინციპით მიდიოდა.

პირველი — შეფის გვარი იყო. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ პიერ პირველი, ანუ კაცი ასეთი სახელითა და გვარით მართლაც პირველი შემთხვევა იყო აქ მილიციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

ასეთი დამთხვევის გამო ბატონ პიერსა და ქალაქის პირველ კაცს შორის ხანდახან უხერხულობა იქმნებოდა.

— პირველთან ვიყავი, — იტყოდა ვინმე.

— რომელთან?

მე კიდევ არაფერი. ქალაქის პირველის თანდასწრებით მოიკითხავე
ვინმე მილიციის შეფს:

— პირველი არ მოსულა?

— აგერ, მოდის... და ა. შ.

ძნელია იცოდე წინასწარ, როგორ ხასიათზე მობრწყინდება უფროსი
დღილი. ყოველ შემთხვევისათვის, ნარგიზა ისეთ ფორმაში ხვდება, შეფის
გემოვნებას რომ შეესაბამება. მაგალითად, გუშინ დიდიდებულ ხასიათ-
ზე გახლდათ ბატონი ბოსი. შემოვიდა თუ არა, შეჩერდა, თვალები მოჭუ-
ტა, ერთი კარგად შეათვალიერა ნარგიზა და თქვა:

— ჰმ!..

მაგრამ, მოგეხსენებათ, „ჰმ“-ცაა და „ჰმ“-ც. ეს კი ისეთი „ჰმ“ გახლ-
დათ, რომელსაც ნარგიზა არც თუ ისე ხშირად იმსახურებდა უფროსისა-
გან, ყოველთვის კი ელოდა. ძნელია თქმა, რატომ ელოდა, რისთვის სჭი-
რდებოდა ამ სიცოცხლითა და მიწიერი სურვილებით სავსე ოცდაათი-
დე წლის ქალს კუპრივით შავთმიანი, ჯან-ლონით გატენილი ორმოცდა-
ხუთი წლის მამაკაცისაგან. ეს მისი საქმეა და ჩვენც ცხვირს ნუ ჩავყოფთ.
მით უმეტეს, რომ უფროსისა და პირადი მდივნის მრავალწლიანი თანამშ-
რომლობის ტრადიციებმა დაამტკიცა, რომ არც უფროსსა და არც პირად
მდივანს არ ეხატებათ, როცა მათ საქმეებში ცხვირს ჰყოფენ. ამასთან, ეს
ჩვენი მოთხოვნის თემაც არ გახლავთ. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა,
რომ დილით ბატონ პიერს ნარგიზასათვის გუშინდელივით „ჰმ“ აღარ უთქ-
ვამს. კიდევ მეტიც, ზედაც არ შეუხედია და გუშინდელი „ჰმ“-ს შემდეგ
საგანგებოდ შექნილი, მაღალ მკერდზე მადის აღმძვრელად შემოტმასნუ-
ლი დეკორატივებული ხორცისფერი კოფთა არც კი შეუნიშნავს, ისე შე-
ვარდნილა კაბინეტში.

რას არ გაუძლებს ქალი, მაგრამ ამის ატანა?! კინალამ ცრემლები წა-
სკდომია საბრალოს, მაგრამ უცებ დეფიციტური საღებავი გახსენებია
უპეებზე და თავი შეუკავებია.

უმიზეზოდ არაფერი ხდება ამ ქვეყნად, უთქვამს ბრძენკაცს, პოდა,
ბატონი პოდპოლკოვნიკის დღევანდელ გუნება-განწყობილებასაც ჰქო-
ნია თავისი მიზეზი.

ო, არა, ბატონო, არა! ნარგიზა არაფერ შუაშია. რას იზამ, უფრო
ხშირად ასეა: უფროსს ბზიკი უკბენს, შხამი კი უმცროსებზე გადადის,
ასე რომ, გამოთქმა: „ვინ გაუგებს ქალს“ — მოძველდა, არატიპური გახ-
და და ბანალურადაც ედერს. სამაგიეროდ ახალი: „ვინ გაუგებს უფროსს“
შემოიჭრა და დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რა იცოდა ნარგიზამ, რომ ყველაფერი იმ წეროლის გამო მოხდა, გუ-
შინ, დღის ბოლოს რომ შეუტანა თავის უფროსს. ბოსმა ერთხელ კიდევ



შეათვალიერა ქალი და ისე ჩაუღიმა ქაღალდებს, თითქოს მთელი ცხოვრების განმავლობაში ნანატრი ოცნებების ახდენას ჰპირდებოდნენ ისინი.

ამ დილით კი კაბინეტში შევარდა თუ არა, ნარგოზა იხმო და იქუხა:

— სამმართველო ჩემთან!

სამმართველო სულ ჩვიდმეტი კაცისაგან შედგებოდა. მაგრამ, როცა ბატონი პოდპოლკოვნიკი გასცემდა ბრძანებას, ეს ნიშნავდა, რომ უნდა გამოცხადებულაყვენენ მაიორი ბისმარკ ბრაუნინგია (მთელი ქალაქი რომ სიყვარულით ბრაუნინგს ეძახდა), კაპიტანი პეპიტო კარამელიძე, ლეიტენანტი ვალტერ (იგივე დონალდ) ყუანიძე, ანუ, როგორც პროფინციელი ლამაზმანები ნაზად უწოდებდნენ, ვალტერ დონეყუანი, და სერჟანტი ტუჩა ტუჩელი. ისინიც ჩინას მიხედვით შემოლაგდნენ კაბინეტში და კარებთან აიტუხუნენ. მხოლოდ ბრაუნინგი (რაკი მაიორი ამ სახელით გახლდათ ცნობილი, ჩვენც ასე ვუწოდოთ) ჩაჯდა სავარძელში ნებართვის გარეშე.

— დაბრძანდით თქვენც! — ხელი ჩაიქნია უფროსმა, — რა აზრი აქვს, გინდ მჯდარხართ, გინდ მდგარხართ, ორივე შემთხვევაში ჰყრიხართ!

— რა დავაშავეთ, ბატონო.. — შეჰბედა-იყო სერჟანტმა, რასაც თანამშრომელთა თვალების მრავალმნიშვნელოვანი ტრიალი მოჰყვა, ჩანდა, სერჟანტი არ იცნობდა პიერ პირველს. აბა, საიდან ეცოდინებოდა, სულ ხუთიოდე დღის წინ გადმოსულიყო ამ ქალაქში.

— რაო?! — დასჭექა შეფმა და ჭალმა ციმციმი დაიწყო.

„აფსუსს რა ხმა ფუჭდება! — გაიფიქრა ვალტერ დონეყუანმა, — ეს ახლა რომ იტალიაში იყოს, მეორე კარუზო იქნებოდა... ყალ-ყალ!“

უფროსი ჰქექდა და ქუხდა, სავარძელში ვეღარ ეტეოდა, თანამშრომლები კი, პირიქით, სულ უფრო პატარავდებოდნენ, მხოლოდ ტუჩა იდგა ქვედატუჩგადმობრუნებული და გაოგნებული სახით ხან ჭალს ახედავდა, ხან უფროსს მიაჩერდებოდა.

ბოლოს ბატონი პიერი დადუმდა, მაგრამ ჭალი და თანამშრომლები ჯერაც ცახცახებდნენ.

— მანც, რა დავაშავეთ, უფროსო? — მშვიდი ხმით ჰკითხა სერჟანტმა, რასაც კვლავ თვალების ქაჩვა-ტრიალი მოჰყვა. მაგრამ, ყველას გასაკვირად, შეფი ღუმილით შეხვდა ამ რეპლიკას. გამგმირავად შეხედა სერჟანტს, მერე საქალაქიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და ბრაუნინგს გაუწოდა...

... ხმამაღლა წაიკითხეთ, ბატონო მაიორო, დასკვნები — შემდეგ ბრაუნინგმა პიჯაკს ჯიბიდან სათვალე ამოიღო, ჰუ-ჰუო, შეუბე-რა. შეუმებს ცალ-ცალკე, ცხვირსახოცით გულმოდგინედ გაწმინდა, მსუ-

ქან ცხვირზე მოიარგო, მერე ჩამოსწია ისევ, წამით შეათვალიერა ჩემი მსხდომნი და ხრინწიანი ხმით დაიწყო:

„მოგახსენებთ, რომ მე, მიტუშა კამიკაძეს, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილ ადამიანს, ჩემს მეზობლად მცხოვრებმა დეზდემონამ (ვაი, სადაა ოტელო?!) და მისმა კავალერმა ბენო გენიძემ (სწორედ იმიან, ი-იქ რომ ზის!) ერთი თვის წინ სიცოცხლეს გამოასალმეს ჩემი ოჯახის ასე ვთქვათ, მკვიდრი, ჩემი მეგობარი, ჩემი სიბერის უკანასკნელი გატაცება — შარლოტა, ანუ, როგორც სიყვარულით ვეძახდით — ლოტა. ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მან მაგრძნობინა კვლავ სიცოცხლისა და სიყვარულის ფასი და აზრა.

საქმე იმაში გახლავთ, პატივცემულო, რომ ქ-ნი დეზდემონა ცხოვრობს ჩემს მეზობლად, ე. ი. მესამე სართულზე სამოთახიან ბინაში, რომელიც ბატონთ-ბატონმა გენიძემ ურიგოდ მიაღებინა მაგ ურიგოს. დეზდემონას ჰყავდა ქმარი, შესანიშნავი ადამიანი, კაცური კაცი! მაგრამ მაგისტანა ქალთან აბა, ვინ გაჩერდება! დეზდემონას, ბატონო, მასშტაბები სჭირდებოდა, მასშტაბებია!

რაც შეეხება ბენო გენიძეს (მე მისი პიროვნების „დამსახურებებზე“ ლაპარაკით არ წაგართმევთ უძვირფასეს დროს), ისეთი ყურადღებოანია ამ დედაკაცის მიმართ, ისეთი თბიილი, მოსიყვარულე, ისეთი მოალევერსე, რომ სულ ჩიტის რძეში აბანავენს... ბანაობაზე გამახსენდა, ახლა აბაზანას არ იტყვიან, რავა გკადროთ და, იქნებ ტულეტშიც შეიჭვრიტოთ, პატივცემულო? გამოსვლა არ მოგიწდება კაცს, უკეთეს დასასვენებელ ადგილს სად ნახავ. ან იქნებ გარდერობით დაინტერესდეთ?..

ვიცი, ფიქრობთ ახლა, რა შუაშიაო ჩემი აწ განსვენებული შარლოტა. მოგახსენებთ, ბატონო.

თქვენთვის, ალბათ, გასაგებია, რომ ბენო გენიძე ტყუილუბრალოდ არ ანებივრებს თავის დეზდემონას... იმ ვაჟბატონს ლოტას დანახვაზე ელეთ-მელეთა მოსდიოდა, შიშისაგან ფერს ჰკარგავდა. მაინც დიდი ავიყო ის ცხოვრებით. ისეთი სიტყვებით შეამკობდა, მეზობლები ყურებში თითებს იცობდნენ. როგორ არ ეცადნენ ჩემი მეზობელი და მისი საყვარელი, გამოენახათ ლოტასთან საერთო ენა, ვერაფერს გახდნენ. არ მოსწონდა, ბატონო, ეს მრუშობა და რა ექნა! ჰოდა, ბენო გენიძე იძულებული იყო, ლანდივით აპარულიყო კიბეებზე და სწრაფად გაუჩინარებულყო დანიშნულ დროისათვის საგანგებოდ ღიად დატოვებულ კარებში.

რალა ბევრი გავაგრძელო, პატივცემულო, და გაუჭირდათ ასე ბ-ნსა და ქ-ნ ბენოსა და დეზდემონას, შეუდგნენ გამოსავალის ძებნას. ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ, უთქვამთ. იმათაც ჰპოვეს. გამოძებნეს ვინმე კალისტო ბომბორაძე, რომელიც ადრეც სჩადიოდა თურმე შავბნელ საქმეებს.



(თქვენ კი ჭურში ზიხართ!). არ იფიქროთ, ბატონო, კალისტო დეზდემონას ოქროსფერი (შეღებილი!) თმების გულისათვის დათანხმდა ბოროტ მოქმედების აღსრულებას. ქალაქში დადის ხმები, რომ სანებიდსადგურის ინსპექტორის ნიღბს ამოფარებული რეციდივისტი და მკვლეელი კალისტო ბომბორაძე დარიშხანს (arsenicum) ზემდგომი პირების ფარული მითითებით, მათთვის მამებლობისა და მლიქვნელობისათვის იყენებს. ანადგურებს ცოცხალ ძალას (რომ შეეძლოს, ტექნიკასაც გაანადგურებდა). ეს უკანასკნელი, ჩემი არყოფნის დროს, თითქოსდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, შევიდა სახლში და ჩემს საყვარელ...“ — აქ ნაწერი დადღაბნილია, ჩანს, ცრემლი დაცემულა, — განმარტა ბრაუნინგმა და განავრძო, — დარიშხანის ((arsenicum) დიდი დოზა შეაპარა.

აღბათ ხვდებით, როდენ დიდია ჩემი მწუხარება!
ახლა ერთადერთი ქალიშვილია დამრჩა და მალე მისკენაც გაიწვდიან თავიანთ ბინძურ ხელებს ეს შენიღბული მკვლელები..

ახლა ყველაფერი იცით.
გთხოვთ, თქვენთვის ჩვეული ობიექტურობით და ოპერატიულობით გამოიძიოთ ეს საქმე და ბოროტმოქმედი შესაფერის სკამზე დასვათ.

პატივისცემით მიტუშა კამიკაძე“.

— აუუ, — შეჰყვირა კაპიტანმა, — ეს რა მომხდარა, კაცო!
— ნწუ, ნწუ, — თავი გააკანტურა ლეიტენანტმა და პირველს თვალეზში შეაჩერდა.

— ოო, ეს რაფინირებული მკვლელები... ისინი ყველაზე საშიშნი არიან! — თქვა ბატონმა ბისმარკმა და ვილაცას მუშტი მოუღერა. იგი ჩვეულებისამებრ, წინადადებაში, ისეთ სიტყვას ან ფრაზას ჩააგდებდა, რაც მის მაღალ განსწავლულობას წარმოაჩენდა.

— ნება მომეცით, უფროსო... — წამოდგა სერჟანტი.
— რა გნებავს?
— ჩემი აზრი...
— შენ რა გგონია, ცხვირა... თუ რა გქვია... ჰო, ტუჩა, ჩვენ უაზრონი ვართ?

— მაგრამ, მე...
— დაჯექით, სერჟანტო. ვერ ვიტან მეტიჩრებს.
— ბატო...
— მე რა ვთქვი!
— ბატონო პოდ...
— სერჟანტო, უწესრიგობისათვის კაბინეტიდან მიგაბრძანებთ!
ტუჩელი დაჯდა.

— აბა, მაიორო!..

ბრაუნინგმა თვალები აახამხამა და ხელები უმწეოდ გაშალა.

— დამნაშავე ვართ, უფროსო... მაგრამ... გაუგებარია, ამდენ ხანს ის კამიკაძე და რაღა ერთი თვის შემდეგ გაახსენდა თავისი საყვარლის...

— შარლოტას, — გაუსწორა პირველმა.

— იგივე ლოტას, — დაუმატა ლეიტენანტმა.

— ალი ხოჯა და ხოჯა ალი ერთი არ არის? — ჩაურთო სერჟანტმა.

— ეს ვინ არის, კაცო! — ხელი აიქნია პოდპოლკოვნიკმა, — და საერთოდ, ვინ დაგიბარათ აქ?

— მე არ მითხოვია.

— ჰოდა, გაქ-რარი!

სერჟანტი შეტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

— უყურე შენ!

— ეგ რა თქვა, ალი ხოჯაო! — ხელები გაასავსავა მაიორმა, — მაგი შემოგზავნილია!...

— გვარკვევთ მაგას, აუცილებლად გვარკვევთ! — მაგიდას მუშტი დაჰკრა ბატონმა პიერმა, — საეჭვო ელემენტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ისეთ ორგანოში, როგორც მილიციაა. აქ საჭიროა ცივი გულისა და ცხელი გონების ადამიანები. ასე არ არის, მაიორო ბრაუნინგ?

— სწორედ!

— იქნებ ნაობოროტ, უფროსო? — გაუბედავად ჩაურთო კაპიტანმა კარამელიძემ.

— ეს როგორ, „ნაობოროტ“?

— ცხელი გულისა და ცივი გონების...

— ?!..

— კაცო, მაგი ნარგიზას ჰკითხეთ, დახასიათებებს ის ადგენს! — ხელი ჩაიქნია პირველმა და ახლა იქეთ შეუტია კაპიტანს, — რას ჩამაცივლით მაგ შენი „ნაობოროტით!“

— ბ-ბო-ოდიში, უფროსო, — ენა დაებორკა კარამელიძეს.

პოდპოლკოვნიკმა თავი ხელისგულებში ჩარგო და გაოგნებული სახით ჰერს მიაჩერდა. თანამშრომლებიც რიგ-რიგობით ახედავდნენ უფროსის ყურადღების საგანს, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს პოულობდნენ იქ და ისევ ხელმძღვანელზე გადმოჰქონდათ მზერა.

— რაზე ვლაპარაკობდით? — მეოცნებესავით იკითხა მან ისე, რომ ხელისგულებიდან თავი არ აუღია.

— ლოტა და საყვარელი — ალი ხოჯა და ხოჯა ალიო, — უბასუხა აქამდე მდუმარე ლეიტენანტმა და, თავისი მესხიერებით კმაყოფილმა,

„მაყად შეარსია მხრები: „მილიციის მუშაკისათვის მთავარი და მთავარი
მეხსიერება!“ — გონებაში დაასკვნა.

— მერე?

— მერე, ბატონმა მაიორმა, ალი ხოჯა შემოგზავნილიაო, — ჩაუროთ
კარამელიძემ.

— მერე?

— მერე...

— ჰო, მერე?

— მერე... თქვენ ბრძანეთ, მაგას გავარკვევო.

— კი; მასე ვთქვი, მერე?

— არაფერი, უფროსო.

— არაფერი? სულ არაფერი?

— მმ... მგონი... — კაპიტანმა მხრები აიწურა და იქ მყოფთ ისეთი
თვლებით გადახედა, თითქოსდა ემუდარებოდა, რას გაჩუმებულხართ,
თქვით რამე, მიხსენით ამ გასაჭირიდანო.

— აბა, „ნაობოროტ“?

— აა-ი, სად გამოიჭირა — მოზეიმე ხმით შეჰყვირა ლეიტენანტმა.

— აბა-აბა! რას ნიშნავს ნამდვილი მძებარი. ხედავდით, როგორი,
თანმიმდევრობით წარმართა დაკითხვა? შეკითხვების კორიანტელით თავ-
ბრუ დაახვია, დააბნია, ფსიქოლოგიურად დაშალა, მორალურად დაან-
გრია. ესეც შენ — დამნაშავის გამოჭერისა და გამოტეხის ყველაზე ეფექ-
ტური ნიშუში! მაგასთან, შვილო, შერლოკ ჰოლმსი მიქარვია, კომისარი
მეგრე ხომ — არარაობაა! ამას მე გეუბნებით, მაიორი ბისმარკ ბრაუნინ-
გი.

— მე... მე დამნაშავე არა ვარ, — ამოილულლულა კაპიტანმა.

— აბა, „ნაობოროტ“?

— ეს ისე ვთქვი, სიტყვისათვის.

— მილიციელი, კაპიტანო, სიტყვას სიტყვისათვის კი არა, საქმისათ-
ვის უნდა ამბობდეს.

— თქვენი ყოველი ფრაზა აფორიზმია, უფროსო! — წარმოსთქვა
ლეიტენანტმა.

— ჯერ ახალგაზრდა ვარ, გამოვსწორდები, — კაპიტანმა გამგმირავი
მხერა ესროლა ლეიტენანტს.

— აბა, მაგ იმედით ვცოცხლობ მე, — ჩაიციხა პიერ პირველმა. —
ქარგი, დაჯექი.

კაპიტანმა შვებით ამოისუნთქა და დაჯდა.

პოლბოლოკოვნიკი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ფანჯარასთან
გაჩერდა.

„ რას გააწყობ კაცი ამისთანა თანამშრომლების შემყურე! — ფიქრობდა იგი. — არა, ძმაო, განცხადებას დაეწერ, რომ სხვაგან გადამდევნა. წავალ სადმე სოფელში და ვიმუშავებ ჩემთვის წყნარად. შენ შენ გეტყვი, დაფასება აკლიათ იქ თუ პატივისცემა! მერე, სუფთა ჰაერი რად ღირს მარტო, — კაბინეტის ოთხივე კედელი შეათვალიერა, — რა მინდა აქ, ამათთან... სოფელი, ცივი წყალი... შიგ ბოთლები... იფფ! — აქ მან ხელები მოიფშვნიტა, — გადაწყდა, უნდა წავიდე! — ბატონმა პიერმა ისევ შეათვალიერა თანამშრომლები, — ისა... მაინც, რისთვის მოვიწვიე უტვიზნოები! ჰო, რაღაც წერილის გამო“. — ისევ მაგიდასთან მივიდა და ქაღალდები აიღო.

— ამ წერილის შინაარსი თქვენთვის ნათელია, არა?

— დიახ.

— ბატონო ბრაუნინგ, მე გთხოვეთ აზრი გამოგეთქვათ.

მაიორი ზღაპრით წამოდგა.

— მმ-ე მგონია, საშიშ მკვლევლებთან უნდა გვექონდეს საქმე... შეიძლება განგსტერებთანაც კი. ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ კამიკაძის მეზობლებმა სპეციალურად დაიჭირავეს კაცი, რათა ალი ხოჯა მოეკლათ.

— ვი-ინ?!

— ხოჯა ალი...

— რას ამბობ, კაცო, რას! ალი ხოჯა და ხოჯა ალი ერთი არ არის?

— მასე არ თქვათ, შეფ! — ხელები გაასავსავა კაპიტანმა.

— კაპიტანო კარამელიძე!

— ვისმენტ! — ჭიგოსავით ხმელი და გრძელი კაპიტანი კლაკნით წამოდგა და უფროსს თვინიერი თვალები მიაპყრო.

— თქვენი სახელი?

— პეპიტო.

— გვარი?

— კარამელიძე.

— მერედა, პეპიტო კარამელიძე, კარამელიძე პეპიტო ხომ ხარ?

— კი ვარ, — გაიღრიჯა კაპიტანი.

— ჰოდა, პეპიტო კარამელიძე და კარამელიძე პეპიტო, და ალი ხოჯა და ხოჯა ალი ერთი და იგივე არ არის?

კაპიტანს თვალები გაუფართოვდა.

— ეს როგ... როგ...

— ორ-ორ! — დაეხმარა მას ლეიტენანტი.

— როგორ თუ ერთი და იგივე? — თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა მან.

— ისე...

— მე ალი ხოჯა არა ვარ... არც ხოჯა ალი ვარ... საერთოდ, ხოჯა არა ვარ... არც ჩვენს გვარში ყოფილა ვინმე. რალა მაინც და მაინც მე ამოგიღეთ ნიშანში, ჩვენ ისა.. რა ქვია... ჰო, ათეისტები ვართ, როგორც ყველა თქვენ... ალბათ, ვილაცის ვილაცისათვის გინდათ ჩემი ადგილი...

— კმარა!!! — დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა მილიციის შეფმა და ჭერში კვლავ აჟიფჟივდა ჭალის კენჭები. — არაფერი გამოვა თქვენგან! აი, რის თავები გაბიათ, — მაგიდას მუშუტი დაუკაკუნა, — არა-რაობა... სიცარიელე!

პოლბოლკოვნიკმა მაგიდიდან სივარეტის კოლოფი აიღო, ფსკერს ისტატურად გაჰკრა წვიპურტი, ერთ ხვეულას თავი ამოაყოფინა, მოუკიდა და გააბოლა. მერე ოთახში გაიარ-გამოიარა და უცებ წიგნების კარადასთან შეჩერდა, თითქოს რომელიმეთი დაინტერესდაო. მილიციის მუშაკები სმენად იქცნენ: ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოსი მსჯელობას იწყებდა.

— მიტუშა კამიკაძის უბედურება მართლაც განუზომელია, — წარმოსთქვა მან და შეჭმუხვნელი შუბლი მოისრისა, — წერილიდან ჩანს, რომ იგი პენსიაში იმყოფება.. ესე იგი, როგორი კაცი ყოფილა?

— პენსიონერი! — ყველას დაასწრო ბრაუნინგმა.

— ხანშიიი...

— შესულიი! — იყვირა ყველამ ერთხმად.

— ჰყავს ერთადერთი ქალიშვილი, — განაგრძო პირველმა, — მამის ოჯახში ცხოვრობს, ჩანს, გაუთხოვარია.

„ნეტავ ლამაზია?“ — ოცნებაში ჩაიძირა დონყუანი.

— ჩემს მეზობელსაც უზის ქალიშვილი სახლში, მაგრამ ბარე სამი ქმარი გამოიცვალა, — ჩაუბრუნა კაპიტანმა.

— ეს საქმეს არ ეხება, — შენიშნა ბატონმა პიერმა, — კამიკაძე ცოლის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ერთ მის გულისამაჩუყებელ სტრიქონს: „ახლა ერთადერთი ქალიშვილია და მრჩა და მალე მისკენაც გაიწვდიან თავიანთ ბინძურ ხელებს“... დავასკვნით, რომ იგი უცოლო, უფრო სწორედ, ქვრივი უნდა იყოს.

მიუხედავად კამიკაძის ხანდაზმულობისა... — უფროსი კარადას მოსცილდა და კვლავ ბოლთას ცემას მოჰყვა, — იგი გულგრილი არ ყოფილა მშვენიერი სქესისადმი, რაც სერიოზულად მაფიქრებს მისი ქალიშვილის მორალზე (რასაკვირველია, თუ იგი ძალიან ახალგაზრდაა). არა მგონია, რომ მამამისის ასე თავისუფალ ქცევას გავლენა არ მოეხდინოს გოგონაზე... ან მის ხასიათზე მაინც. აქვე საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას.

— ძალზე საინტერესოა, — წარმოსთქვა ლეიტენანტმა.

— ორივე მეზობელი კანონგარეშე ურთიერთობაშია თავისი ვარლებთან, დეზდემონა-ბენიძესთან, ლოტა-კამიკაძესთან. ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონიათ. კონკრეტული მიზეზები ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შარლოტა, როგორც ქალი, და, ვინ იცის, დეზდემონაზე იქნებ არანაკლებ ლამაზიც, მტკივნეულად განიცდიდა ბენო გენიძის ხელგაშლილობას თავისი საყვარლის მიმართ, მაშინ როცა ნიტუშა კამიკაძეს თავისი საწყალი პენსიის გარდა არაფრის შეთავაზება არ შეეძლო. მე ვიცი, მე ჩემი მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება და ინ-ტუ-ი-ცი-ა მკარანახობს, რომ მხოლოდ ამის გამო წამოიჭრებოდა პირველი უკმაყოფილება მეზობლებს შორის. მაგრამ ჯერ, რასაკვირველია, მიტუშასა და ლოტას მოუვიდოდათ კინკლაობა, რომელიც თანდათან ჩხუბში გადაიზრდებოდა... ძნელია თქვა, სადამდე მივიდოდა მათი უთანხმოება, მაგრამ ერთი კი ნათელია, საბოლოოდ მაინც ლოტას მოუქცევია გავლენის ქვეშე მიტუშა. ეს კი ერთი პატარა აბზაციდანაც ჩანს: — „რაც შეეხება ბენო გენიძეს (მე მისი პიროვნების „დამსახურებებზე“ ლაპარაკით არ წაგართმევთ უძვირფასეს დროს), ისეთი ყურადღებიანია ამ დედაკაცის მიმართ, ისეთი თბილი, მოსიყვარულუთუღე, ისეთი მოალევერსე, რომ სულ ჩიტის რძეში აბანავებს... ბანაობაზე გამახსენდა და, ახლა აბანანას არ იტყვიან? რაღა გკადრით და, იქნებ ტუალეტშიც შეიჭვრიტოთ? გამოსვლა აღარ მოგინდებთ, უკეთეს დასასვენებელ ადგილს სად ნახავთ! ან, იქნებ, გარდერობით დაინტერესდეთ, პატივცემულო?“

შარლოტა, როგორც მიტუშა ამბობს, კაი ავი ვინმე ყოფილა, წარმოდგინეთ, ისეთი ავი. რომ ბენო გენიძე მისი შიშით ძრწოდა თურმე.

საკვირველია არა?

— დიახ.

— საბრალო ბენო გე...

— ისმება კითხვა, რით აშინებდა ლოტა — ეს ერთი პატარა ქალი ამ სიმდიდრითა და თანამდებობით მორჭმულ ადამიანს?

შეფმა ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე თავის მაგიდასთან გაჩერდა. ნაოჭებით დასერილი შუბლი მოისრისა და განაგრძო:

— მაშ ვიყოთ უფრო გონიერნი, ჩაუღრმავდეთ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ სტრიქონებს... სამწუხაროდ, ნიტუშა კამიკაძე ამის შესახებ სდუმს... და სდუმს წინასწარგანზრახვით!..

შეფი სავარძელში მოთავსდა და თვლები ჭერს მიაპყრო.

— ამასობაში კი, წარმოიდგინეთ, — განაგრძო მან, — მიტუშასა და შარლოტას ურთიერთ შეხლა-შემოხლა გახმაურდა და ბენო გენიძესა და



დღეზღემონას პირველად დაეკარგათ მოსვენება, დიახ-დიიიახ. და კი-
ღევ დიახ!!! აქედან კი ადვილია დავასკვნათ, რომ ლოტა (რომელიც
კვლავ ვიმეორებ, ვერ იტანდა ბენო გენიძის ასეთ ყურადღებას დღეზღე-
მონასადმი) ერთ მშვენიერ დღეს მათ მილიციაში დასმენით დაემუქრებო-
და.

დღეზღემონა და ბენო საგონებელში ვარდებიან. მდგომარეობა კულ-
გინაციურ წერტილს უახლოვდება.

საჭირო ხდება სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება.
დრო აღარ ითმენს...

ჰოდა, ხომ გავიგონიათ ის ანდაზა.. დამავიწყდა ახლა... ასეა თუ ისე.
კალისტო ბომბორაძემ ერთი მხრივ და, დღეზღემონამ და ბენომ — მეო-
რეს მხრივ იყნოსეს კიდევაც ერთმანეთი...

წერილში არ არის ნახსენები, კერძოდ, ვინ მიაგნო ბომბორაძეს, მაგ-
რამ ერთი კი ნათელია, რომ ამ ბნელ საქმეში დღეზღემონასა და ბენოს
ერთნაირად ურევიათ ხელი.

შეფი წუთით გაყუჩდა. პირდაფრენალ თანამშრომლებს თვალი გა-
დაავლო და თვითკმაყოფილებით ჩაახველა. მერე სახეზე კვლავ კუმტი
იერი გადაიკრა, თვალის კაკლები სანახევროდ ქუთუთოების ქვეშ მოაქ-
ცია და ცივი ხმით განაგრძო:

— და, აი, ერთ დაწყევლილ დღეს გაიმართა საზიზლარი ვაჭრობა.
დღე-ახ! იმ დღეს საბრალო შარლოტას სიცოცხლე... გაიყიდა, ბატონებო!

... აქ იგი კვლავ შეჩერდა, რათა მეტი ეფექტი მიეცა თავისი სიტყვები-
სათვის და შედეგითაც დამტკბარიყო. არც შემცდარა. მაიორ ბრაუნინგს
სახეზე მძულვარება ეხატა. კაპიტანი, ეტყობოდა, სხვა სამყაროში გადა-
ჭრილიყო და ახლა ახლადგამოღვიძებული ჩვილის დაფეთებული თვალე-
ბით მისჩერებოდა უფროსს. ლეიტენანტს კი, რომელიც ყურადღების
განსახიერება გახლდათ და ამ დროს, გეგონებოდათ, ყურებიც კი უგრ-
ძელდებო, აღტაცებისაგან პირი დაეფჩინა და მის სქელ ტუჩზე ნერწყ-
ვი მიიმედ მოლოღავდა.

— მაშინ, — განაგრძობდა ბატონი მილიციის შეფი, — როცა შინ
მხოლოდ შარლოტაა, ბომბორაძე კარებზე აკაკუნებს ან ზარს რეკავს,
მერე თავს კომუნალური მომსახურების მუშაკად წარუდგენს საბრალო
ქალს და ბინაში შედის. ნუ დაგავიწყდებათ, ბატონებო, რომ ბომბორაძე
პროფესიონალი მკვლელია და მსგავს სიტუაციაში, ალბათ, პირველად არ
მეყოფებოდა. მას, რასაკვირველია, არ გაუჭირდებოდა მიამიტი ქალის
მულის მონადირება (მით უმეტეს, როცა საყვარელი პენსიონერია). ქალს
თანდათან უფრო მოსწონს ვაჟკაცი, გულუხვობასაც იჩენს და ნუგბარ-
ნუგბარით უკოკლოზინებს ყელს. კონიაკსაც აყოლებენ (აქ თანამშრომ-

ლებმა ტუჩები ააწკლავუნეს). ამასობაში ბოროტმოქმედი დარიშხანის დიდ დოზას აპარებს ლოტას და გარეთ გამოდის. შედეგი დიდხანს ვერ დააყოვნებდა.. ვინ იცის, რამდენ ხანს იკრუნჩხებოდა მარტოლმარტო საბრალო ქალი.

— ოო, რა საზიზღრობაა, რა სიმხეცეა! — კბილები გახსრტილა ბრაუნინგმა.

— ოჰ, ოჰ... საბრალო ისა... — კაპიტანი კვლავ გამოტვინებული სახით აცეცებდა თვალებს, ისა...

— ვინ? — ჩაეკითხა დონჟუანი.

— ისა... ოტ... ოტელო...

— რაო?! — თვალეები დააჭყიტა მაიორმა.

— ისა... კლეობატრა... — კაპიტანი შველას ეძებდა, — რა ჰქვია იმას...

— ჰერცოგინია ჯინა სან-სევერინა! — დასჭექა შეფმა.

— დიახ... მართალი ბრძანდებით, ჰერ...

ლეიტენანტმა ფეხი დააჭირა ფეხზე და, თითქოსდა თავისთვის, ჩაბურტყუნა:

— არ დაიჯეროთ, ბატონო კაპიტანო, იმ წერილში ჯინა ლოლობრი-ჯიდას ხსენებაც არ ყოფილა.

— ერთი შეკითხვა, უფროსო!

— გისმენთ მაიორო.

— წერილიდან ჩანს, რომ შარლოტა ერთი თვის წინ მოუკლავთ. რატომ მაინც და მაინც დღეს აღძრა საჩივარი კამიკაქემ და არა მაშინ?

— სწორი შეკითხვაა, — კვლავ მუჭში ჩაახველა მილიციის შეფმა, — მე ველოდი ამ შეკითხვას, და წარმოიდგინეთ, ერთხანს ვერ გავეცი პასუხი. მაგრამ, დახეთ, თურმე სულ უბრალო კი აღმოჩნდა. საჭიროა მხოლოდ ანალიტიკური გონება და სწორი ლოგიკური აზროვნება.

— მართლაც, რა ცოტა ყოფილა საჭირო! — მიამიტურად წარმოსთქვა კაპიტანმა პეპიტო კარამელიძემ.

— ჰი-ჰი-ჰიი! — ისე ჩაიქირქილა ბატონმა ბრაუნინგმა, რომ მალე სიცილი ყველას გადაედო. თვით შეფმაც რამდენჯერმე სცადა თავა შეეკავებინა, მერე ერთი ჩაიფხუტუნა და დანგრეული წისკვილივით არიზროხდა. კაპიტანი კარამელიძე გოცებული თვალეებით გადახედავდა თოთოეულს და დროდადრო საცოდავად იღრიჭებოდა.

— ჰი-ჰი-ჰიი!.. — გემრიელად ქირქილებდა მაიორი და ლაწვებზე ლაპალუჰით ჩამოსდიოდა ცრემლები.

— იჰი-ჰი-იჰი-ჰი... — განაგრძობდა როხროხს შეფი და ჯიბეებში ამაოდ აფათურებდა ხელებს ცხვირსახოცისათვის.



— ხხხ!.. ხხხ!.. — ხრიალებდა ლეიტენანტი ვალტერ დონჟუანა და წინა დამით ძმაბიჭებთან მიღებული ალკოჰოლის ოხშივარს უშვებდა პი-დან.

— კაპიტ... კაპიტ... იჰო-ჰი!.. — შეფი ხელისგულებით იმშრალედა თვალებს, — რატომ მაინც და მაინც მილიციაში დაიწყეთ მუშაობა?

კაპიტანმა თვალები აახამხამა.

— აბა, სად უნდა დამეწყოს?

ამ პასუხმა კვლავ გააცინა შეფი, მერე უცებ ჩააფიქრა, რამდენიმე წუთის შემდეგ საგონებელშიც ჩააგდო. ბოლოს კი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ასეთი ჭკვიანური შეკითხვა-პასუხი თავის დღეში არ დაესვა კაპიტან კარამელიძეს მისთვის. მართლაცდა, სხვაგან სად უნდა დაეწყოს?!

— დაუძახეთ ერთი, იმ... იმ... — შეფმა ნეკით შეიფხანა თავი.

— ტუჩა ტუჩელს? — მიუხვდა ლეიტენანტი.

— დიახ.

სერჟანტი მორიდებით წარსდგა შეფის წინაშე.

— წელან არ გვაცალე... ახლა ჰე, გაგვაცანი შენი ბრძნული მოსაზრებები.

— მე არავითარი მოსაზრებები არა მაქვს, ბატონო შეფ. მე მხოლოდ... — სერჟანტმა მუტში ჩაახველა.

კაბინეტში ატმოსფერო დაიმუხტა.

— ხომ უნდა გეთქვა რაღაც? — დაედრიჯა ბრაუნინგი.

— ის პენსიონერი კამიკაძე ჩემი მეზობელია.

— ეს, როგორ თუ მეზობელი?! — მილიციის ბოსს ხმაში ხრინწი გაჰყვა.

— ისე... ერთ ქუჩაზე, ერთ სახლში და ერთ სადარბაზოში რომ ცხოვრობ, რა ჰქვია, აბა?

— მერე, დროზე ვერ თქვი?!

— მათქმევინეთ?

— ესე იგი, თქვენ ყველაფერი იცოდით?!

სერჟანტმა თავი დაუქნია.

— და მილიციას დაუმაღეთ, არა?! როგორ გაბედე! — დაიგრგვინა შეფმა, — სამართალსა მიგცემთ!.. ვოონ!!!

— ბატონო კომისარო!..

— ვო-ო-ნ!!!

— შეფ... მას ხომ არაფერი უთქვამს!.. — შეახსენა ბრაუნინგმა.

— მობრუნდი, — დააწია კარებთან შეფმა.

სერჟანტი შემობრუნდა.

— შარლოტა მართლა ლანძღავდა იმ ბენო გენიძეს?

— უჰ!..

— მაინც, როგორ?

— მაგას ვერ ვიტყვი...

— თქვი, კაცო, — ჩაერია ბრაუნინგი, — აქ ხომ ყველა მამაკაცები ვართ.

სერჟანტმა რილით მიიხედა კარისაკენ, მუჭში ჩაახველა და ჩურჩულით წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა. კაბინეტში მსხდომთ თვალს გუგები უფართოვდებოდა და ღრანჭები განზე ექცევათ.

— ვოტ სუკა, ა?! — ნერწყვი გადაყლაბა ლეიტენანტმა, — ლამაზი თუ იყო მაინც?

— ძალიან.

— მერე მაგისტანა ქალს იმ ბებერ კამიკაძესთან რა ჯანდაბა უნდოდა?!

— მართლაცდა... — დემოწმა შეფი.

— საქმეც მაგაშია...

— რაშია, რაში, გამაგებინე ერთი!

— შარლოტა, იგივე ლოტა, ქალი არ გახლდათ.

— აა-ბა... აბა?

— თუ... თუთიყუში.

— ?!!





იხმადილ ქარა (ზავიზვილი)

სადაც ჟიროსი მთავრდება

6. მკვლართით აღმგზარი ნათესაობა

საქართველოში, აჭარაში სისხლის ყვილმა ჩამომიყვანა. ჩემი არცთუ ისე ახლო ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე გულით ვატარებდი და ვატარებ ჩემი წინაპრებისაგან გადმოცემულ ამბავს, რომ წარსულში ჩვენი დიდი სანათესაოს ფესვები საზღვრის აქეთაც დარჩენილა, რომ დიდ მემლექეთში ჩვენ ახლო ნათესავები და ნათესავთა ნათესავები გვეოლია. უნდა აქვე დავძინო, რომ ასეა მთელი გურჯობა, ვინც თურქეთში ცხოვრობს ამჟამად, თითქმის ყველა იქაურ ქართველს თვალი აქაურობისკენ მიუბრბის და გულიც აქაურობისკენ ეზიდება. არა, ისე არავინ გაიგოს, თითქოს მათ იქ უჭირდეთ და იმიტომ. არა! ცხოვრება ცხოვრებაა და მუყაით ქართველს იგი მიწაზე რაა, შიშველ ქვაზეც არ გაუჭირდება, მით უფრო, თუ იგი მამა-პაპისაგან ნაანდერძვე, მამა-პაპურ, ღვიძლ მიწაზე ცხოვრობს და მას პატრონობს. მიმიხვდით ალბათ, მე ახლა ისტორიულ ღვიშველ-იმერტევს და ართვინს ვგულისხმობ. მაგრამ, როგორც ვითხარით, თუ თვალი და გული მაინც აქეთკენ უჭირავს, ეს იმიტომ, რომ სისხლის ყვილი ეძახის მას.

ზოდა, ასე დამემართა მეც, როცა ჩემი ახლო წინაპრები გარდაიცვალნენ, ჩვენ მათგან დაგვრჩა გადმოცემა, რომ აჭარაში, შუახევში, ოლადაურში, უჩამბისა და მარეთის ხეობაში გვეოლია ახლო ნათესავები, ჩემი მეუღლის დედის მხრით ნათესავებიც დარჩენილან იქ. ბავშვობამ ისე გაიარა, რომ მე ვერ მოვასწარი დაწვრილებით გამომეკითხა მათთვის და ჩამეწერა იმათი სახელები. და ამგვარ რამეზე ფიქრი მაშინ, მართალი ვითხარათ, ცოცხალი არ იყოს, სარისკო საქმეც გახლდათ, გადიოდა დრო, უთქმელობასა და სათქმელ-საფიქრალის გულში ჩაკვლაში გამოსხა ჩემი ბავშვობა. უფროსები მიიცვალნენ... დრო გამოუკეთესდა, სუსხი ცოცხალი გატყდა და გაჩნდა გულის ზრახვისა თუ ოცნების გამჟღავნების დროც, მე არ მინდა ღრმად და შორს გავყვე იმ მიწებებსა და მიწებზეთა მიწებებს, რაც იწვევდა ჩვენში თუ ჩვენს გარეთ ხალხების ამგვარ გამიჯვნას...

წამოვიზარდე თუ არა, წინაპრებისაგან დანატოვარ ამბავს ყულფი მოვუნახე, ყულფში წვერს მივაგენი და ასე თანდათან დავიწყე ჟამთასვლის მიერ აბნეული ჩვენი სანათესაოს გორგალის გახსნა. პირველი წერილები დიდი მემლექეთისაკენ ამ ათი წლის წინ გამოვგზავნე, ზოგი ფოსტით, ზოგიც ხელით, შემთხვევიდან შემთხვევამდე დიდი მემლექეთიდან ჩამოსულ თითო-ორიოლა სტუმარს გამოვატანე. ხშირად წერილის გადასაცემად ათასი, ათას ხუთასი კილომეტრის გავლა მიწვედა, რომ სტუმარი მენახა და წერილთან ერთად მეთხოვა დამხმარებოდა ჩვენიანების მოძებნაში. სამწუხაროდ, დიდი მემლექეთიდან ნანატრი პასუხი იგვიანებდა და არა და არ ჩანდა. და აი, ახლა,

გავრძელება. იხ. „ქიროსი“ №2, №3, 4.

ამ წერილების კვალს თვითონ გამოვდგომივარ და ის, რაც წერილმა ვერ მოახერხა, გადაწყვეტილი მაქვს, ვიდრე ცოცხალი ვარ და საამისო ჭანი და ღონე მომდევს, თვითონ ავასრულო.

ჩემი გზა ჭერ მღვრიე ქოროხის, შემდეგ ანკარა აქარისწყლის ხეობას მიჰყვება. მოლოდინის ფიქრებით გართულმა გავიარე მთელი სამი საათის სავალი. გზა და ბუნება თითქმის არაფრით განსხვავდება ართვინულ მთა-ხეობებისაგან, აქაური ქოროხი იქაური ქოროხისაგან, აქაური აქარისწყალი, იქაური იმერხევისა თუ ფაფართის, შავშეთისა თუ კარჩხალისწყლისაგან. გზადაგზა ციხე-ნაციხარებიც ისე მხვდება, როგორც შავშეთ-იმერხევაში. აშკარად ეტყობა, რომ წარსულში იგი ერთ ხელსა და ერთ გულს უშენებია.

ესეც ოღალაური, ბავშვობაში ჩემი ძველებისაგან სიზმარ-ცხადად გაგონილი სოფელი. ზღაპარვით ლამაზად გვიხატავდა მას სოფელ ზოხლეველი დედაჩემის ბიძა, დედის ძმა, მემედ ფანჩიძე, უნდა ვთქვა, სოფლის სილამაზემ ახლა ზღაპარი სინამდვილედ მიქცია. ცოტა დრო რჩება თვალზიზღობისათვის. სოფელში არც კი შევსულიყავით, ჩვენიანებს უკვე შეეტყოთ ჩემი სტუმრობის ამბავი და თითქოს მთელი სანათესაო სოფლის განაპირას გამოგვეგება, კალამი ვერ აღწერს იმას რაც იქ მოხდა. დიდი ხნის უანახავი ნათესავები, შთამომავლობით გადმოცემული ნათესაობა რამდენიმე წამში ჩვენს თვალწინ ხელმეორედ დაიბადა, გაჩნდა, გაცოცხლდა, გაიზარდა, გაძლიერდა. ერთ დიდ მუხის ხედ იქცა, უამრავი მძლავრი ფესვები გამოისხა, უთვალავი ძლიერი ტოტები ამოიყარა და მიწიდან უცაბედად ამოზრდილ სიცოცხლესავით აგუგუნდა. ამ ხის ფესვები მიწაში იწვნენ და მშვიდად ეძინათ, ზოგს ისევ აქა, აქარაში, ზოგს კიდეც იქა, ართვინში, ტოტები და კვირტები კი ჩვენ, ცოცხლები, მათი ახლანდელი შთამომავლები ვიყავით. აგერ ისინიც ჩვენი დიდმემლექეთელი სისხლნი და ხორცნი, ისინი, ვისი ნახვისა და მოსიყვარულების წყურვილთაწყურვილითა და ნატვრითაც დახუჭეს თვალები, ჩემმა წინაპრებმა, ისინი, ვისთანაც აუწყავ-აუწონელი სალამი და მოფერება დამაბარეს ჩვენიანებმა... ეს მერჯან მაკარაძეა, 92 წლისა, ეს ყოჩაღ მაკარაძე, 85 წლისა. ესენი კიდეც შოთა, მარინე, მინდია, მერიემი, ფატყუმე, ლილო, სულთანი, მათი შვილები თუ შვილიშვილები და შვილთაშვილები. ეს ნარგული რძალი და ეს... და ასე ბოლომდე, დაწყებული ღრმად მოხუცებიდან, აკანში მთვარესავით და მზესავით მნათ ბოლღებამდე დამთავრებული... ნათესავებს ნათესავთა ნათესავები მოჰყვნენ, იმათ მათი ნათესავები, ახლობლები, მეზობლები, და ასე გავხდი მეც იმ მთელი სოფლის ნათესავი. ახლობელი და ღვიძლი. საზღვარი არ ჰქონდა ჩვენს სიხარულს. იგი ხან სიცილიად იღვრებოდა, ხან სევდად და ცრემლად, ხან ფიქრად და ოცნებად გადაიქცეოდა, ხან ხჭად და ბაასად და ასე თანდათან გვიბრუნდებოდა დეკარგულ-დავიწყებული ურთიერთ, სიყვარული, ურთიერთ მონატრება, ურთიერთ წყურვილი და სიხლოვე. და მე მიხაროდა, რომ სწორედ მე და ჩემს მეუღლეს, ხატიჯეს, ჩემს პატარა ქალიშვილს, — ზეინაბს გვერგო წილად გაგვეღლო თითქმის საუკუნის ყინული, გაგვეთბო გაცივებული ურთიერთობა, ხელმეორედ გაგვეხარებინა დეკვირტნედლად მოგვევლო ფესვმაგარი და ტოტებძლიერი ჩვენი დიდი სანათესაოს ხისთვის, რომელიც ღვთის წყალობით ამიერიდან, ახალ, უფრო მძლავრ სიცოცხლეს იწყებდა.

ზოგჯერ გახვეული წერილები

საქართველოში რომ მოვდიოდი, მე და ჩემს ოჯახს, მრავალ საფიქრალ-საზრუნავთაგან სამი ასეთი მიზანი გქონდა. მენახა სანატრელი და სანუკვარი დიდი მემლექეთელი მოგვენახა ჩემი და ჩემი მეუღლის, ხატიჯეს, აქეთ თარჩენილი ნათესავები, მოგვემბნე

და ამბავი ჩაგვეტანა ბევრი ჩვენთვის უცნობი აქაურისა, რომელთა მონახულება თუ მოძებნა დაგვაფალეს იქაურმა გურჯებმა. ათობით წერალი, მოკითხვა, ნახვის ნატვრა ჩამოშვა, რომელთაც ადრესატების მონახვა, მიტანა, ჩაბარება და შემდეგ სამაგიერო კასუხის უკან წაღება უნდოდა. ჩვენებური ქართული ანდაზისა არ იყო, ჭერ თავი და თავი. ჰოდა, მეც ოლადაურში იმითმ ავედი, რომ იქ ჭერ ჩემიანები, უშუალოდ ჩემი ნათესავები შეგულებოდნენ. და აკი არც შევმცდარვარ, შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ყოველგვარ იმედს გადაამეტა. ჩემიანები, რომელთა ნახვაც ამდენ ხანს შენატრებოდა, ვნახე.

ახლა, როგორც კვლავ ჩვენებური ანდაზა იტყვის — მერე სხვაო და სხვაო. ჰოდა, მეც ამის შემდეგ „სხვისი“ ანუ ჩემი მეუღლის წინაპართა ნათესავ-ნაჯარამების ძებნას გვეუდღეკი. ასე მივედი ჩვენ შუახევის რაიონის უჩაშბის ხეობის ერთ კოპწია სოფელში, რომელსაც გოგაძეები ჰქვია.

ჭერ კიდევ თურქეთში ვიცოდით, რომ აქ უნდა ყოფილიყვნენ შთამომავლები ხტიჯეს ბაბუს — მამის მამის — ნური სარაჩის დის მერიემ მიღმაძე-დავითაძისა, რომელიც აჭარის სოფელ შუბინდეს ართვინის სოფელ მაჩხატეთში გათხოვილი თუნთულ ფუტკარაძე — მიღმაძის ასული იყო, ხოლო თვითონ მერიემი თუნთულს სოფელ გოგაძეებში ემინ უსტა-ხათბოლო-დავითაძეზე გაუთხოვებია და მისი ნამრავლი ანუ ხტიჯეს დღევანდელი ნათესაობაც აქ, გოგაძეებში, სახლობენ... ადრე, როცა ართვინი და სხვა ქართული მიწები თურქეთს გადასცემია, ორ ქართულ მიწას შორის მიმოსვლა მაინც დარჩენილა და ნათესავებმაც ერთმანეთში მიმოდიოდნენ თურმე. მაგრამ ხალხი, თუ არ ვცდები და თუ ხნიერთა გადმოცემებს დაეჯერება, 1933 წლიდან ორი სახელმწიფოს საზღვრები ურუდ დაიგმანა და მიმოსვლაც შეწყდა. ჰოდა იმ დღიდან მოყოლილებული, აქეთ დარჩენილმა ნათესავებმა არაფერი იცოდნენ იქით დარჩენილებისა, ხოლო იქით დარჩენილებს აქაურობის ამბავი გვენატრებოდა. შემდეგ როცა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობა ასე თუ ისე გათბა და პირველი ტურისტული თუ საქმიანი ჯგუფებისა და დესპანების გაცვლა-გამოცვლა დაიწყო, თითო-ორთა ჩვენებურმა თავისი ნათესავი მიაგნო. ზოგმა ამბის დაბარებით, ზოგმა გადმოცემით, ზოგმა ნახვით და ზოგმაც კიდევ წერილებით. ეს იყო ამ 15-20 წლის წინათ, ერთბაშად აფუთფუთდა თურქეთში დარჩენილ ქართველთა გულში ნოსტალგიის ჭია, ჭერ ოდნავ გაღვივდა, მერე გაძლიერდა და ბოლოს ერთ დიდ ხანძარივით აბრიალდა აქაურობისა და აქაურთა მონატრება და დაიძრა თურქეთიდან აქეთ და აქედან თურქეთში მშვიდობის ბარათები... ორი დიდი მეზობელი ქვეყნის განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მიუხედავად, მაინც გახდა შესაძლებელი მეზობლობის კეთილშობილურ კვალზე შედგომა.

ჰოდა, რმას ვამბობდი, წერილების გაგზავნა-გამოგზავნის ნება დაგვრთეს-მეთქი. დაკარგული ნათესავების გამო ჩემი ცოლის გამუდმებული სევდა გულს მითუთქავდა. მეც ავედექი და პირველი წერილი დავეწერე დიდ მემლექეთში გამოსგზავნად... დავეწერე და აქეთკენ დავულოცე გზა. შემდეგ... შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ლოდინი. დღეები დღეებს მისდევდა, წერილის პასუხი კი იგვიანებდა. წუხდნენ ჩვენებურები, წუხდნენ ჩვენი მაშინდელი მოხუცი წინაპრები, ყოველი დაგვიანებული დღე საუკუნედ მჩვენებოდათ, შიშობდნენ, რომ ნათესავების ნახვას ვეღარ მოესწარებოდნენ. ამიტომ მაძაღბდნენ და მეც ყოველ დაგვიანებას ახალ წერილს ვამატებდი. მერე მოხუც ჩვენიანებს ხელმეორედ დაგეთხავდი აქაურთა გვარ-მინამართებს, ვამოწმებდი, ვაზუსტებდი, კონკრეტ ვაწერდი, ანკარაში ჩამქონდა და ასე ვგზავნიდი.

ღრო გადოდა, იქ დარჩენილებს თანდათან ძლივს შენახული ქართული ეგვიფუტბოდა, ქართული წერა-კითხვა სომ ჭერ მთელს ჩვენს სანათესაოში მე ერთბა ვიცოდი

და მეც დავიწყების ბურუსი მეძალეობდა. ჰოდა, ვცდილობდი, ვასწრებდი, ვწერდი, მაგრამ პასუხი არა და არ ჩანდა...

ასე ლოდინში დაიღია ათამდე გრძელი წელიწადი, ზოგი ჩვენებური, ჩემიანები გარდაიცვალნენ. გარდაიცვალნენ ისინი, აქაურ ამბებს, აქ დარჩენილ ნათესავთა და ღვიძლთა ამ ბუნებრივად დასრულებულნი. დარჩა თითო-ოროლა მოხუცი, ვისაც ჯერ კიდევ მუარად ახსოვდა აქ დარჩენილთა გვარები და ადგილ-მისამართები, და დავრჩით აგრეთვე იმათი შთამომავლები. რომლებიც კვლავ სათუთად ვინახავდით მათგან მონაყოლ გადმონაცემთ. არ დავმალავ და ვიტყვი: აქვს ყველაფრის სიმტკიცესა და გამძლეობას ზღვარი და დასასრული, მათ შორის ადამიანის გამძლეობასაც. ჰოდა, თანდათან ანდოვდებოდა ემაი როცა წვენი გამძლეობაც ძველი ქართული ხალიბური ელვადის გამძლეობის შესახებ არსებულ გადმოცემასავით ჩვენც მხოლოდ გადმოცემად-და დაგვრჩებოდა...

აი, ასეთ ვითარებაში, როგორც იტყვიან, სულზე მოგვისწრო იქ დარჩენილ გურჯებს ახალმა ვითარებამ...

იცებ ნამეტარი შორს გავუტეე, იქნებ ის ვთქვი და იმას შევეხე, რაც ჩემი, ერთი უბრალო გურჯი მწერლის, საქმე არ იყო?! მაგრამ თუ ვთქვი, მხოლოდ იმიტომ, რომ თქონების ამ ნაწილის დასასრულს ერთი უცნაური საიდუმლო გამენდო: ისე, როგორც სხვაგან ყველგან, სოფელ გოგაძეებშიც ჩვენი სტუმრობა წინასწარ იცოდნენ ჩვენსა რომეღამა მასპინძლებმა. ოღონდაურთლებს იქაურთათვისაც უკვე გაეგზავნათ ამბავი, სტუმრები მოდიანო, და ჩვენ თითქმის მთელი სოფელი ფეხზე დავგვხვდა.

აი, ისიც, შორიდან ზღაპარივით გაგონილი, გადაღმა დარჩენილ ჩვენებურთა მიერ ათასგზის მონაცული და ათასნაირი ლამაზი ფერებით დახატული, მაგრამ ყველა მონათხრობზე უფრო ლამაზი და ლამაზზე ლამაზი სოფელი გოგაძეები. აი, ის ხალხიც, ვისი ნატვრითა და სურვილითაც სამარეში ჩავსვენენ და თან ჩაშვათ დარდი ბევრ ჩვენთან. და ისევ მონატრება, ხვევნა, ცრემლი, სიცილი, ისევ სიხლოვე და ნანატრი ნათესაობა.

ორიოდე დღეს დავრჩით გოგაძეებში. მესამე დღეს, აქეთ რომ ვაპირებდით წამოსვლას, ერთმა ჩვენმა ნათესავმა კაცმა მოკრძალებით გვერდზე გამისმო, ჩოხის კალთა გადასწია, გულისჭიბიდან გაცრეცილი წერილების მთელი დასტა ამოიღო და გამოიწვოდა, „იქნებ მიიხრა, ამ წერილების გამოგზავნი ვინ არისო“. გაცების ელდამ ელვასავით გადაშიარა თვალეზე. ხელთ ჩემი ათი წლის წინანდელი წერილები მეჭირა, მაგრამ პასუხი? პასუხი რატომ არ მოდიოდა?! მე ვფიქრობდი, ისინი აღრესატამდე არ მიდიოდნენ, დაიკარგნენ, უკვლოდ გაქრნენ, აქ კი ჩვენს უახლოეს ნათესავს მისვლია... პასუხი, ასე ნანატრი ხმა კი რატომ არ ჩანდა? რატომ დუმდა იგი, ვისაც ასე ვეძებდით და ვნატრობდით იქიდან? არ ვიტყვი ახალს არაფერს, ვიტყვი მხოლოდ ერთს — ჰქონდა ამ დუმის თავისი ობიექტური მიზეზი, მიზეზი თუ შიში, შიში თუ გაუბედაობა. შიში წარსულის ხუსხისა, გაუბედაობა ამ ხუსხისაგან ნაწვენვი ბეჭი ტკივილისა. რომელმაც აქ ბევრის თავზე მეხვიით გადაიარა, და მე არც აღარაფერი მიკითხავს მისთვის. წერილები დაგვიცე და უსიტყვოდ გაგვიცე, გადავიცე და ახლა უკვე ვაბედულობად, შიშის გარეშე ისევ გულის ჭიბეში ჩაიღო მან. მე კი მიინდა ახლა თქვენს გასაგონად, იმათ გასაგონად და ყველას გასაგონად ვთქვა: აი, რატომ მოგვწონს ჩვენს ხვეა ქვეყნის მოქალაქეებს თქვენი ახალი ცხოვრება და მასთან ერთად მოტანილი სხვა უამრავი სიკეთე და კეთილშობილება, რომელიც ჯერ კიდევ ბორცითან ჭიდილშია...

(გაგრძელება იქნება)





გზარამ გორამე

საღაურსა საღ წაიყვან...

ჩემს განვილილ გზაზე სამშობლოში და უცხოეთში, რაც მსურდა, ნათქვამია, თუმცა ძალიან შემოკლებით, მაგრამ ესეც მიცემს მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას იმ ადამიანზე, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა უცხოეთში გაატარა. ალბათ, მკითხველს მიმიხვდება, რომ ჩემს ნაამბობში მოგონილი და გაზვიადებული არაფერია, ყველაფერი აღწერილია ისე, როგორც იყო.

შეიძლებოდა აქ დამესვა წერტილი, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლას შემდეგ კვლავ დიდი გულისტკივილი დამემატა. სამი ოჯახი ჩამოვედით და გვინდოდა ჩვენს მიერ მიტოვებულ მიწა-წყალს შევებრებოდით, იქ დავსახლებულიყავით, სადაც დავიბადეთ და ფეხი ავიდგიოთ. სამწუხაროდ, იქ დასათვლიერებლადაც კი არ ვაგვიშვეს. ვინდ ნება დაერთოთ, საღ უნდა დავსახლებულიყავით? ჩვენს ნასახლარზე ეკალ-ბარდია მოდებული. კვლავაც კოლექტივები და გეგმები... კიდევ ისეთია რეჟიმი სოფელში, რომელიც ჩვენ დავტოვეთ 1939 წელს. კოლექტივებს გაუძულებია მიწა ხალხისათვის. ჩემს სოფელს ბათუმში ჩამოსვლა-ასვლისათვის ორ ადგილას უსინჯავდნენ პასპორტებს. ესეც სამწუხარო ფაქტია. ჩვენ პირველ ხანებში საშვებიც არ მოგვეცა, იქ საზღვართან ახლოს რა საქმე გაქვოთ, შემოგვიწყრნენ.

ჩემი ძმა ცხრა სულით, და შვილი ოთხი სულით უკანვე, თურქეთში დაბრუნდნენ. ისინი ახლა სტამბულში ცხოვრობენ. ერთი შვილი ოთხი წლის წინათ გერმანიაში ძმასთან ჩავიდა და აღარ დაბრუნებულა.. მჭერა, შეჭველად დაუბდუნდება სამშობლო საქართველოს.

მე ხუთი სულით ქ. ბათუმში დავრჩი. ბინით კმაყოფილი ვარ. შვილები დავაოჯახე, ეს დიდი მოვალეობა მოვიხადე როგორც მამამ. მე რვა შვილით, 25 შვილიშვილით და 9 შვილთაშვილით სამ ქვეყანაში ვარ გაფანტული — თურქეთში, გერმანიასა და საქართველოში.

ღმერთმა დაგვილოცოს სამშობლოს ცა და მიწა... და ღმერთმა გვაღიროსოთ თავისუფლება და დემოკრატია. სამუდამოდ აღკვეთილიყოს ისეთი

დიქტატურა და რეჟიმი, რომელმაც მილიონობით ოჯახები ააწილა და უდროოდ მოუსპო სიცოცხლე. უცხოეთში არც მშიერ-მწყურვალნი და გლეხნი ღვარით და არც ტანშიშველი, რაც მთავარია, გულში არ გვეკონდა შიში და ჭერისა და გადასახლებისა.

ჩენი სოფელი დღესაც დაცარიელებულია და ეკალ-ბარდითაა დაფარული. გული მიტირის, ასე რამ გააპარტახა ჩემი მარად საფიცარი მშობლიური სოფელი? 1939 წელს ჩვენ სამი ოჯახი წავედით, თავს ვუშვევით, როგორც იტყვიან, ციმბირი უკან დაგვრჩებოდა. ჩვენი სახლ-კარი დარჩა უბატრონოდ. ეზოში მოსულან ნათესავ-მეზობლები და ვითომ მე სახლში ვიყავი, — ჰეი, გორაძე, კოლექტივში გეძახიანო, — უთქვამთ განგებ. ეს ამბავი 1966 წელს ტურისტული ვიზიტით რომ ვიყავი ბათუმში ჩამოსული, მაშინ მითხრეს. როდესაც საშვი მომცეს და სოფელში ავიდი, დავათვალიერე დაცარიელებულ სოფლებში ნასახლარები, ერთ ნასახლართან გავჩერდი. ისინი თითქოს იმ სახლში იმყოფებოდნენ, განგებ შევძახე: — ჰეი გორაძეებო, ქავთარაძეებო, სადა ხართ, სად?! მე ჩამოვედი უცხოეთიდან სამშობლოში. თქვენ სადა ხართ?! რომ ვეღარ გხედავთ, გული მიღონდება და უნებურად ცრემლი მომდის. აწი გადავადებთ ამ კოლექტივიზაციას და თავისუფალ ცხოვრებას შევუდგებთ. რა კარგი იქნებოდა თქვენც გეხილათ ახალი, თავისუფალი ცხოვრება-მეთქი, — ასე შევძახე მათ ნასახლარებს. ეკალ-ბარდებით დაფარული ნასახლარები თითქოს ელოდებიან იმ ოჯახების აღდგენას. სიო რომ დაუქროლებს, მიწის მწვანე სამოსი შეირხვევა და თითქოს ხმასაც გამოსცეს კიდევ. იქნებ ის დალოცვილთა სული დაჰქრის აქ და ჰკოცნის საყვარელ მიდამოს.

ღიახ, აღდგება ის ნასახლარები, აშენდება სახლები, გამრავლდება სოფელი... ხალხი უშაშრად იცხოვრებს. სტალინურ-კოლექტიური ცხოვრება, რომელმაც დააშორა კაცი და მიწა, გაუწელა მას თავისი მარადიული სავანის სიყვარული, დალახვროს ღმერთმა, ნუღარ ვახსენებთ, იგი იყო ადამიანის სულით და ხორციით გამანადგურებელი.

იმ ყველა ბოროტის მიერ ხალხზე მიყენებული ზარალი აუწერელია, მაგრამ დავივიწყოთ ძველი ტანჯვა და შევეუდგეთ ახალ თავისუფალ ცხოვრებას. მჯერა, ჩვენი დიდი ხნის ოცნება გაგვიმართლდება და თავისუფალი საქართველო ჩვენი შვალებისა და შვილიშვილებისათვის დაამკვიდრებს ცხოვრების ახალ გარანტებს. ეს კი ნიშნავს ხალხის მონობიდან განთავისუფლებას. გლეხი დაიბრუნებს მის მიწა-წყალს, რაც ძალით ჩამოართვეს. და თუ გლეხი დაიბრუნებს მიწას, დაუბრუნდება მას მიწის სიყვარულიც, დაუბრუნდება მას მხიარულება და ბედნიერება. ღმერთმა გვადირსოს ჭეშმარიტი დემოკრატია. ეს არის ჩვენი ნატვრა... და მის მოლოდინში ვართ..

აკაკი — მხატვრული კითხვის ოსტატი

აკაკი წერეთელი ბუნებრივი და შთამბეჭდავი დეკლამატორი იყო, მის წაკითხულ მასალას ახსიათებდა სისადავე, სინათლე, უშუალობა, მკაფიობა, მისაწვდომლობა, სიღრმავალს და მიმზიდველობა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა აკაკის ნაწერების გზის გაწვდვას მსმენელთა გულებისაკენ. „არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას: აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა“, — წერდა არისტოტელე. ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდა „სულიკოს“ ავტორმა.

აკაკის, სანამ მსმენელთა აუდიტორიის წინაშე გამოვიდოდა, წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული სამი რამ: გადმოსაცემი შინაარსის თავისებურება, სპეციფიკა, მისი ფორმა, ლექსი იყო ეს, პროზის ნაწვევტი თუ მიმართვითი სიტყვა, გადმოსაცემი სიტყვის თქმის ხელოვნება, ე. ი. წარმოთქმის ტექნიკური მხარე; სიტყვის წარმოთქმისას ყოველთვის სწორად გამოხატავდა მახვილს, ტონაციას, ტემპს, მელოდიკას, ტემბრს...

რა თავისებურებები ახსიათებდა აკაკის დეკლამაციას, რით გამოირჩეოდა იგი? უპირველესი, რაც აკაკის ცოცხალ სიტყვას ახსიათებდა, იყო ემოციური ელემენტების შეტანა ზეპირ მეტყველებაში და გადმოსაცემი შინაარსის მიზეზ-შედეგობრივი კავშირში წარმოდგენა. გარდა ამისა, აკაკის დეკლამაციას ყოველთვის ახლდა გარკვეული ექსტ-მიმიკა, მეტად ზომიერად და თითქოსდა გამოზომილად. ლ. ტოლსტოი წერდა: „მსმენელებს ყველაზე კარგად ახსოვთ ზეპირი სიტყვის მოსმენისას ის ადგილი, სადაც ზოგჯერ აკეთებს გადმოსაცემი შინაარსის შესაფერ შესტსა და ინტონაციას“.

აკაკის ჰქონდა კარგი დიქცია — სიტყვების წარმოთქმის მანერა. მკაფიო, გარკვევით წარმოთქმა, რაც მეტყველების კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

აკაკი სიტყვას ამბობდა ნათლად, აუჩქარებლად, თითოეულ ლექსიკურ ერთეულს წარმოთქვამდა მკაფიოდ, ხმას არასოდეს არ აუწევდა არაბუნებრივად, ემოციურობა მისი სიტყვის თანმხლები იყო ყველგან და ყოველთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აკაკის მოღვაწეობის პერიოდში იმ ლიტერატურულ წრეებსა და შეკრებებს, რომლებიც ეწყობოდა ჭავჭავაძეების, წერეთლების, ორბელიანების, ბაგრატიონებისა და სხვ. ბინებზე. ამათი როლი უფრო გაიზარდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული წარმოდგენა იმ პერიოდში ოფიციალური სცენებიდან განდევნილი იყო და თავს ინახავდნენ შინაური საღამოების სახით, ამ საღამო-წარმოდგენებს, რომლებიც ვიწრო ხასიათისა იყო (ბილიეთებიც იყიდებოდა), ლიტერატურული განხრა ჰქონდა და მათ რეპერტუარში საკმაო ადგილი ეთმობოდა ე. წ. დეკლამაციებს. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ და ინიციატორები იყვნენ ილია, აკაკი, დ. ყიფიანი, მ. გურიელი, გრ. დადიანი, რ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, ს. მესხი და სხვ.

იყო შემთხვევები, როცა მუდმივი დასის მოგზაურობისას აკაკი სცენაზე გამოდიოდა დეკლამაციით. იგი დასს კი არ დაჰყვებოდა, მაგრამ, როცა დაემთხვეოდა მისი ყოფნა იმ ქალაქში, სადაც დასი ჩამოვიდოდა, აკაკი მათთან იყო და თავისი დეკლამაციით ატკობდა მსმენელებს.

აკაკისათვის მთავარი იყო სიტყვის წარმოთქმის სისწორე, სიმშვიდე და აუღელვე-

ბლომა თხრობაში, მხატვრული ინტონაციის გამოკვეთა, წარმოსათქმელი მასალის მისა და ტემბრის გათვალისწინება.

აკაკი ენატკბილი მუსიკის, ენაშვიობის დიდოსტატი იყო. მისი მასწავლებელი სიტყვები და ნაკვესები ქართული მჭევრმეტყველების ოქროს ფონდშია შესული, ხოლო სიტყვები გამოირჩევა პარმონიულობითა და ესთეტიკური სინატიფით. აკაკის სიტყვებს, გამოსვლებს პროფ. ნ. კანდელაკი უწოდებს მუსიკის უმაღლეს მწვერვალს. ეს შეუნიშნავთ კიდევ ჭერ კიდევ მაშინ: „აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს; ის გემუსიკაფება, გელაპარაკება, თითქო ამბავს რასმე გიამბობსო, მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსიკაფი ისე ტკბილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოამოროთ“ (გაზ. „დროება“, 1881, № 68).

აკაკის წარმოუთქვამს სამადლობელო, სადღესასწაულო, სამოსამართლო და სხვა სახის სიტყვები. ყველასათვის ცნობილია კახეთში აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა 1882 წელს და მისი შეფასება ილიას მიერ 1882 წლის სექტემბრის „შინაურ მიმოხილვაში“: „ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზედ“, — ბრძანებდა დიდი ილია.

აკაკი უნდა დავიმოწმოთ პროფ. ნ. კანდელაკი, რომელიც წერს, რომ აკაკი ერთადერთი ორატორია, რომლის სიტყვა ჩვენამდე მოღწეულია ავტორისეული წარმოთქმის ფონოგრაფიული ჩანაწერით. ამ ბედნიერი შემთხვევით სამუდამოდ დაცულია პოეტის ხავერდოვანი და მოალერსე ხმის ლამაზი უღერა, რომლითაც აღბეჭდილია რამდენიმე ლექსი“ (იხ. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, გვ. 887).

აკაკი წინასწარ მოუმზადებელი, სახელდახელოდ სათქმელი სიტყვების დიდი ხელოვანი იყო. ეს ყველასათვის ცნობილია და მასზე აღარ შეგჩერდებით.

დეკლამაციის კლასიკური ნიმუშია აკაკის სიტყვა ილიას ცხედართან: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვლით ვეღარ ნახავ?“

ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე გადმოგვცემს:

„ერთხელ, საჩხერეში აკაკი სტუმრად ყოფილა თურმე მის ახლობელ მეგობარ — ბეჟან წერეთელთან, სადაც იმუშადა ბევრი სხვა სტუმარიც ყოფილა მიწვეული. აკაკისათვის უთხოვნიათ წაეკითხა რამე ლექსი. პოეტს საზოგადოების თხოვნა დაუკმაყოფილება და წაუკითხავს იმ დღეს ახლად დაწერილი ლექსი, რომელიც დაახლოებით, რამდენიმე ტაქს შეიცავდა. როდესაც აკაკის ლექსის კითხვა დაუსრულდება, სწორედ იმ დროს დარბაზში შემოსულა გრიშა აბაშიძე. საზოგადოებას მისთვისაც მიუმართავს თხოვნით ლექსის წაკითხვის შესახებ, რაზედაც პოეტი სიამოვნებით დასთანხმდება და დიდის პათოსით წაუკითხავს კიდევაც ლექსი.

აკაკი, გაცეცხული, მაშინვე მივარდნილა გრიშასთან და აღვლევებული უკითხავს: — ეს ლექსი შენია?

— დიახ, ბატონო, სწორედ დღეს დილით დავწერე.

— როგორ თუ შენ დასწერე, როდესაც ეს ლექსი, მე თვითონ დავწერე დღეს და ესეცა მისი კითხვა დავასრულე.

გ. აბაშიძის მხიარულ სიცილს დაუსრულდება ეს ინციდენტი. პოეტს მაშინვე უამბნია შემდეგი: როდესაც აკაკის ლექსის კითხვა დაუწყია, ამ დროს გრ. აბაშიძე დარბაზის კარებთან ყოფილა მისული. ხელი რომ არ შეეშალა აკაკისათვის, იქვე ამოვარდება კარებს, დიდის ყურადღებით მოუსმენია ლექსი და მთლიანად აღუბეჭდავს იმ თავის მეხსიერებაში. როდესაც მისთვის მიუმართავთ თხოვნით ლექსის წაკითხვის შემ



სახებ, პოეტს ხუმრობით განუმეორებია აკაკის ლექსი თავიდან-ბოლომდე“ (იხ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე „ფედერაცია“, 1936, გვ. 14.).

მარიამ ციციშვილი-წერეთლისა იგონებს:

„როდესაც აკაკი მუწაზე იყო — უცნაური სახე დაედებოდა, თმა აებურდგებოდა, თვალები უბრწყინავდა ციცხლივით, გეგონებოდათ მზე ადგიაო, რაღაც ალღევებულ იყო. მიდიოდა და მოდიოდა. ის არასოდეს არ დაჯდებოდა, როცა „თორნიკე ერისთავს“ წერდა, მაშინ შევუსწარი. სამი თვე წერდა ამ პოემას. ნახევარი რომ დასწერა, დაგვიძახა ჩემს ქმარსა და მე, სხვები აქ არ იყვნენ (ეს ზამთარში მოხდა) და წაგვიკითხა. ჩვენ ძალიან გავგინარდა, მოვუწონეთ.

ერთ ნაწარმოებში ისე ჰქონდა გამოყვანილი აკაკის, რომ გიორგობისთვეში ჰქუწდა, მე ვუთხარი გიორგობისთვეში როდის იცის ქუხილი-მეთქი, კი, იცისო, და მართლაც იმ წაშში დაიქუხა.

როცა ჩვენ „თორნიკე“ წაგვიკითხა, ალტაცებაში მოვედიო. შევაქეთ, თვითონ კვებნა არ იცოდა, ვერც შეატყობდით, რომ რაღაც შესანიშნავი რამ დაუწერიაო. ძალიან ზორცხვი იყო თავის ქებაში. დედამ ჩამინერგაო, რომ დიდი წარმოდგენის არ იყო შენს თავზეო, დედის შთაგონებით კუზიანიც კი მეგონა ჩემი თავიო“. (იხ. ლიტერატურის მატანიე, 3-4, თბ., 1942, გვ. 8).

მოვუსმინოთ ქუთაისელ პოეტსა და პუბლიცისტს დ. თომაშვილს:

„ორიოდე სიტყვა იმაზედაც მინდა ვთქვა, თუ როგორ კითხულობდა აკაკი. ჭრე იყო და აკაკის საუბარი ყოველთვის მოსჩქეფდა სადად, უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანებისა და შერჩეული სიტყვების გარეშე. მაგრამ ყოველ ხალხურ ფრაზას თუ სიტყვას პოეტი შესაფერი ლიტერატურული სამოსლით მოჰკაზმავდა და ისე გადმოგვცემდა. ზედვე ეტყობოდა, რომ სიტყვის მარაგის ზღვა იყო. ხალხური მეტყველებით დაგანძულს უცხო და, მით უმეტეს, მიუღებელი სიტყვების სმარება ეჯავრებოდა. ასეთი სიტყვებით დატვირთული საუბარი ჭირის ოფლს მოაწურვინებს მთქმელსაც და გამგონესაცო და პოეტისთვის ეს ნაკლია და არა ღირსებაო. პოეტს ფართო გასაქანი აქვს შექმნას ახალი შესიტყვება, ახალი სიტყვებიც, მაგრამ უთუოდ დედა-ენის საფუძველზეო...

ლექსს აკაკი კითხულობდა სადად, თითქო გვესაუბრებო, მსახიობურ კითხვას გაურბოდა: სახიობა ლექსსაც და თხრობასაც დამაჯერებლობას უკარგავსო. გადაჭარბება არ ვარგაო, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების მხატვრულად წაითხვა საჭირო არ იყოსო“ (ლიტ. მატანიე, გვ. 70).

აკაკის დეკლამაციას აძლიერებდა და განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ღვთაებრივი გარეგნობა. გიორგი ზამბახიძე მოგვითხრობს:

აკაკი გარეგნულად ძალიან სასიამოვნო შესახედავი იყო. რაც უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყო, მინც მცინარი სახე ჰქონდა. თვალები სანდომიანი, თაფლისფერი ჰქონდა; სიბერე რომ ეტყობოდა, იმდენი ხნის არ იყო. კბილები ჰქონდა უნაკლულყო, გაღიმება უხდებოდა ძალიან; ბოლო დროს ცოტათი თვალის ქუთოთოები დაუწიანდა, მაგრამ არ აუშნოებდა. კაი შესახედავი კაცი იყო. სავსე მთვარეს ჰგავდა. (ლიტ. მატანიე, 3-4, გვ. 16).

აკაკი ტანად საკმაოდ ახოვანი კაცი იყო. ამშვენებდა შავი, დიდრონი, ნაბერწყლის მტკორცნელი თვალეები, ოღნავ მოხრილი ქართული ცხვირი: კლასიკური შუბლი; მაღალი აქოჩრილი თმა; ზომიერად განფენილი წვერულგაში; გაბადრულ სახეზე დასთამაშებდა ღიმილი, რომელიც ხშირად ნაღვლისა და ვარამის ნიშანი იყო. ხან — უღმობელი დაცინვის გამომეტყველო, ხან კიდევ — მაღალი, პოეტური ზეშთაგონებისა და აღმადრენის ანარეკლი. ამ დროს პოეტი ცისკენ მიპყრობილი თვალეებით ხან საყვედურს გამოხატავდა, რომელიც მხოლოდ აკაკის პოეტურ კუთვნილებას შეადგენდა, ხან კიდევ —

მგზნებარე სურვილს, — სწვდომოდა იმავე ცას, რომ რაც სიკეთე გააჩნდა, მოეტყუა და, ქვეყნისათვის გადაეცა (ლიტ. მატიანე, მ-4, გვ. 16).

აკაის სიტყვები ისე ჰქონდა შერჩეული, რომ მსმენელზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენდა. ჩანს, მგოსანი ანგარიშს უწევდა ლექსიკური ერთეულების კეთილ-სმოვნებასაც — არჩევდა ისეთ სიტყვებს, რომლებიც გამოსათქმელად ადვილია და მსმენისათვის სასიამოვნო.

ნ. აზიანი მიუთითებს აკაის ერთი ლექსის შესახებ: „ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ლექსმა. დაღვა ბენეფისიხის დღეც. გაზეთში მოთავსებულმა ანონსმა — „აკაი ახალ ლექსს წაიკითხავსო“ — გასჭრა და იმდენი ხალხი მოიზიდა ქართულ თეატრში (რომელიც მაშინ ცარიელი იყო ხოლმე), რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. იმდენი ხალხი მხოლოდ ისეთ პირველ ხარისხოვან არტისტების ბენეფისზე გროვდებოდა, როგორც იყენენ ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ლიზა ჩერქეზიშვილი...“

ფარდა აიხადა, გამოჩნდა აკაი სცენაზე და გაიმართა ისეთი ოვაციები, ისეთი ტაშის ქუხილი, რომ კარგა ხანს ლექსის წაიკითხვაც აღარ დააცალეს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი წაიკითხა ძალიან დაბალი ხმით და ბევრს უკანა რიგებში არც კი ესმოდათ, მაინც საუყარელი პოეტი ისეთი აღტაცებით მიიღეს, გეგონებოდათ მისი ბენეფისია და არა მსახიობისო“ (ლიტ. მატიანე, გვ. 130).

თამარ ბეჟან წერეთლის ასულის სიტყვით, „ერთხელ, ქუთაისში საბავშვო დილა იყო, რომელსაც დავით კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა. ლოჟაში აკაი იჯდა. მე ვკითხულობდი „განთიადს“. შუა კითხვის დროს მომესმა ძია აკაის ქვითინი. ლექსის კითხვა რომ გავათავე, სცენიდან ამიყვანეს და პირდაპირ აკაის ლოჟაში გადასხვეს, სადაც გულაჩუყებულმა მოხუცმა გულში ჩამიკრა. თურმე ჩემი ბავშვური გულუბრყვილობით წაიკითხულმა მისმა მშვენიერმა ლექსმა მასზე ასე იმოქმედა. ერთხელ ჩემმა ძმამ დათიკომ და ანეტა იურკევიჩმა გადასწყვიტეს, ეთხოვათ აკაისათვის, ჩვენთან გადმო-სულიყო და აქ ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც ჩვენთან იყვნენ ჩამოსულნი, წაეკითხა და გაერჩია „ვეფხისტყაოსანი“. აკაი სიამოვნებით დათანხმდა და ეს კითხვაც გაიმართა: მთელი ერთი კვირა გაგრძელდა მისი განხილვა. საუბრის დროს მივუჭდებოდი ფეხით აკაის და ვითომც მეც ვიღებდი მონაწილეობას“ (ლიტ. მატიანე, გვ. 137-138).

აქ არ შეიძლება სიტყვა არ მივსცეთ ქართველ მწერალს, ხელოვნებათმცოდნეს ილია ზურაბაშვილს, რომელსაც ვრცელ ნაწყვეტს დავესხსნებით, რადგან ყველაზე კარგად მან შეამჩნია აკაის დეკლამაციის თავისებურება:

— აკაი — ორატორი...

ამაზე ბევრს ვერას ვიტყვი.

ორატორი პაექრობაში გამოიცდება. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა შეხლა-შეგახება ილია ზურაბაშვილს, რომელსაც ვრცელ ნაწყვეტს დავესხსნებით, რადგან ყველაზე კარგად მან შეამჩნია აკაის დეკლამაციის თავისებურება:

უნდა ითქვას, რომ აკაის ხმა მოდულაციებით არ იყო მდიდარი. პირიქით, მის ბუმბერაზულ გარეგნობასთან შედარებით, აკაის ხმა საკმაოდ სუსტი იყო და წვრალი. მეორე, არც მქვერმეტყველური პაუზები იცოდა. ისე, როგორც შინაურ საუბარში, საჯაროდ გამოსვლის დროსაც უსტიკულაციაზე აკაი ძალიან ძუნწი იყო, მხოლოდ ერთი ჩვეულება ჰქონდა: გაჩერების დროს ღაღი თითით და ხალოკი თითით ნიკაპის ღარების ოდნავ ნერვიული ფხანვა იცოდა, თითქო ფიქრშია წასულიო, და ამ დროს იმის ხანს ისეთი მტყველება ჰქონდა, რომ გრძნობდით, რაღაც მნიშვნელოვანი რამ უნდა ეთქვა.

და ამ მოძრაობას მოსდევდა ან ნაკვეთი რამ სიტყვა, ან პოეტური მეტაფორა. ასე რომ, ერთი და მეორეც წინასწარ ნავარაუდევია არ უნდა ჰქონოდა და იქვე, სიტყვის კროცესში იბანებოდა.

პათოსი და მგზნებარება აკაისათვის უჩვეულო იყო. მისი სიტყვა თავისუფლად მომდინარეობდა. არ იცოდა ზოგივით აზრისა თუ სიტყვის ძეხვის დროს შორისდებულ ბეგრათა აზმუილება, გამოთქმა ჰქონდა მკაფიო. მის მეტყველებაში იმერული კილო გაიქმნა, სოლო არა მკვეთრად...

აკაკი დეკლამატორიც იყო და დიდადაც მიღებული. საზოგადოება ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდა. მაგრამ, გულახდილად უნდა ვთქვა, ამ გარეგან ტრიუმფში თვით აკაკის დეკლამატორულ უნარს, ჩემის აზრით, დიდი ხვედრითი წონა არა ჰქონდა.

საკმარისი იყო მარტოოდენ, რომ აკაკი მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ სალიტერატურო საღამოში და კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს. ვინ დაგიდევდათ იმას, თუ როგორ კითხულობდა! მარტო მისი დიდებული ფიგურისა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა — ისევე, ვით ილიასი — იმგვარ ენთუზიაზმს იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში, რომ თვით დეკლამაციის ნამდვილი შეფასება ვისღა ახსოვდა!

როგორც თითქმის ყოველი პოეტი, აკაკიც, რასაკვირველია, სუსტი დეკლამატორი იყო. ამისათვის მას არც ხმა გააჩნდა. არც მგზნებარე ტემპერამენტი, არც ამ ხელოვნებისათვის უცილებელი შინაგანი მუსიკალობა.

კითხულობდა იგი ლექსს მკაფიოდ, ცოტა არ იყოს, მოსიმღერო მელოდიურობით და მნიშვნელოვანი ადგილების განსაკუთრებული ინტონაციური განფენილობით, რის გამოც მისი ხმა საკმაოდ წვრილდებოდა.

სხვებთან ერთად მეც გაგაფიებით ტაშს ვუკრავდი, ვინაიდან მოწყურებული ვიყავი, რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო სათაყვანებელი ადამიანი ესტრადაზე, რაც შეიძლება მეტხანს მეტკირნა მისი მშვენიერი სახისათვის, მომესმინა მისი „უმისოდაც“ მუსიკალური ლექსები.

რალა თქმა უნდა, ვინმე ხელოვანი დეკლამატორი უფრო მეტის ექსპრესიით და გამომეტყველებით წაიკითხავდა მის მართლაც და სადეკლამაციო თვისებებით მდიდარ ლექსებს. მაგრამ აკაკის მაინც ვერ გააფასებდა საზოგადოების თვალში, ვინაიდან იმ წამს მსმენელზე მოქმედებდა არა წამოკითხვის უნარი, არამედ სულ სხვა საიდუმლო ძალა, სულ სხვა სულთაძვრა. (ლიტ. მატრიანე, 3-4, თბ., 1942, გვ. 92-93).

აქ კი სიტყვა უნდა მივცე არტურ ლაისტს — ჩვენი ერის დიდ მეგობარს, თავის „საქართველოს გულში“ იგი წერდა: დაიხ, აკაკი გახლავთ ჭეშმარიტი მეოსანი, მდიდარი ზანტაზიის პატრონი, ენათყვლიანობითა და გრძნობებით აღსავსე, მხატვრული და ჰუმანაზვილი მჭევრმეტყველი. ბუნებამ მასში თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირებას... წართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც, ალბათ, დიდხანს ვერ შეივსება.

აკაკი იყო დეკლამატორი, მჭევრმეტყველი. ამ უკანასკნელის სინონიმებად ქართულში გვხვდება: ენამეტყველი, ენამზიანი, ენოვანი, ენათყვლიანი, ენამოქარგული, სიტყვანამაიანი, მშვენიერმოუბარი, ოქროპირი, რიტორი, კაფია-გამომეტყველი, მჭევრი. აკაკი „თორნიკე ერისთავში“ არსენის შესახებ ამბობს: „ოქროპირობდა მჭვირობით ძლიერი მქადაგებელი“ (თხზ., ტ. 5, გვ. 50).

აკაკი წერეთელმა 1874 წლის 4 აპრილს, თბილისში ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა თავისი „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპურობილეში“. ამის შესახებ „დროება“ წერდა: „ჩვენ იშვიათად გავვიგონია ისეთი ოსტატები და ხელოვნური წაიკითხვა, როგორც აკაკიმ თავის „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპურობილეში“ წაიკითხა და

ო. ჭავჭავაძემ თავის „აკცია ადამიანის“ ერთი ალაგი და გრ. ორბელიანის „დემიტრი/ონიკოვის დარღებები“.

ამ საღამოს შესახებ პოეტი გიორგი ჭალადიდელი გადმოგვცემს: „დღეს საღამოს ტფილისის საზაფხულო თეატრში იყო ქართული სალიტერატურო კითხვა. ჩემთვის მით უფრო სასიამოვნო იყო ამ კითხვაზე ყოფნა, რომ აქ კითხულობდნენ სხვათა შორის, ჩვენის ლიტერატურის წარმომადგენელნი ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. ი. ყოფიანი და რაფიელ ერისთავი...“

„ძნელი შესადარებელია აკაკი და ილია. ერთი ილიაა და მეორე — აკაკი და ისეთი იქმნებიან მუდამ, ესე იგი, ორნივე ქართველნი, მაგრამ ერთი იმერელი და მეორე კახელი. ერთი გაიცინებს არა თუ თხზულებით, იმერლობითაც. მეორე კი — მხოლოდ თხზულებით. მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორისაც მაღლიერი რჩებით, და დიდხანს არ იკარგება მათი გავლენა მსმენელებზე“.

ასეთია აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამოსვლები 1875 წლის 4 აპრილის ლიტერატურულ საღამოზე. თავის მხრივ ეს საღამო უდიდესი მნიშვნელობისაა იმით, რომ მან დასაბამი ღისცა ფართო, საყოველთაო ხასიათის ლიტერატურული საღამოების ტრადიციას საქართველოში (იხ. აბ. მახარაძე, ა. წერეთელი ლიტერატურულ შეკრება-საღამოებზე: აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებული, 1940, გვ. 250-260).

ჩვენამდე მოაღწია 1875 წლის 22 აპრილს თბილისში ჩატარებულმა 11 ქართული სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს პროგრამამ. საღამოში მონაწილეობდნენ: ს. აბგარციანი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი, დ. ყოფიანი, გ. ჩიქოვანი, ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.

1880 წლის 30 სექტემბრის გაზ. „მოამბეში“ ვკითხულობთ:

„მაგრამ ყველაზე მომეტებული ტაში და ყურადღება საზოგადოებისაგან დივერტი-სმენტში დაიშასხურა და დაიშასხურა თ. აკ. წერეთელმა თავისი მშვენიერი ლექსების მშვენიერი წაკითხვით. განსაკუთრებით ლექსი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“, ისეთი აღტაცებითა და გრძნობით სთქვა, რომ როცა გათავდა, თეატრში ერთი ისეთი საშინელი გაუთავებელი ტაშისკვრა, „ბრავოს“ ძახილი, სკამების ბრახუნი და გრილი შეიქმნა, რომ თეატრის პატრონი რომ ყოფილიყო იქ, უეჭველად იტყოდა: „ეს თქვათ აკ. წერეთელი კარგად ამბობს, მაგრამ ჩემმა სკამებმა რა დააშავაო!“

იმავე წლის 7/19 დეკემბერს წარმოადგინეს „ი როგორი უნდა პრიტავი“ (კომ. 2 მოქმ. გადმოკეთებული რაფ. ერისთავის მიერ ლვოვის პიესიდან) და „სუსტი მხარე“, ხუმრობა-ვოდვეილი გადმოკ. კ. მესხის მიერ, შემდეგ კვლავ ნაიპრთა დივერტიკლმენტში, რომელშიც სხვებთან ერთად აკაკიმ და ავქს. ცაგარელმა მიიღეს მონაწილეობა. გაზ. „დროება“ (№ 260) გადმოგვცემს, რომ „ჩინებული იყო დაუპრეტისმენტი აკაკის მშვენიერი ლექსების აკაკისავე გრძნობით წაკითხვის წყალობით და ა. ცაგარელის სცენე-ბით“.

1882 წლის გაზაფხულზე (სახელდობრ 14 მარტს) გორში ლიტერატურულ საღამო-ზე, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო, აკაკი იყო ყურადღების ცენტრში. „დროება“ იუწყება: „ლიტერატურულ საღამოზე იყვნენ გორის ყველა სასწავლებლის მოსწავდენი უფასოდ. „ბრავო“, „გაუმარჯოს“ და „აკაკი, აკაკის!“ ძახილს საზღვარი აღარ ჰქონდა. საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო თავისი საყვარელი პოეტი. არ იცოდნენ როგორ გზოეთქვათ თანაგრძნობა, სიყვარული, პატივისცემა ამ დაუცხრომელი სამშობლოს მგონისათვის“.



1894 წ. აკაკი წერეთლის 14 იანვრის საღამოზე დეკლამაციით გამოვიდა აკაკი „სხვათა მოწვეულთა შორის გვეტუმრა ჩვენი აკაკი, და, საზოგადოების თხოვნით, სცენიდან წაიკითხა თავისებურის ხელოვნებით რამდენიმე თავისი ლექსი და აღტაცებაში მოიყვანა ყველანი“.

1899 წლის 27 თებერვალს ქუთაისში ადგილობრივი სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ მოეწყო დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობდა აკაკი წერეთელიც. ამის შესახებ „ივერია“ წერდა: „მონაწილეობა მიიღო ჩვენმა საყვარელმა მგოსანმა ა. წერეთელმა, რომელსაც საზოგადოება აღტაცებით მიეგება. აკაკიმ წაიკითხა ხუთი-ექვსი საკუთარი ლექსი; წაიკითხა იგინი ჩვეულებრივის გრძნობითა და ეშხით, რამაც ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია საზოგადოებაში“.

აკაკის გამოსვლებით, დეკლამაციით რუსებიც მოიხიბლენ; მაგ., მოსკოვის ინტელიგენციამ დიდი პატივი სცა მგოსანს და რუსულმა გაზეთმა მაშინ აკაკის „საქართველოს უგვირგვინო მეფე“ უწოდა.

1911 წელს, 20 ივლისს, თელავში ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საღამოზე, ლ. ასათიანის სიტყვით, აკაკის სიხოვენ ლექსების თქმას. ის აღის სცენაზე, თითქოს ავსებს სცენას თავისი სიდიადით. ვერცხლის თმები ორეოლივით ადევს. რა მშვენიერია! აკაკი დიდხანს დგას, ფიქრობს, იწყებს „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“... ისეთი სიჩუმეა, ბუზი რომ გაფრინდეს, გავიგონებთ... „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ. შენს მიწას მიმაბარეო“... ისეთი სიძლიერით იტყვის, რომ დარბაზში რაღაც კვნესასავით მოისმის. ყველა გაფითრებული შეჰყურებს აკაკის. ლექსის გათავებისას თეატრი სდუმს. აკაკი დგას. უეცრად ისეთ აღტაცებაში მოდის ხალხი, რომ ილიას საღამო აკაკის საღამოდ იქცევა.

ასეთი იყო სცენიდან კითხვის დროს მოხუცებულობაში აკაკი და ახალგაზრდობის დროს ალბათ უფრო ძლიერი და ანდამატივით მიმზიდველი იქნებოდა.

დიდი პოეტის რეპერტუარში თავისი ნაწარმოებებიდან უმთავრესად შედიოდა შემდეგი ლექსები: „ავადმყოფი“, „მესტირე რას ამბობს“, „პატარა მურია“, „საიდუმლო ბარათი“; და სხვა მრავალი. მსმენელები განსაკუთრებით დიდის აღფრთოვანებით ისმენდნენ უკანასკნელ ლექსს „ამირანი“. (იხ. ს. გერსამია, აკ. წერეთელი და ქართული თეატრი“, 1949, გვ.94).

1913 წელს, ოქტომბრის დასაწყისში ქუთაისის თეატრის დარბაზში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელშიც ძირითადად ქუთათური მწერლები მონაწილეობდნენ (დ. კლდიაშვილი, ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, დ. თომაშვილი...), აქ ბევრი გამოვიდა დეკლამაციით, მაგრამ ბოლოს გამოვიდა დიდი პოეტი აკაკი წერეთელი...

გაისმა მგოსნის ხმა. იგი კითხულობს ხალხის საყვარელ ლექსს „განთიადს“. ისმის ხალი ხმა... დინჯი... მკაფიო:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
 შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავს;
 მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
 თავდადებულის საფლავსა.
 დადუმებულა მთაწმინდა,
 ისმენს დუდუნსა მტკვრისასა.
 მდინარე ნანას უმღერის,
 რაინდსა ურჩისა მტრისასა.

1949 წლის
11 თვის
1949

აქ თითქოს პოეტს ხმა აუკანკალდა, სხეული აუცანცანდა და ქუთუთოებზე ცრემლი დაეკიდა... მაგრამ კვლავ განაგრძო. გრძნობთ მსმენელები ხელში ჰყავს ჩვენი ყველა სულგანაბული მისჩერებია დიდბუნებოვან ადამიანს და მასთან ერთად განიცდის იმ აზრისა და შინაარსის სიდიადეს, რაც დიდმა მგოსანმა ამ უშესანიშნავეს პოეტურ ნაწარმოებში ჩააქსოვა... კვლავ ნარნარებს აკაკის ხმა... სიტყვები შადრევანივით მოდიან... მაგრამ უცებ ლაპარაკი შეწყვიტა, დაავიწყდა ის, რაც მას ხშირად მოხუცებულობის დროს მოსდიოდა. სიტყვები დაავიწყდა... შუბლზე ხელი მიიღო... ისევ დიწყო ლაპარაკი და კვლავ შედგა“... (იხ. ს. გერსამია, აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი, 1949, გვ. 92-93).

როცა ტაში დაცხრა, აკაკიმ განაგრძო:

„რა დროს ჩემი ლექსების კითხვა... მაგრამ რადგან დევიწყე, როგორმე დავამთავრებ... კვლავ ტაშის გრიალი და ვაშის ძახილი აურუბდა იქაურობას... განაგრძო ლექსის კითხვა ნახტომებით. მივიდა ბოლომდე და მომხიბლავად გაისმა სიტყვები:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოგკვდები,
შენზედვე მგლოვიარო!..

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და რომ მოგკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დაგიბარეო,

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს კალთას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.

დაასრულა... უკანასკნელი სიტყვები მკვენხარედ გაისმა მსმენელებში... თითქოს ყველას ლახვარივით ეცა გულში... ერთი წუთით მდუმარებამ მოიცვა ყოველივე... ყველა მგოსანს მისჩერებოდა“ (იქვე, გვ. 93).

თეატრმცოდნე სერგო გერსამია გადმოგვცემს:

1914 წლის გაზაფხულზე, თუ არ ვცდები, აკაკი როგორც დეკლამატორი, უკანასკნელად გამოვიდა სცენაზე. ეს მოხდა ქუთაისში. პოეტი მაშინ უკვე 74 წლის იყო. საერთოდ სცენაზე სალიტერატურო სადამოებში მონაწილეობის მიღებას გაუბრუნდა, მაგრამ ვინაიდან მისი სცენაზე დანახვა ხალხს ძლიერ უყვარდა და მაყურებლებსაც მრავლად იზიდავდა, ამიტომ სადამოების მომწყობნი არ ეშვებოდნენ და აიძულებდნენ აკაკის მონაწილეობა მიეღო (ს. გერსამია, აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი, გვ. 96).

ი. გრიშაშვილი წერდა: „ილიას ესმოდა სიტყვის საიდუმლოების შინაარსი. ხშირად სიტყვა ილიას ურჩი ბალღივით ებუტებოდა: ილიას უყვარდა ამ სიტყვის ხელში“



ჩაგდება, მოთვინიერება. მისი შემოქმედების უაბახი სავსე იყო ათასნაირი სიტყვი ფალავანით. იგი სიტყვის რაინდი იყო“ (იხ. ილიას საიუბილეო კრბ., 1939, გვ. 87), ეს მოსაზრება თამამად შეიძლება გავიმეოროთ აკაკის მიმართაც.

ილია და აკაკი იყვნენ ქართველი ხალხის პიროვნულ და ეროვნულ შესაძლებლობათა პოტენციური გამონათება. რუსთაველის საქართველო სწორედ ამ ბრძენკაცთა, სიტყვის დიდოსტატთა გონების შუქზე ამოწმებს და კვლავაც შეამოწმებს თავის მიღწევებსა და ნაკლოვანებებს.

რაფიელ შამელაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



მალხაზ ჩოხბარაძე

კონსტანტინე გამსახურდიას

ერთი წერილის გამო

„...ხელმეორედ გადავიკითხე ცოტად თუ ბევრად საყურადღებო თხზულებანი, დაწერილი 1921 წლის შემდგომ. მოულოდნელი და საოცარი სურათი აღმოვაჩინე. თურმე ზედამხედველობის განკარგულებით დროდადრო ამა თუ იმ თხზულების შინაარსი ახალი დირექტივების შესაბამისად იცვლებოდა“. აკაკი ბაქრაძე („ცამეტი წელი კინოში“. ჟურნ. „კინო“ № 1, 1989 წ.).

1917 წლის 4 ივნისს, თბილისში, სათავადაზნაურო ბანკის შენობაში შეიკრება ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც იმსჯელეს ჩვენი მწერლობის საჭირობოტო პრობლემებზე და გადაწყვიტეს მოეწვიათ ყრილობა, რომელზედაც მწერალთა კავშირი უნდა შექმნილიყო, კრებამ აირჩია ყრილობის მომწვევი კომისია (ბიურო) ექვსი კაცის შემადგენლობით: კოტე მაყაშვილი. (თავმჯდომარე), კონსტანტინე გამსახურდია (მდივანი), შალვა დადიანი, ვარლამ ხუროძე, ლეო ქიაჩელი და დავით ლიხელი. უნდა ითქვას, რომ ბიურო საკმაოდ ძნელ საქმეს შეეჭიდა: მათ არა მხოლოდ ორგანიზაციულად უნდა მოეზადებინათ ყრილობა, არამედ, უნდა დაესაბუთებინათ კიდევ მისი მოწვევის და მწერალთა კავშირის შექმნის აუცილებლობა, რადგან მაშინ ცოტა როდი იყო ასეთი გაერთიანების წინააღმდეგი.

სწორედ ამ მიზნით, კრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მ. ივნისს, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 884-ე ნომერში კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა წერილი „ქართველ მწერალთა კავშირისათვის“. ეს წერილი შეტანილია მწერლის თხზულებათა რვატომეულშიც (ტ. 7, გვ. 227) და ათტომეულშიც (ტ. 7, გვ. 288). აღსანიშნავია, რომ გაზეთში დაშვებულია კორექტურული შეცდომა, რაც მეორდება მწერლის თხზულებათა ორივე კრებულში და, მათზე დაყრდნობით, — ზოგიერთ მკვლევართა ნაშრომშიც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს პირველივე წინადადება წერილისა: „**ქ ა ვ რ ი ლ ს** (ხაზი აქაც და ყველგან ჩვენია. მ. ჩ.) ქართველ ხელოვან მწერალთა კრებაზე გადაწყდა: მოწვეულ იქმნას ქართველ ხელოვან მწერალთა ყრილობა...“ საქმე ისაა, რომ ეს კრება გაიმართა არა ოთხ აპრილს, არამედ, ოთხ ივნისს (რაც ზემოთაც აღვნიშნეთ). რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ანალოგიური კრება ოთხ აპრილსაც გამართულიყო, მაგრამ, ჭერ ერთი, ძნელი წარმოსადგენია, ცხრა ივნისს დაბეჭდილ წერილში კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრა ორი თვის წინ გამართული კრების შესახებ და ერთი სიტყვიტაც არ ეხსენებინა ის შეკრება, რომელმაც ოთხიოდე დღის წინ დაამთავრა მუშაობა, სადაც იგივე პრობლემებზე იყო საუბარი და იგივე გადაწყვეტილებები მიიღეს; მეორეც, — ოთხ აპრილს მწერალთა არავითარი კრება არ გამართულა, მაშინდელ



კრესაში ამის შესახებ კრინტიც არაა დაძრული, მაშინ, როცა ზემოხსენებული შეკრების შესახებ თითქმის ყველა გაზეთში იყო ინფორმაცია.

მაგრამ ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, ტექნიკური შეცდომაა, მხოლოდ და მხოლოდ კორექტურა გაიპარა გაზეთში და მერე მწერლის თხზულებათა კრებულში გამეორდა. რასაკვირველია, იგი უნდა გასწორდეს, მაგრამ ეს წერილი ამ შეცდომის გამო არ დაწერილა, ჩვენ სხვა, უფრო მნიშვნელოვან საკითხზე გვექნება საუბარი.


წერილზე აკაკი ბაქრაძის სიტყვები შემთხვევით არ წავგიმძღვარებია. ხსენებულ ნაშრომში იგი მიმოიხილავს ქართველ მწერალთა სხვადასხვა ნაწარმოებს (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ლეო ქიაჩელის „შაკი აძმა“, ალ. ქუთათელის „პირისპირ“, დ. შენგელაიას „ბაშკადიკლარ“, მ. ჭავჭავაძის „ჭაყოს ხიზნები“, ნ. ლორთქიფანიძის „უმათ სიავე“ და სხვ., რომლებსაც საბჭოთა ცენზურა, ანუ შესაბამისი დარგის ზედამხედველები შეხედულებისა და დროის მოთხოვნილებისამებრ ცვლიდნენ ან საერთოდ შლიდნენ იმ სტრიქონებს, რომლებშიც მცირე რამ საექვოს და საბჭოთა ხელისუფლებისთვის საზიანოს შენიშნავდნენ. ზოგჯერ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდნენ, მწერლის გარდაცვალების შემდეგაც კი უმატებდნენ ახალ თავს (!). ასე რომ, საბჭოთა ცენზურა გავაცივებული მუშაობდა და მის მახვილ თვალს არა გამოეპარებოდა რა.

აკაკი ბაქრაძე, თავის წერილში ძირითადად 1921 წლის შემდგომ დაწერილ თხზულებებზე საუბრობს, მაგრამ საბჭოთა ზედამხედველობის (აკაკი ბაქრაძის ტერმინია. მ. ჩ.) სასახლოდ უნდა ითქვას, რომ არც მანამდე დაწერილ თხზულებებს სტოვებდა უყურადღებოდ და საექვო სტრიქონებს არ აჭკანებდა.

თითქოს რა უნდა ყოფილიყო კონსტანტინე გამსახურდიას ამ პატარა წერილში საბჭოთა ხელისუფლების მიუღებელი, მით უმეტეს, რომ იგი საქართველოში ამ ხელი-სუფლების დამყარებამდე თითქმის ოთხი წლით ადრე დაიწერა. მასში მწერალი ცდილობდა მანამდე დაქსახული და შეუკავშირებელი მწერლების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების აუცილებლობა დაესაბუთებინა. გულისტკივილით საუბრობდა იმ პრობლემებზე, რომლებიც მომავალ მწერალთა კავშირს უნდა მოეგვარებინა და რომელთა ვალაქრაც ამ კავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ ამ წერილში არის მონაკვეთი, რომელსაც შეეხო საბჭოთა ცენზურის ხელი და საბჭოთა პერიოდის ქართველ მკითხველამდე იგი დაჩხილ-შესწორებული სახით მივიდა. კერძოდ, ზემოხსენებულ თხზულებებში შესული წერილიდან ამოღებულია შემდეგი სიტყვები: (ეს სიტყვები გაზეთში დაბეჭდილ პირველწყაროში მოხდევს წინადადებას: „მწერლობა-ლიტერატურის ამგვარ ჩამორჩენას არა მარტო კულტურული, არამედ ფრიად მავნე პოლიტიკური შედეგებიც მოხდევს...“). „რ უ ს უ ლ ი წ ი გ ნ ი ს ბ ა ზ ა რ ი დ ღ ი თ ი დ ღ ე ფ ა რ თ ო ვ დ ე ბ ა ჩ ვ ე ნ შ ი დ ა ქ ა რ თ ვ ე - ლ ი მ ქ ი თ ხ ვ ე ლ ი ლ ა მ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ ქ ა რ თ უ ლ ა დ კ ი - თ ხ ვ ა ს გ ა დ ა ე ჩ ვ ი ო ს . რ ო გ ო რ ც ქ ა რ თ ვ ე ლ მ ა მ წ ე რ ა ლ მ ა , ი ს ე მ ქ ი თ ხ ვ ე ლ მ ა ე რ თ ი წ ა მ ი თ ა ც ა რ უ ნ დ ა დ ა ი ვ ი წ ყ ო ს , რ ო მ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა უ ძ ლ ი ე რ ე ს ი ი ა რ ა დ ი ა გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ე რ ი ს ხ ე ლ შ ი , უ ც ხ ო , გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ე რ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ - რ ა ა ლ მ ო უ ფ ხ ვ რ ე ლ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ დ ე გ ე ნ ე რ ა ც ი ი ს მ ხ ა მ ს ა ფ რ ქ ვ ე ვ ს ნ ო რ ჩ ი მ ო ზ ა რ დ ი თ ა ო ბ ი ს გ უ ლ - შ ი . ა მ შე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი დ ი დ ი ე ნ ე რ გ ი ა გ ვ მ ა რ თ ე ბ ს რ უ ხ უ - ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი ს ა ს ა ც დ ე ნ ა დ , რ ო მ ლ ი ს ნ ა უ -

კეთესო წარმომადგენელიც კი, საგიჟეთისა
კიპოსაკენ ეპატიჟებიან ნორჩი თაობის ფანტაზიკოსთა
აი, ეს მონაკვეთია ამოდებული წერილის „ქართველ მწერალთა შეკავშირებისა-
თვის (ასეთი სათაურითაა შეტანილი იგი ზემოხსენებულ ტომებში) საბჭოური გამო-
ცემებიდან. ალბათ გასაგებია მკითხველისათვის, თუ რატომ „შეკრეკდნენ“ წერილს, —
1917 წელს დაწერილი ეს სიტყვები, რომელიც მაშინდელ რუსეთს ეხებოდა, რევოლუ-
ციის შემდეგაც ისევე აქტუალურად ჟღერდა. ერთა თავისუფლების ღონისძიებში მონა-
სული ბოლშევიკები ცარიზმზე უფრო მეტი შინით და სისასტიკით იმონებდნენ სხვადა-
სხვა ხალხებს და ამ დაპურობა-დამონებაში წარმატებით იყენებდნენ ლიტერატურასა
და ხელოვნებას. საბჭოთა ხელისუფლება კი ვერ დაუშვებდა, რომ სიმართლე თქმულ-
ყო მისი ნამდვილი სახის შესახებ თუნდაც წარსულში დაწერილი სიტყვებით!





„...ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო...“

(სიკვდილი და სიცოცხლე ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსის მიხედვით)

ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცნობიერების დონეზე, ადამიანები სიკვდილს იაზრებენ, როგორც ბოროტებას, რომელიც სპობს სიცოცხლეს და მაშასადამე, არსებობას. პრაქტიკული ცნობიერება სიკვდილის ნებისმიერი ფაქტით იცნობიერებს საკუთარი, გარდაუვალი სიკვდილის აუცილებლობას, რის გამოც ადამიანები სიკვდილის მუდმივი შიშით არიან შეპყრობილნი. სიკვდილის ამდაგვარი გააზრება ერთ-ერთია და იგი არ ამოწურავს მას.

ცნობიერების უფრო მაღალ, კერძოდ, რელიგიური ცნობიერების დონეზე, სიკვდილი გააზრებულია როგორც მხოლოდ ამქვეყნიური არსებობის შეწყვეტა და არა როგორც საერთოდ არსებობის შეწყვეტა. უფრო მეტიც, რელიგიური ცნობიერებით, ამქვეყნიური სიკვდილის ფაქტით იწყება იმქვეყნიური, შარადიული არსებობა, ე. ი. ამქვეყნიური სიკვდილი ძღვევს დასაბამს შარადიულ, უკვდავ არსებობას. აქედან გამომდინარე, რელიგიური ცნობიერება სიკვდილს არ განიხილავს, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას.

არსებობს სიკვდილის ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური გააზრებაც, რომელიც სიკვდილს განიხილავს როგორც თავისთავად აღებულ მოვლენას, მისგან გამომდინარე შედეგების გარეშე. გონება, ყოველდღიური ცნობიერების შესაბამისად, წმინდა პრაქტიკული მიზნებით მოქმედებს, რაკი სიკვდილი წყვეტს პრაქტიკულ საქმიანობას — ცხოვრებას — ამიტომ იგი ამ დონეზე გაიზრება როგორც აბსოლუტური ბოროტება, მის მიჯნის არ წარმოადგენს სიკვდილის, როგორც მოვლენის შესახებ არსებითი ცოდნის დადგენა, მეტაფიზიკისათვის კი შთავარია მოვლენის არსის და არა მისი მხოლოდ სადღეისო პრაქტიკული შედეგების თვისებების და კავშირების ახსნა.

სიკვდილის მეტაფიზიკური გაგება არ გამორიცხავს მის კავშირს სიცოცხლესა და ცხოვრებასთან, მაგრამ ამ მოვლენებს იგი ერთმანეთთან კავშირში განიხილავს.

სიკვდილს ამ თვალსაზრისით იაზრებს ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველაც. შევეცდებით გადმოვცეთ მისი ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური შეხედულებები სიკვდილისა და სიცოცხლის შესახებ მხოლოდ ერთი ლექსის — „მოგონების“¹ მიხედვით.

სიკვდილის არსებობა, მისი დადებითი ღირებულების გამო, ისევე აუცილებლად მიაჩნია ვაჟა-ფშაველას, როგორც სიცოცხლის არსებობა, რის გამოც იგი ღმერთს სიკვდილის შევლას სთხოვს: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო...“ ვაჟას აზრით, სიკვდილის გარეშე ისევე წარმოუდგენელი და შეუძლებელია ცხოვრება, როგორც სიცოცხლის გარეშე. სიკვდილი და სიცოცხლე ვაჟას მეტაფიზიკური გააზრებით თანაბარმნიშვნელოვანი ღირებულებებია ცხოვრებისათვის. უფრო მეტიც, სიკვდილი სიცოცხლის დამამშვენებელია — „სიცოცხლე ჰშვენობს შენითა“... (სიკვდილით — მ. გ.).



რით ამშვენებს სიკვდილი სიცოცხლეს? რა თვისებები გაჩნია მას ისეთი უცხო
ცხოვრება შეუძლებელია მისი არსებობის გარეშე?

პირველი. სიკვდილი სიცოცხლის შეწყვეტით ცხოვრებას აძლევს ფორმას. სიკვ-
დილის გარეშე სიცოცხლე უფორმო იქნებოდა, მას არ ექნებოდა საზღვარი, ხოლო
რასაც საზღვარი არ აქვს, რაც უსაზღვროა, მას არც ფორმა აქვს. ისევე როგორც ჭი-
ქაში ჩასხმულ სითხეს შემოსაზღვრავს ჭიქა და ამით მას გარკვეულ ფორმას აძლევს,
ასევე სიკვდილი, დროის თვალსაზრისით, (დროის თვალსაზრისით იმიტომ, რომ სიცო-
ცხლე დროული მოვლენაა და სივრცითი) შემოსაზღვრავს სიცოცხლეს და ამით გარკვეულ
ფორმას აძლევს ცხოვრებას. უსაზღვრო, უფორმო მშენიერება შეუძლებელია (განს-
ხვებით, ამაღლებულის კატეგორიისაგან), მშენიერია ის, რასაც გარკვეული საზღვა-
რი, გარკვეული ფორმა აქვს, სიკვდილი შემოსაზღვრავს, ფორმას აძლევს სიცოცხლეს,
ამიტომაც მშენობს სიცოცხლე სიკვდილით.⁴

მეორე. ცხოვრებას ფორმას აძლევს არა მხოლოდ სიკვდილი, როგორც ფაქტი,
რომელიც უკვე მოხდა, არამედ სიკვდილი როგორც იდეა, საქმე ისაა, რომ სიკვდი-
ლის შიშის გარეშე ადამიანი ვერასოდეს ვერ დაძლედა სიზარმაცის ინსტინქტს. მისი
ცხოვრება ელექტრული ცხოვრებას დაემსგავსებოდა. ადამიანი რომ უკვდავი იყოს,
იგი ყველა საქმეს მომავლისათვის გადადებდა, მისთვის მნიშვნელობა არ ექნებოდა
იმას, თუ როდის შეასრულებდა მოცემულ საქმეს ან შეასრულებდა საერთოდ თუ არა.
აუცილებლად მოსალოდნელი სიკვდილის თანამდევი იდეა კი ადამიანისაგან მოითხოვს
მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი სიცოცხლე, რომლის ხანგრძლიობაც მისთვის
უცნობია. სიცოცხლის მოულოდნელად დასრულების აუცილებლობის იდეა, ადამიანს
აიძულებს აზრი მისცეს საკუთარ ცხოვრებას, დაისახოს კონკრეტული მიზანი და მისი
განხორციელება არ გადადოს მომავლისათვის. შესაძლებელია, ადამიანმა ვერ მოხანო
თავისი ცხოვრების საზრისი, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი ცხოვრების საზრისს ეძებს,
უკვე აძლევს ცხოვრებას საზრისს. ე. ი. სიკვდილის არსებობა აზრს აძლევს ცხოვრე-
ბას, ამშვენებს მას.

მესამე. აუცილებლად მოსალოდნელი სიკვდილის გამო ადამიანები ცდაობენ
იცხოვრონ ისე, რომ მულამ მზად იყონ, ნებისმიერ მომენტში, მოულოდნელი სიკვდი-
ლის შემთხვევაში პასუხი აგონ თავიანთ განვილ ცხოვრებაზე. „სცდების და
სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“ (რუსთაველი), ამიტომ ადამიანები აუ-
ცილებლად მოსალოდნელი სიკვდილის გამო, აცნობიერებენ რომ სულაც არ აქვს მნი-
შვნელობა იმას, თუ რამდენი იცხოვრე, მნიშვნელოვანია, თუ როგორ იცხოვრე. მაშა-
საღამე, სიკვდილის არსებობა პასუხისმგებლობის გრძნობას წარმოშობს ადამიანში.
პასუხისმგებლობის გრძნობა კი ადამიანურობის ყველაზე უფრო დიდი სახეობაა. ამდენ-
ად, სიკვდილი ადამიანს (როგორც პასუხისმგებელი არსების) ცხოვრების აუცილებელი
პირობაა. იგი ამ აზრით, ადამიანურებს მის არსებობას.

მასაღამე, ვაჟა-ფშაველას გავებით, სიკვდილი წარმოადგენს სიცოცხლის საპირის-
პირო მოვლენას, მაგრამ ამავე დროს ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობას.

წმინთ მოყვანილი ვაჟა-ფშაველასეული შეხედულება სიკვდილის შესახებ, ისე
არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამით პოეტი სიკვდილის აპოლოგეტად გვევლინებოდეს.
სრულებითაც არა. ვაჟამ იცის სიკვდილის უარყოფითი მნიშვნელობაც ემპირიული
თვალსაზრისით და ამას კიდევაც არაერთხელ აღნიშნავს თავის შემოქმედებაში. სი-
ლუსტრაციოდ ერთი რომელიმე მათგანის მოტანაც კმარა. მაგ.: ლექსში „სიკვდილი
გმირისა“ ვაჟა ბრძანებს:

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა არ არის სიკვდილის აპოლოგეტი. მას, როგორც ვენიოსს, სიკვდილი აინტერესებს მისი ყველანაირი გააზრებით და არა მხოლოდ წმინდა პრაქტიკულ-ემპირიული თვალსაზრისით. სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი მიზანი — ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილის, როგორც გარკვეული დადებითი ღირებულების როლის ჩვენებით შეუქმნაუქმოს ადამიანს სიკვდილით გამოწვეული ტრაგიზმი. სიკვდილის, როგორც გარკვეული დადებითი ღირებულების გაცნობიერება ადამიანს უმსუბუქებს მისი აუცილებელი მოსალოდნელობით თანამდევ სევდას და ამავე დროს აძლევს მას მუდამ ახსოვდეს მოსალოდნელი სიკვდილი, რომელმაც უნდა დაამთავროს, ფორმა და აზრი მისცეს მის არსებობას.

რომაელებს აქვთ გამოთქმა „მემენტო მორი!“ („გახსოვდეს სიკვდილი!“), ვაჟა-ფშაველაც სწორედ ამას მოითხოვს, „გვახსოვდეს სიკვდილი“ და ვიცხოვროთ ისე, თითქოს ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ დღეს ვცხოვრობდეთ. და დღესვე მოვასწროთ ის, რის გაკეთებასაც ვფიქრობთ, რამეთუ ხვალ აღარ ვიქნებით, მომავალი თაობა ჩვენზე იმსჯელებს იმის მიხედვით, თუ როგორ ვიცხოვრეთ და არა იმის მიხედვით, თუ რამდენი ვიცხოვრეთ. ამიტომ უნდა გვახსოვდეს სიკვდილი, ამიტომაც „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო“.

ვაჟა-ფშაველა აღნიშნულ ლექსში სიკვდილის ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ გააზრებასთან ერთად ეხება აგრეთვე ცხოვრებისა და სიცოცხლის საზრისის პრობლემასაც. ლექსში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ქალმა ვაჟს უთხრა: „თუ შენ არ გხედავ ცოცხალს, არც მე ვარ ცოცხლად დამჩრობი! ცოცხალი თან ჩამოგყვები, საფლავში დაგეტანები; შენ მკვდარს, შენთან მე ცოცხალსა დაე, დაგვისშონ კარები! მოკვდები შენსა გულზედა, ზევიდომ დაგუარები: მე შევსჭამ — მიწას არ ძალუძს, რომ შეგიქამოს თვალები. მწადს ერთად შეზელილიყოს ჩემი და შენი ძვალები!“. ქალის ამ სიტყვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ უბედურება მართლაც მოხდა, გარდაიცვალა ქაბუკი, „ზარი აჩამდა გლოვისა“, „სატრფო დასტირის, ჭაბუკსა, ცრემლი სდიოდა ღვარადა, გულიც ხომ უწუხდებოდა, (წყალსაც ასხამდნენ კვალადა). გულდაბნედილსა დიაცსა აბრუნდებიან ძალადა.“ ვაჟი დაკრძალეს, ქალმა კი უღალატა თავის ნათქვამს და საფლავში არ ჩააყვა ვაჟს.

ვაჟა-ფშაველას წინაშე დადგა ამოცანა — როგორი ახსნა-გამართლება მოუძებნოს ქალის საქციელს. ვაჟას სიდიადე ქალის მიერ თავისი საქციელის ახსნა-გამართლების დასაბუთებაში მდგომარეობს. პოეტი ამ ახსნა-განმარტებით გადმოგვცემს თავის უბედულებებს ცხოვრების საზრისისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ.

ვაჟა-ფშაველა, ამ ლექსის მიხედვით, ადამიანს განიხილავს, როგორც არსებას, რომელსაც აქვს თავის არსებობაში დაეჭვებისა და საკუთარი ყოფიერების მრავალმნიშვნელობის შეგრძნების უნარი. ქალს ეუბნებიან: „რა უყავ ფიცი, გოგონავ, ჩააყევ (ვაჟს საფლავში. — მ. გ.) ვის მეელოდები?!“.

„თავისი წინა გადაწყვეტილების სისწორეში დაეჭვებული ქალი პასუხობს: „სად ვაყვე, ძმაო, რას ვარგებ, — მკვდარს რა ვუშველო იმითა?!“6

ქალის მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა გამართლებულია იმით, რომ ადამიანის ცხოვრება აღსავსეა მოულოდნელობით. სანამ ცნობიერება არ დასტოვებს ადამიანს, იგი ვალდებულია ამ ქვეყანაზე განახორციელოს გარკვეული ღირებულებები და მათზე პასუხი აგოს, თუ აღრე ამ ვაჟის სიცოცხლის გარეშე ქალის ცხოვ-



რებას აზრი არ ჰქონდა და ამიტომ ქალი მზად იყო თავის მოსაკლავად, რეალურად, ცხოვრებამ უკვე მისგან სხვა ფასეულთა განხორციელება მოითხოვა. მის ცხოვრებას უკვე სხვა აზრი გაუჩნდა, კერძოდ:

„უნდა ვიცოცხლო ჭირითა,
ვიგონო ვარდი გულისა,
ვიტანჯო მოგონებითა!...
ვიცოცხლო იმის მამგონედ
ვინც გულს მამჩნია წყულთა“.

მაშასადამე, ქალმა თავისთვის ვაჟის მოგონების და ამით, გარკვეული აზრით, მისი უკვდავების ღირებულების განხორციელება დააკისრა. თვითმკვლელობა (საფლავში ჩაყოლა) კი ამ ღირებულებებზე პასუხისმგებლობისაგან გაქცევას ნიშნავდა. თავის მომკვლელს სიკვდილის არ ეშინია, მას ცხოვრების, გარკვეული ღირებულებების განხორციელებისა ეშინია და ამიტომ იკლავს თავს. თვითმკვლელობა ცხოვრებიდან გაქცევაა და ამდენად იგი არავითარი ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას არ წარმოადგენს. ქალის მიერ თავის მოკვლა ვაჟის მოგონების ღირებულების განუხორციელებლობის ტოლფასი იქნებოდა, ამიტომაც, გარკვეული კატეგორიულობით ასვენის ქალი — „არა, მე სიცოცხლე მინდა“.

ვაჟის სიკვდილიდან მთელი ერთი წლის განმავლობაში გოგონა დაიარებოდა ვაჟის საფლავზე, უნებდა წმინდა სანთლებს, საფლავის პირზე რგავდა ყვავილებს, უვლიდა და „ცრემლებით რწყავდა“ მათ. მაგრამ, „ეს ერთი წელიც გავიდა, იცვლება დრო და უამია“. დროის ამ ცვლილებამ ქალის წინაშე ახალი ღირებულებები წარმოშვა, და ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია, ვინაიდან ადამიანის ყოფა საკუთარი თავის მოლოდინით განსაზღვრული ყოფაა (ბლოხი), კაცმა რომ თქვას, ცხოვრება ხომ სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ გქონდეს საშუალება საკუთარ თავში მიაგნო საკუთარ შესაძლებლობებს და იზრუნო მისი განხორციელებისათვის. ცხოვრება ხომ გარკვეული მიზნის დასახვისა და მისი განხორციელების, მისი სინამდვილედ ქცევის შესაძლებლობაა, ადამიანი იცის არა მხოლოდ ის, რომ მას სურს რაღაც, არამედ ისიც, რომ მას არ შეიძლება არ სურდეს. იგი არასოდეს არაა კმაყოფილი თავისი წარსულით და აწმყოთი, ყოველთვის წინ და მალა იყურება. ადამიანი იცის, რომ საკუთარი ადამიანობა თვითონვე უნდა მოიპოვოს.

ვაჟა-ფშაველას გმირიც, რაზან მან ცხოვრება არჩია სიკვდილს, იწყებს საკუთარი შესაძლებლობების განხორციელებისათვის ზრუნვას, მისი მიზანია ცხოვრება, როგორც საკუთარი შესაძლებლობების განხორციელების პირობა, მოიხმაროს მაქსიმალურად. იგი ცდილობს ცხოვრება გამოიყენოს ადამიანობის მოსაპოვებლად, ე. ი. საკუთარი პიროვნების განუმეორებლობისა და თავისთავადობის დასამტკიცებლად. ამ ზეანახუნელი მიზნის მიღწევით იგი საკუთარ თავს დამკვიდრებს საზოგადოებაში, როგორც აუცილებელი ინდივიდი. ადამიანი იმდენადაა საჭირო და აუცილებელი სამყაროში, რამდენადაც არ ჰგავს სხვებს, რამდენადაც განსხვავდება სხვებისაგან. საკუთარი პიროვნების განუმეორებლობისა და თავისებურებების დასამტკიცებლად კი ორი გზა არსებობს: ერთი აქტიური — შემოქმედებითი ღირებულებების რეალიზაციის გზა და მეორე პასიური, ამ შემთხვევაში ის, რისი მოპოვებაც სხვებს აქტიური მოქმედებით უხდება, ზოგს ეძლევა, როგორც „ვეციური მანანა“, ეს არის გზა სიყვარულისა ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, გზა — ვინმეს უყვარად. ვაჟა-ფშაველას გმირი საკუთარი პიროვნების დამკვიდრების მეორე, პასიურ გზას ირჩევს:

„გოგოს სწადიან იბოვნოს
პირველის მსგავსი გვამია;
მსგავსი პირველის მიჯნურის
თვალითა, ტანადობითა,
მოკეთეს ჰმოკეთებდეს,
მტერს ექმნას ჯალათობითა“.



როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველას გმირს საკუთარი არსებობის დასასაბუთებლად სიყვარული სწადია, მაშასადამე ვაჟა-ფშაველა მისი გმირის სიცოცხლის საზრისად სიყვარულს მიიჩნევს, უსიყვარულოდ ადამიანისთვის სიცოცხლე არასრულფასოვანი არსებობაა. უფრო მტკიც, ვაჟას აზრით, სიცოცხლე სიყვარულის გარეშე და სიყვარული სიცოცხლის სურვილის გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებულებო:

„სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით“.

თუ სიცოცხლეა, იგი სიყვარულს უნდა მოითხოვდეს, თუ სიყვარულია, მას უცილობლად სიცოცხლე უნდა სწყუროდეს. ეს ფილოსოფიური დებულება შესანიშნავ პოეტურ სტროფში აქვს გადმოცემული პოეტს, რომლითაც ამთავრებს იგი ლექსს.

„ერთურთი სწყურან ორთავე,
ერთურთთან დაილევიან,
უერთურთისოდ ვერ სძლებენ,
მაღედვე დაილევიან“

მაშასადამე, გენიოსი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა აღნიშნულ ლექსში გადმოცემული დებულებებით გვევლინება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებული აქცენტით დასმული ისეთი ფილოსოფიური საკითხების ერთ-ერთ თავისებურ გადამწყვეტად, როგორიცაა სიკვდილის ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური გააზრება და სიცოცხლის საზრისის პრობლემა. ვაჟა-ფშაველა აღნიშნული პრობლემების თავისებური, გარკვეული აზრით, ორიგინალური გააზრებით, გვერდში უდგას და ზოგჯერ წინ უსწრებს კიდევ XX საუკუნის ისეთ სახელგანთქმულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას, როგორიცაა — ეგზისტენციალიზმი.

ბავშვანეგული ლიტერატურა

1. ვაჟა-ფშაველა, ორ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 101-102.
2. იქვე, გვ. 217.
3. დიმიტრი უზნაძე, ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი. იხ. დ. უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, თბ. 1984, გვ. 239.

4. ქართულ ხალხურ პოეზიაში სიკვდილის აღნიშნული გააზრების შესახებ იხილეთ ბ. კარტოზია, დიმიტრი უზნაძე ყოფნა-არყოფნის პრობლემის შესახებ და ქართული ხალხური პოეზია, ჟურნალ „ცისკარი“, 1986 წ. № 8.
5. ნ. ბერდიევის აღნიშნული აზრი მოტანილი გვაქვს წიგნიდან, ჯ. ჯ. სპენსერის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970, გვ. 530.
6. შეღერის განსაზღვრებით ადამიანი არის არსება, რომელსაც შეუძლია უარი თქვას.
7. Френкл В. Человек в поисках смысла, М., 1990, стр. 244-245.
8. Трубников Н. И. Проблема смерти, времени и цели человеческой жизни (через смерть и время к вечности), журн. «ФН», 1990, № 2, стр. 104.



ო ლ თ ი ს ი

ვიგონებ იმ დროს, როდესაც
შენ იდეგ, მტკიცე, ძლიერი,
და შენში მედგრად ხვდებოდა
მოსულ მტერს ქართველი ერი.

ლიმიტრი ხოშტარია

„ამას ზეით, (ვახუშტით — ბანას ზევით — ი. ს.). ქოროხის აღმოსავლეთით კიდე-
ზედ, არს ოლთისი კარგი ქალაქი და კეთილ-შაოვანი. აქ არს ციხე მაგარი და
დიდ-შენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე“. — წერდა ვახუშტი ბა-
გრატიონი (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, წ., გვ. 138).

აქ ყველაფერი სწორადაა მითითებული, გარდა ოლთისის მდებარეობისა. „ქორო-
ხის აღმოსავლეთ კიდე“ ის საკმაოდ შორავს და ოლთისის წყლის, ორივე ნაპირზეა
გაშლილი, მაგრამ ფიზიკურ გეოგრაფიულ სარვევს რაიმე თვალსაჩინო ნიუანსი არ
შეაქვს სახელოვანი მეცნიერის საერთო ჩვენებებში.

ვახუშტის საშუალება არ ჰქონდა ოლთისის ხილვისა, თორემ მისი მახვილი თვალი
მის სხვა არაერთ პირველხარისხოვან ასპექტს მოჰფენდა ნათელს.

ოლთისის ისეთი მდებარეობა და ზომიერი კლიმატი ახასიათებს, რომ იგი ადამიანს
უძველეს დროშივე უნდა აეთვისებინა. ვიდრე ოლთისი ისე ამალდებოდა, რომ ტაოს
მსჯობელი დავით მესამე კურაპალატი (გარდ. 1001 წელს) საციხოდ აქცევდა, მანამ
განვითარების დიდი გზა გაიარა გორა საცხოვრისიდან და ხევის შემკრებიდან ტაოს
ქვეყნის წარმოქმნელ ცენტრამდე.

ის „მაგარი და დიდ-შენი“ ციხე, რომელზეც ვახუშტი მიგვანიშნებს, თუ დავით
კურაპალატის აშენებული არ არის, მისი განახლებული და გადიდებული უთუოდ უნდა
იყოს. პირველი ციხე ოლთისს იმ გორაზეა სავარაუდებელი, სადაც უკანასკნელი
„მაგარი და დიდ-შენი“.

ამ ციხესა და მთელ ქალაქსაც უამთა სიგრძეზე არაერთი ავბედობა დასტენია თავს-
და არა მარტო მოსულ მტერთაგან, არამედ თვით მისი ამგები ქართველებისაგანაც.
საქმე ის იყო, რომ როდესაც ქართველები ტოვებდნენ ოლთისს, იძულებული ხდებოდ-
ნენ ცეცხლისათვის მიეცათ ციხეც და ქალაქიც.

ასე მოიქცნენ ქართველები 1021 წელს და მე-11-ე საუკუნის მიწურულსაც. პირ-
ველად იმიტომ დასწვეს ოლთისი, რომ მტერს (ბიზანტიელებს) არ გამოეყენებინა,
ხოლო მეორედ იმიტომ — თურქ-სელჩუკებს ეპყრათ და ოლთისის გადაწვით დავით
აღმაშენებელმა თვალსაჩინო პლაცდარში გამოაცალა მტერს.

დავით კურაპალატის შემდეგ ოლთისს (კარნუ-ქალაქსა (არწრუში) და კართან (ყარ-
სი) ერთად კარგა ხანს ფლობდა დიდი ქართველი ფეოდალი; ბიზანტიის იმპერიის მალაღი

სამხედრო მონღლე (ჭერ აღმოსავლეთის ზოლაკარი, ხოლო შემდეგ — დასავლეთის დომესტიკოსი) გრიგოლ ბაკურიანისძე.

დავით აღმაშენებელმა თავისი მძლავრი მარჯვენით მოახერხა ოლთისის დასაბრუნება და საქართველოს შემადგენლობაში დარჩა იგი მე-13 საუკუნის 40-იანი წლების შუახანებამდე, ვიდრე თურქმანები დაიკავებდნენ მას. მაგრამ მცირე ხნით, რადგან ქართველებმა (კერძოდ, სამცხის ლაშქარმა) მალე გაათავისუფლეს იგი და კვლავ მშობლიურ წიალს დაუბრუნეს.

მე-16 საუკუნის დამდეგს ოლთისი კოპაძეთა სათავადო სახლის მეთაურს ხოლო კოპაძეს უბუკია. ამას მოწმობს სოლის მონათული ერთი ხატის წარწერა, რომელიც 1502 წლით თარიღდება. ამ წარწერაში მომხატველი „ოლთისის მთავრად“ იწოდება (ხ. კაპაძე, ოლთისის მთავარი კოპაძე, წვრილი შენიშვნა და მასალები, საისტორიო კრებული, 119, გვ. 110-111).

„მთავრობა“ აქ ერისთავთ-ერისთავობის უკვე ყავლგასულ ინსტიტუტს უნდა გულისხმობდეს.

იგივე მოღვაწე მოგვიანო ხანის (მე-10 ს.ნის 30-იანი წლები) ხელნაწერში უკვე „ტაოს ამილხორად“ იხსენიება.

ამავე ტაოში მიგვიანუნებს კოპაძეებს მესხი თავადების ნუსხაც, რომელიც მე-16 საუკუნის 10-იან წლებშია (1516 წლის ახლოს) შედგენილი. ამ დოკუმენტში კოპაძენი ანძაველთა და თუხარელთა შორის არიან დასახელებულნი (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (მე-15-18 ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლ. ბი ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, 35).

ტაო-ოლთისში კოპაძეთა ოდინდელი მკვიდრობის მოწმობა უნდა იყოს სოფლის სახელი კოპი-ც (ხ. ჩიქია, გურჯისტანის ვოლაეთის დიდი დავთარი, მე-3, თბ., 1958, გვ. 564).

ექვთიმე თაყაიშვილს ეს სოფელი „მეზრეს“ (არაბ. — „სათესველი“) მდგომარეობაში უნახავს 1917 წელს (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1937 წ. გვ. 42).

სახელოვანი მეცნიერი ამ „მეზრეს“ (სოფელ პერტუსის შემავალს) მდ. ბარდუსის წყლის პირას ახსენლებს, (იქვე), ეს წყალი იმ ფანაქის (ბანა) რეგიონში მოუღინებდა, რომელიც თავის დროზე სწორედ ისტორიულ ტაოში ერთიანდებოდა.

კოპაძეთა ზეობა ოლთისსა და მის ქვეყანაში დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მე-16 საუკუნის 40-იან წლებში ამ მხარესა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილსაც (კლარჯეთი, არტაანი, კოლა, შავშეთი და ზოგი სხვა) ოსმალები დაუფლნენ.

ოსმალთა მფლობელობაში ოლთისი სამ საუკუნეზე მეტხანს დარჩა. ამ ხნის მანძილზე ოლთისის მკვიდრებმა დიდი ავბედობა გამოვლეს.

მათი მძიმე ზეადრის თვითმხილველი გახლდათ ოსმალეთს ლტოლვილი ქართველი მეფე თეიმურაზ პირველი (1606-1663).

როდესაც არჩილი თავის „გაბაასებაში“ თეიმურაზ პირველის გონიას მისვლას ეხება, მეფეს ათქმევენებს:

„წამოვედით ოლთისიდან, ჩამოვედით გონიასა“.
(არჩილიანი, 1937).

1878 წელს ოლთისი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს (რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად 16 თებერვლამდე).

გასული საუკუნის 90-იან წლებში ოლთისგანაწესეს სამუშაოდ ახალგაზრდა ქართველი დიმიტრი ხოშტარია („დუტუ მეგრელი“).

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული პატრიოტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ ქალაქში გამგზავრებისას თავს იმით ინუგეშებდა, რომ „ოლთისიც ერთ დროს საქართველო იყო“.

ოლთისს ყოფნისას მწერლის ყურადღება მიუქცევია ციხეს, რომელიც მას სამშობლოს ოდინდელ სიძლიერესა და შემდეგ თავსდატიხილ უბედურებას მოაგონებდა.

ამ ძველთან პოეტი ხშირად განმარტოვდებოდა და ფიქრებს ეძლეოდა თურმე, ამის ნაყოფია ის მშვენიერი ლექსი — „ოლთისის ციხე“, რომელიც 1894 წლითაა დათარიღებული (დაიბეჭდა 1897 წელს).

ვით მგლოვიარე მიჯნურსა
იზიდავს სატრფოს სამარე,
რომ მოგონებით წარსულის
დაიტკბოს აწმყო მან მწარე,
აგრეთვე აქ გადმოტყორცნის,
მოკლებულ მშობელ მხარესა,
ძველო ძველ საქართველოსავ,
იზიდავ სულს მწუხარესა!
როს უცხოთ შორის მარტოდ მყოფს,
გულს სევდა შემომამწვება,
რომ მცირედ არის მაინცა
მივცე საბრალო თავს შვება,
მოვრბივარ შენს ნანგრევებზე,
ვისვენებ დაღონებული,
და დროთ სივრცეში მიმოვფრენ,
ოცნებით გატაცებული!
ვიგონებ იმ დროს, როდესაც
შენ იდეგ, მტკიცე, ძლიერი,
და შენში მედგრად ხედებოდა
მოსულ მტერს ქართველი ერი.
და შორს, შორს, ძვირფას მამულში
მიმაფრენს ეს მოგონება,
და გულში მიძგერს სიამით,
ვიდრე არ ქრება ოცნება!...

ივრი სიხარულიმ,
პროვფსორი.



ამ მზვანეთში...

შოთა როევას ხსოვნას

მეგობარო, ჩემო შოთა,
 ეს ხომ შენი მამათია,
 გოცებით გეკითხება:
 — შეილო, ეგ რა დაგმართია?!—

უპასუხე — ავდგები-თქო,
 ცოტა უნდა შევისვენო,
 სადაც ვიყო, შენ გახსენებ,
 გესტუმრები შენ ისევო!

აქ გირწევდა დედა აკვანს.
 აქ აიდგი ფეხი შოთა.
 და ვგრძნობ ახლა, სოფელი ვით
 დედის გული, ისე შფოთავს.

აქ დაფურცლე სულ პირველად
 საყვარელი დედაენა,
 აქ დაწერე ლექსიც პირველ,
 აქ გასწავლა მუზამ ფრენა.

ილიამ თქვა: პოეზია
 გვიშუშებსო სისხლის დენას,
 და შენც, ზქნებ, შენს დაჭრილ
 სულს

აქ ლექსებით იშუშებდი...

ბაღს ნახავდი დამჰკნარს
 გვალვით,
 იქ შენს წყაროს მიუშვებდი.

ღამე იყო და თუ დილა,
ცა ცისფერად იალებდა,
და თან შენი კალმის წვერი
ამ მწვანეთში წკრიალებდა.

ბათუმისკენ მიაფრენდი
თბილ-თბილ ლექსებს სოფლის
ბიჭი,
მერე გახდი ბათუმელიც,
იქ აღზევდა შენი ნიჭი.

ყველას გვესმის შენი სიტყვა,
შენი სიტყვა ასე წრფელი.
შენ გასულხარ მთაშიც, ბარშიც,
და გვაოცებს შენი რთველი...

მაგრამ უცებ ჩაიმუხლე,
ვერც წამოდექ, ჩემო შოთა...
დღეს, ბათუმიც და მამათიც
შენს შავბედზე ამაღ მოთქვამს.

ო, რა წმინდა გული გქონდა,
როგორც მთაში წყარო რომ
სდის,
მით გვიყვარდი, მეგობარო,
შენ შობილო კეთილ მოღვმის,

აქ რომელი შენ არ გიცნობს.
რომელი არ მოგეხვევა!
შენი წილი მიწა მამათს
დღეს ბარებით მოეხვევა.

დაგაყრიან მერე გულზე
ცრემლებით და ტკივილებით,
არც შეწყდება ოხვრა აქ და
არ შეწყდება ტირილები.

ხაიამს, რომ უთქვამს, მე იქ
დამმარხეთო, სადაც მარად

ზედ ყვავილნი მაცვივოდეს..
ყვავილები შენც დაგფარავს,

შენი სოფლის ყვავილები,
ვინმეც შეჰკრავს აქ კამარას
და მშობლიურ ტკბილი ხმებით
იავნანას გიგალობებს,

შენი მიწა და ჰაერი
მადლს და ნათელს გიწყალობებს.
აწ, მშვიდობით, მეგობარო,
შენც ხარ სოფლის დამამშვენი...

და გფარავდეს სულ მსუბუქად
მამათური მიწა შენი!

მამია ვარშანიძე

1991, 9 ნოემბერი.



ბასულ ორ თვეში



საიუბილეო თარიღებისათვის

ბაიხსნა საქართველოს ისტორიის კათედრა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილებები „მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის, და ტბელ აბუსერისძის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 26 ივლისის დადგენილებით დამტკიცებულ კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, რომ მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავის და ტბელ აბუსერისძის დაბადების 800 წლისთავის იუბილეების მოწყობის კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ქორიძე.

თავმჯდომარის მოადგილედ მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავისათვის იუბილის მომწყობი კომისიის შემადგენლობაში დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ნანკ მუგუნავა.

ტბელ აბუსერისძის დაბადების 800 წლისთავის იუბილის მომწყობი კომისიის შემადგენლობაში შეუვანილია ხულოს რაიონის პრეფექტი თემურ ქათამაძე.

წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა საქართველოს ისტორიის კათედრა. მის საზეიმო გახსნას მიეძღვნა გაფართოებული სხდომა, რომელიც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა და რომელსაც ქალაქ ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აზიზ ახვლედიანმა. შემდეგ სხდომას უძღვეოდა კათედრის გამგე დოცენტი აბელ სურგულაძე.

სიტყვით გამოვიდნენ და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტ ახალგაზრდობას საქართველოს ისტორიის კათედრის დაარსება მიულოცეს პროფესორმა შოთა ჭაფარიძემ, მწერლებმა ფრიდონ ხალვაშმა, რამაზ სურმანიძემ, ჯემალ ქათამაძემ, დოცენტმა რევაზ დიასამიძემ, პროფესორმა თეიმურაზ ჩიქოვანმა, სტუდენტმა როინ ტაკიძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნანი გუგუნავამ.

გამოითქვა ღრმა რწმენა, რომ საქართველოს ისტორიის კათედრა დიდ როლს შეასრულებს სტუდენტი ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაში, ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს ისტორიის მეცნიერული კვლევის გაღრმავებას.

დასასრულ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუთაიშვილმა წაიკითხა მოხსენება ქართველი ხალხის გენეზისის საკითხებზე.

ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა მუსიკალური ფესტივალის „მოცარტი-200“ დასკვნითი კონცერტი.

მხატვრული განყოფილების დაწყებაში დამსწრეთ სიტყვით მიმართა კომპოზიტორმა იოსებ ბარდნაშვილმა. შემდეგ სცენაზე გამოვიდნენ შემსრულებლები. მათი პროგრამა კი, ცხადია, გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოებს ეფუძნებოდა, მათ შორის აუღერდა სონატები და სიმფონიური ქმნილებები.

მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ დიდი ინტერესით მოუსმინა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების კამერულ ორკესტრს, თბილისის სამუსიკო პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა გუნდს.

შეხვედრის ფინალურმა აკორდმა თეატრის ფოიეში გადაინაცვლა, სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ნოდარ ფალავამ.

ნანა გვარამიანი ახალი არტისტი

„შვიდობა პლანეტას, მშვიდობა ბავშვებს“ — ასე ჰქვია ცნობილი ქართველი პოეტი ქალის ნანა გვარამიანის საბავშვო ლექსების ახალ კრებულს, რომელიც გამოცემილია „აჭარა“ დასტამბა. კრებულში შევიდა პატარებისათვის დაწერილი პოეტის როგორც ახალი, ასევე ბოლო წლების საუკეთესო ლექსები.

კინოსტუდია „აჭარა“

აჭარის მოწინავე საზოგადოებრიობის ძალისხმევით თანადგომითა და ქმედითი დახმარებით ასრულდა ჩვენი თანამემამულეების დიდი ხნის ნატვრა

— ბათუმში გაიხსნა კინოსტუდია „აჭარა“, რომელიც გახდება საწინდარი იმისა, რათა გავიგოთ და შევიტკბოთ ნამდვილი, დაუმასინჯებელი ქეშმარიტი გზა, წინაპართა გზა.

როგორც კინოსტუდია „აჭარის“ გენერალურმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ზ. ცინცილაძემ განაცხადა, — სწორედ ამაზე და მრავალ ამგვარ საკითხზე პასუხის გაცემის ყველაზე დიდი საშუალება გააჩნია ისეთ კულტურის კერას, როგორცაა კინოსტუდია, ამიტომაც ეშურებოდნენ მის გახსნას ჩვენი ღირსეული მამულიშვილები. ახლა მათი ნაფიქრი—ექნება აჭარას კინოსტუდია!

ახლა სიტყვა ჩვენზეა, თუ როგორ წარმოვაჩინოთ, რას ნიშნავს ქართველი, როგორი იყო, როგორი არის და როგორი იქნება სრულყოფილი გმირი, როგორ ამოვუდგებთ ერთმანეთს მხარში, როგორ გუთმობთ ვიშაბურვებზე, როგორი დიდი სიყვარულით აღვივებთ გულს, როგორი მიმტევებლები ვიქნებით, როგორ შევეკიბრებით ურთიერთს სიყვარულით.

სეზონი ბანისნა

შესვენების შემდეგ ახალი თეატრალური სეზონი პრემიერით განაახლა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, რომელმაც მაყურებელს უჩვენა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. დადგმა განახორციელა რეჟისორმა მერაბ ლებანიძემ, სცენოგრაფია — ანტონ ფილიპოვმა, მუსიკალური გაფორმება — თენგიზ შამილაძემ.

ახლო მომავალში ზაზა სიხარულიძე წარმოადგენს ანატოლი გრებნევის „წარმატებას“. ხოლო სერგო ზაიაშვილი — გიორგი ნახუცრიშვილის „კინკრაქას“. თეატრის მთავარი რეჟისორი ენვერ ჩაიძე შეუდგება დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმას.



გონიოს კომერციული ინსტიტუტის ურნალისტიკის სტუდენტები შეხვედრენ თურქეთში მცხოვრებ მწერალს ისმაილ ქარას (შავიშვილს).

სტუმარმა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, იგი დიდი ოპტიმისტია და სწამს, რომ საქართველო მალე მიაღწევს სანუკვარ მიზანს, თუნდ საქიროა ქართველი ხალხი ერთ მუშტად შეიკრას.


როგორც მწერალმა აღნიშნა, მალე გამოვა მისი წიგნი „მაქახლის უღელტეხილი“. მასში ერთი საინტერესო დეტალია მდინარე ჭოროხთან დაკავშირებით. მდორედ ქართულ მიწაზე მიედინება ჭოროხი, თორემ თურქეთის მიწაზე ჩქარია. სულ ეჩქარება, რაც შეიძლება მალე ჩავიდეს თავის ქვეყანაში, გულში ჩაიკრას თავისიანები...

მწერალსაც ჭოროხივით მოეჩქარებოდა საქართველოში, ჭოროხივით ჩაიკრა გულში თავისიანები, მოინახულა ახლო ნათესავები შუახევის რაიონში.

ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდურმა კაბინეტმა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების აჭარის საოლქო განყოფილებამ საკურორტო ქალაქის № I საშუალო სკოლაში გამართეს კონფერენცია თემაზე „დიდი საზრუნავი“.

იგი 1912 წელს გამოცემული „დედა ენის“ სწავლების პრობლემებს მიექდენა. როგორც ცნობილია, დიდი პედაგოგის სიცოცხლეში უკანასკნელად დაბეჭდილი ეს ხელი-ხელ საგომანებელი წიგნი უკვე შემუშავებულია სკოლებში ქართული ანბანის სახელმძღვანელოდ.

მოხსენება წაიკითხა მეთოდისტმა ნევრესტან ინაიშვილმა. კამათში მონაწილეობდნენ ქობულეთის № 1, 3, 7, ბობოყვათის, წყავროკის საშუალო და არასრული საშუალო სკოლების მასწავლებლები გული ჭიჭავაძე, ნინო ქვილორია, ნაზი მიქელაძე, კიკილო ანანიძე, მერი კალანდარიშვილი, ლილი მოწყობილი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების აჭარის საოლქო განყოფილებრი თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ზოიძე.



ძვირფასო მკითხველებო!

გამოიწერათ თუ არა ჟურნალი «ჭოროსი»?

უგახსენებთ, ჟურნალის გამოწერა უნი-
ქლება წლის ნებისმიერი თვიდან.

8860 60 333.

6 39/4

